unicef
თითოეული ბავშვისთვის

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი

2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 2

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 2

2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით.
პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი ეკუთვნით ავტორებს და სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2019

ავტორები: თამთა კუხალეიშვილი, ნინო ფრუიძე, ნინო ჯიჯავაძე, თამარ ბაქრაძე, ანა ჯანელიძე
ილუსტრაცია და დიზაინი: სალომე სხირტლაძე
ფოტო გარეკანზე: თაკო რობაქიძე

სარჩევი

თავი 1. ბავშვი – განათლების პროცესის ცენტრალური მონაწილე.... 005

ბავშვი – განათლების პროცესის ცენტრალური მონაწილე.....006

ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი და საგანმანათლებლო პერსონალის როლები..... 011

პოზიტიური და ხელშემწყობი გარემოს შექმნა..... 021

თავი 2. სოციალური გარემო..... 022

პატივისცემა და ფსიქიკურად უსაფრთხო გარემო..... 023

უფროსი, როგორც გულისხმიერი, უსაფრთხო და მხარდამჭერი პარტნიორი.... 026

გაცნობა – წლისა და დღის დასაწყისი.....029

თვითდისციპლინა..... 038

ერთმანეთთან ურთიერთობა და დამეგობრება..... 040

თავი 3. მოქნილი და ბავშვზე მორგებული განრიგის ჩამოყალიბება... 063

რა არის განრიგი?..... 064

ჯგუფის დღის განრიგი..... 065

ტრანზიცია ბაღში..... 074

როგორ შევქმნათ და წარმოვადგინოთ ვიზუალურად განრიგი?..... 077

პროფესიული დღის განრიგი..... 078

თავი 4. ფიზიკური გარემო..... 080

ფიზიკური გარემო და მისი მნიშვნელობა..... 081

ფიზიკური გარემო, სადაც ბავშვი თამაშობს – მოწყობა, ფუნქციური მხარე..... 088

ფიზიკური გარემო უფროსებისთვის – მოწყობა ფუნქციური მხარე..... 107

ფიზიკური გარემოს მოწყობა – ესთეტიური მხარე..... 109

განათება..... 115

ფიზიკური გარემოს ცვლა..... 120

ბავშვების ჩართვა გარემოს მოწყობის პროცესში..... 121

გამოყენებული ლიტერატურა..... 127

თავი 1. ბავშვი - განათლების პროცესის ცენტრალური მონაწილე

მოცემულ თავში გაეცნობით კურიკულუმის ხედვას ბავშვის განვითარებისა და სწავლის პროცესზე, რაც დაგეხმარებათ კურიკულუმის სხვადასხვა მეთოდოლოგიური თუ შინაარსობრივი საკითხის თეორიული და ღირებულებითი საფუძვლების გააზრებაში.

თავის ***პირველ ნაწილში*** მიმოვიხილავთ ბავშვის ადგილს საგანმანათლებლო პროცესში. მოცემულ კურიკულუმში ბავშვი მოაზრებულია, როგორც საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ფიგურა და მთავარი „როლის“ შემსრულებელი. აქვე წარმოდგენილია რამდენიმე საკვანძო საკითხი ბავშვის, როგორც აქტიური მონაწილის ხედვასთან დაკავშირებით: კომპეტენტური ბავშვის ცნება და რა კონკრეტულ როლს ასრულებს ბავშვი საბავშვო ბაღებში მიმდინარე პროცესებში.

მეორე ნაწილში განხილულია, როგორია საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ცენტრალური მონაწილეც ბავშვია. აქვე წარმოდგენილია ინფორმაცია საგანმანათლებლო პერსონალის როლებთან დაკავშირებით - გამომდინარე ბავშვის, როგორც აქტიური მონაწილის ხედვიდან.

ბავშვი - განათლების პროცესის ცენტრალური მონაწილე

კომპეტენტური ბავშვი, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ცენტრალური და აქტიური მონაწილე

ბავშვის განვითარებისა და სკოლამდელი განათლების შესახებ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სახელმწიფო დოკუმენტებში, სხვადასხვა ქვეყნის ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმებსა თუ პედაგოგების სახელმძღვანელოებში ხშირად გვხვდება „კომპეტენტური ბავშვის“ ცნება, რაც წინამდებარე კურიკულუმის საკვანძო ცნებაა. ბავშვი, როგორც „კომპეტენტური ადამიანი“ გულისხმობს:

- დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც , აქვს ხასიათი, ტემპერამენტი, სურვილები, ინტერესები, საჭიროებები და უნიკალური თვისებები, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს მის შესახებ ჩვენი წარმოდგენებისგან და მოლოდინისგან. ის მის ირგვლივ არსებული სოციალური სამყაროს აქტიური მონაწილეა და ზეგავლენას ახდენს მასზე (გიფიქრიათ, როგორ იცვლება თქვენი ქცევა, საუბარი და ა.შ. როდესაც ბავშვია თქვენს სიახლოვეს?) და იმსახურებს იმგვარ მოპყრობასა და პატივისცემას, როგორსაც ნებისმიერი სხვა პიროვნება.

„თუ რომ ექვსი-შვიდი თვის ბავშვის სახით ჩვენ წინაშე აქტიური სუბიექტი დგას, რომელსაც გამღიზიანებელთა წარმატებით შებრძოლების უნარი გააჩნია, რად არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იმის პასიური ლოდინით კი არ დაკმაყოფილდება, თუ შემთხვევით რა გამღიზიანებელი იმოქმედებს

მასზე, არამედ, როგორც აქტიური სუბიექტი, თვითონ ჩაერევა მათს ბუნებრივ მიმდინარეობაში და თავისთვის ხელსაყრელ გამღიზიანებელთა ძიებას დაიწყებს“.

დიმიტრი უზნაძე

- ბავშვების მოტივაციას სწავლისადმი, თვითმართვისადმი დიდწილად განაპირობებს კომპეტენტურობის შეგრძნება - პასუხისმგებლობის აღება, დამოუკიდებლობის გრძნობა, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, მისი პიროვნული მახასიათებლების, წარმატებების აღიარება და დაფასება.
- ბავშვები განსხვავდებიან ზრდასრულებისგან, მაგრამ ეს განსხვავებები მათი ნაკლი კი არა, ძლიერი მხარეა: მთელი გრძნობითა და ცნობიერებით აწმყოში არსებობა, სპონტანურობა, სიხალისე, აქტიურობა, ცნობისმოყვარეობა, გარემოზე დაკვირვებისა და შესწავლის დაუოკებელი წყურვილი, წარმოსახვის განსაკუთრებული უნარი - ადრეული ბავშვობის ის მახასიათებლებია, რომლებსაც ზრდასთან ერთად სრულად ან ნაწილობრივ ვკარგავთ.
- ზრდასრულთათვის მნიშვნელოვანი კოგნიტური, სოციალური და ემოციური კომპეტენციები ადრეულ ასაკში ბევრად უფრო ადრე ყალიბდება, ვიდრე დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ მეცნიერები. როგორც წესი , თანამედროვე ცოდნა ადრეულ ასაკში ბავშვების კომპეტენციების შესახებ ეყრდნობა ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში ჩატარებულ კვლევებს (მათ შორის, ექსპერიმენტებს), რაც ამ ცოდნას მეტ სანდოობას ანიჭებს, ვიდრე წინა თაობის მეცნიერთა მიერ ჩატარებულ კვლევებს ლაბორატორიულ გარემოში (მაგალითად, ჟან პიაჟეს ექსპერიმენტები).

თეორია პრაქტიკისთვის

სოციალური და ემოციური კომპეტენციები ადრეულ ასაკში

თანამედროვე მკვლევარი ელისონ გოპნიკი საინტერესო ექსპერიმენტებით ადასტურებს, რომ 18 თვის ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ სხვისი თვალთახედვის გათვალისწინება, რაც ემპათიისა და მორალური განვითარების მნიშვნელოვან ბაზისს წარმოადგენს. ერთ-ერთ ასეთ ექსპერიმენტში ბავშვებს სთხოვენ, უფროსს შესთავაზონ ორი საკვებიდან ერთ-ერთი - ორცხობილა ან ბროკოლი. უკვე 18 თვიდან ბავშვები ხვდებიან და ექსპერიმენტში მონაწილეს სთავაზობენ იმ საკვებს, რომლებიც იმ კონკრეტულ ადამიანს უფრო მოსწონს (მიუხედავად იმისა რა ურჩევნია თავად ბავშვს - როგორც წესი, ორცხობილა!)

შესაძლოა, ბევრი ჩვენგანისთვის ასეთი ექსპერიმენტების შედეგები სულაც არ იყოს ძალიან შთამბეჭდავი, რადგან რეალურ ცხოვრებასა თუ საბავშვო ბაღის პრაქტიკაში ბევრჯერ გვინახავს ბავშვების მიერ სოციალური და ემოციური კომპეტენციების დემონსტრირება - მაგალითად, არაერთხელ შევსწრებივართ სცენას, როდესაც ყველაზე პატარაც კი მტირალა ბავშვის დანახვისას სხვადსხვა გზას მიმართავს მის სანუგეშებლად.

- უფროსების მსგავსად, ბავშვს საჭიროებებთან ერთად აქვს უფლებები, მათ შორის - მონაწილეობითი უფლებები, რომელთა რეალიზებაც შეუძლია საკუთარი კომპეტენციების შესაბამისად. ბავშვის კომპეტენტურობა არის მისი უფლებების (მათ შორის მონაწილეობითი უფლებების) რეალიზების საფუძველი; როგორც ზრდასრულის, ისე ბავშვის კომპეტენტურობა აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვის მიმართ არსებული მოლოდინები, მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი იყოს.

ბავშვის როლი საგანმანათლებლო პროცესში

კურიკულუმში აქტიური და კომპეტენტური ბავშვი საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ფიგურაა. თვალსაჩინოა რამდენიმე როლი, რომელსაც ბავშვი მონაცვლეობით ან ერთდროულად ირგებს. ბავშვს სწორედ ამ როლების შესრულებისას აკვირდება და ეყრდნობა საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობისთვის:

- **მოთამაშე**

  ადრეულ ასაკში ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა თამაშია. სწორედ თამაშის გზით სწავლობს და ვითარდება ბავშვი. ბავშვისთვის არ არსებობს გამიჯვნა თამაშსა და დანარჩენ საქმიანობებს შორის, რადგან თამაშისთვის ყოველთვის არის ადგილი - რუტინული საქმიანობების დროსაც კი. მაგალითად, სადილის დროს ბავშვი კერძიდან გამოარჩევს ბარდას და იწყებს თამაშს: ჯერ წყვილ-წყვილად განალაგებს თეფშის ორ მხარეს, შემდეგ წრეზე, ბოლოს სტაფილოს ნაჭრებთან ერთად ალაგებს გარკვეული კანონზომიერების მიხედვით და ამაყად უჩვენებს გვერდით მჯდომ მეგობარს. თამაშის დროს ბავშვი საკუთარი ნებით ერთვება მისთვის სახალისო ქმედებაში, რომელშიც გარკვეული წესების მიხედვით მოქმედებს. ბავშვისთვის მნიშვნელოვანია თამაში, როგორც პროცესი და არა, როგორც რაიმე მიზნის მიღწევის საშუალება. თუმცა, ვინაიდან სწორედ თამაშის დროს ბავშვი განიმტკიცებს სხვადასხვა კომპეტენციას და ეუფლება ახლა ცოდნასა და უნარებს, საგანმანათლებლო პერსონალისთვის ის არამხოლოდ საინტერესო, სახალისო და ბუნებრივი ქცევაა, არამედ - სწავლებისა და განვითარების ხელშეწყობის მთავარი ფორმაც.

- **მკვლევარი**

  ადრეულ ასაკში ბავშვები განსაკუთრებულად ცნობისმოყვარენი არიან. ისინი საკუთარი გამოცდილებით შეიმეცნებენ სამყაროს,

მუდმივად აკვირდებიან გარემოს, მიმდინარე მოვლენებს, ახდენენ მათ ინტერპრეტაციას არსებული ცოდნიდან გამომდინარე, გამოცდიან საკუთარ შესაძლებლობებს და მათ საზღვრებს. ეს უწყვეტი პროცესია: ბავშვის ახალი უშუალო გამოცდილება ამდიდრებს წარსულ ცოდნას და ხელს უწყობს მას ნელ-ნელა უფრო კომპლექსურად აზროვნებაში, ფიზიკური, სოციალური და ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, ადრეულ ასაკში სიღრმისეული სწავლა და აზროვნება ბუნებრივად ეფუძნება ბავშვის მიერ გარემოზე, ადამიანებზე, მოვლენებზე უშუალო დაკვირვებას სხვადასხვა სენსორული გზით, მათზე დაფიქრებას, მათ მანიპულირებას, შეცდომების დაშვებასა და მცდელობების შედეგად სწორი ან უკეთესი „პასუხისა“ თუ გამოსავლის ძიებას. სწორედ ამიტომ, სკოლამდელ განათლებაში პირდაპირი სწავლების მეთოდები ბავშვების განვითარებისთვის შეუსაბამო პრაქტიკად არის მიჩნეული.

- ## შემოქმედი

შემოქმედებითობის თვალსაზრისით ადრეული ბავშვობა ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ბავშვის წარმოსახვა ამ ასაკში განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია; მოვლენების გააზრებისა და მოქმედების დროს თვალსაჩინოა ბავშვის შემოქმედებითობა და გახსნილობა მრავალგვარი შესაძლებლობის მიმართ. ბავშვების უნიკალური ხედვა და ინტერპრეტაცია ხშირად უფროსების აღფრთოვანებას იწვევს. მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პერსონალი ხედავდეს და ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის შემოქმედებით პოტენციალს და წაახალისებდეს შემოქმედებითობას ნებისმიერი საქმიანობის დროს.

- ## მზრუნველი

ბავშვები ადრეული ასაკიდანვე იწყებენ ზრუნვას გარემოზე, მათ ირგვლივ არსებულ ცხოველებსა და ადამიანებზე: საკუთარი ინიციატივით ამშვიდებენ ატირებულ მეგობარს, ეალერსებიან

და აჭმევენ ცხოველებს და ა.შ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა შეამჩნიოს ბავშვის მიერ ზრუნვის გამოვლენის მომენტები და წაახალისოს გარემოსა და სხვებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება. ბავშვის ეს კომპეტენციები ვითარდება ისეთ გარემოში, სადაც ერთმანეთსა და გარემოზე ზრუნვა ნორმაა და ზრდასრულები მუდმივად იძლევიან მზრუნველობის მაგალითს. ბავშვს ასაკისა და განვითარების შესაბამისად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნაბიჯ-ნაბიჯ აიღოს მზარდი პასუხისმგებლობა მისი უშუალო გარემოს მოვლაზე (სათამაშოებისა და ნივთების ადგილზე დაბრუნება, მაგიდის ალაგება, ნარჩენების დახარისხება, მცენარეების მოვლა და ა.შ.).

- **გადაწყვეტილების მიმღები**

ბავშვები ჯერ კიდევ ჩვილობის პერიოდში ავლენენ საკუთარ სურვილებსა და სწრაფვებს. ისინი აქტიური ადამიანები არიან: საკუთარი სხეულის, შეგრძნებების და აზრების საშუალებით ურთიერთობენ გარესამყაროსთან და ზეგავლენას ახდენენ მასზე. ისინი ესწრაფვიან დამოუკიდებლობას, იჩენენ ინიციატივას მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებთან დაკავშირებით, აკეთებენ არჩევანს. ამ კომპეტენციების დანახვა და მათი განვითარების ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია აწმყოში ბავშვების მრავალმხრივი განვითარებისთვის, ხოლო მომავალში - კრიტიკულად მოაზროვნე და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის.

ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი და საგანმანათლებლო პერსონალის როლები

ზემოთ აღწერილია ბავშვების ის თავისებურებები, რომლებიც მნიშვნელოვანია საგანამანათლებლო პროცესის წამრატებულად წარმართვისათვის. ახლა კი განვიხილოთ თავად პროცესი, რომლის ცენტრშიც ბავშვია და

საგანმანათლებლო პერსონალის როლი ამ პროცესში. ვინ და როგორები არიან ის უფროსები, რომლებიც ბავშვების განვითარებასა და სწავლას ემსახურებიან და რა არის მათი კონკრეტული როლი, რომლებიც განსაკუთრებით ხელს უწყობს ბავშვების განვითარებასა და კეთილდღეობას, როგორც ბაღში, ისე - მის გარეთ.

საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ცენტრში აქტიური ბავშვია

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროცესად მოვიაზრებთ სკოლამდელი განათლების პროგრამაში მიმდინარე ყველა პროცესს, რომელსაც შესაძლოა პრაქტიკოსები პირობითად ანაწევრებდნენ „ზრუნვის“, „აღზრდისა“ და „სწავლების“ პროცესებად.

ზრუნვა მოიაზრებს ბავშვის მიმართ მგრძნობელობას, მის საჭიროებებზე სათანადო რეაგირებას ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სწავლება გულისხმობს ისეთი პროცესების მიზანმიმართულ და სისტემატურ ორგანიზებასა და გაძღოლას, რაც ქმნის შესაძლებლობებს ბავშვების მიერ ცოდნისა და უნარების ათვისებისთვის.

აღზრდა ასევე გულისხმობს პროცესების მიზანმიმართულ და სისტემატურ ორგანიზებასა და გაძღოლას, რომელიც ქმნის შესაძლებლობებს ბავშვის პიროვნული მახასიათებლების განვითარებისთვის - როგორიცაა ნება, ხასიათი, ღირებულებები და ნორმები, დამოკიდებულებები, ქცევა.

საგანმანათლებლო პრაქტიკა შეუძლებელია დაიყოს ამ სამ კომპონენტად, რადგან ის ერთიანი პროცესია: ნებისმიერი საქმიანობა ერთდროულად სწავლების, აღზრდისა და ზრუნვის შემცველია.

უკვე ერთი თვეა პრაქტიკანტი აღმზრდელი ვარ „ფერადი სოკოების“ საბავშვო ბაღში. მე და ბავშვებს ძალიან გვიყვარს ახალი თამაშების მოგონება. ბავშვები ხშირად თავიანთ სამალავებშიც მეპატიჟებიან

სათამაშოდ (ნუნუ და თამუნა მასწავლებლები სამალავებს მხოლოდ გარედან აკვირდებიან). ერთ დილით 4 წლის ლუკამ ხელი ჩამკიდა და ეზოსკენ წამიყვანა, თურმე შემოსვლისას იქ უზარმაზარი ლოკოკინა შეამჩნია. მე ძალიან დავინტერესდი ლუკას აღმოჩენით (ზრუნვა), ჩვენ ვისაუბრეთ ლოკოკინებზე - საიდან მოვიდა ნეტავ? რატომ ტოვებს ნაკვალევს? რა ვიცით ლოკოკინებზე და რა შეიძლება კიდევ გავიგოთ წიგნებიდან (სწავლება) ლუკა ფიქრობდა ლოკოკინის სახლში წაყვანას. შემდეგ ჩემთან ერთად დაიწყო მსჯელობა-,სად ურჩევნია ყოფნა ლოკოკინას? სხვადასხვა ვარიანტების განხილვის შემდეგ ლუკამ გადაწყვიტა, ლოკოკინა იქვე ბალახებში გადაესვა, რომ თამაშის დროს მის ჯგუფელებს არ დაეზიანებინათ (აღზრდა).

ნიკო - პრაქტიკანტი აღმზრდელი

ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს აღზრდის, სწავლებისა და ზრუნვის პროცესის ურთიერთგადაჯაჭვული და განუყოფელი ბუნება.

ვინაიდან ეს დაყოფა პირობითია, საგანამანათლებლო პერსონალი - ერთობლივი ძალისხმევით იღწვის საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე და ერთდროულად ბუნებრივად ითავსებს „მზრუნველის“, „აღმზრდელის“ და „მასწავლებლის“ როლს, რომელთა შორის ბავშვისთვის სუბიექტურად და ობიექტურად განსხვავება არ არსებობს.

აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის როლი ბავშვის განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის

ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის ცენტრალურ მოქმედ პირად აღიარება აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის გარკვეულ როლებს მოიაზრებს. ეს როლები ბევრი პრაქტიკოსისთვის შესაძლოა მოითხოვდეს ქცევის, ბავშვებთან ურთიერთობისა და სწავლების სტრატეგიების შეცვლას. ქვემოთ მოცემულია

რამდენიმე მაგალითი, რომლებიც არ შეესაბამება მოცემულ კურიკულუმში წარმოდგენილ ბავშვისა და საგანმანათლებლო პერსონალის ხედვას.

შეუსაბამო პრაქტიკის მაგალითები

აქტიური, საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ბავშვის ხედვას არ შეესაბამება ისეთი პრაქტიკა და მეთოდები, როგორიცაა:

→ **პირდაპირი სწავლების მეთოდი,** რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი ჯგუფისთვის რაღაც მოვლენის/საგნის/არსების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის პირდაპირი გზით გადაცემას, ამ ინფორმაციის გამეორებას და გადამოწმებას კითხვების გზით („ბავშვებო, დღეს ვისწავლით, თუ რა მოსდის ბუნებას შემოდგომაზე. მაშ ასე, ფოთლები წითლად და ყვითლად იქცევა, ხმება და სცვივა ხეებს, სამაგიეროდ ათასგვარი ხილი მწიფდება და ამშვენებს ჩვენს სუფრას. გუშინ მანანა მასწავლებელმა ჩამოგვითვალა შემოდგომის ხილი. აბა, ვის ახსოვს, რომელი ხილი მოდის შემოდგომაზე?“)

→ **ე.წ. „მეცადინეობები“ და „ღია გაკვეთილები“,** რაც გულისხმობს მთელ ჯგუფთან ერთად პედაგოგის მიერ განსაზღვრულ თემაზე წინასწარ დამახსოვრებული ინფორმაციის გამეორებას, შესაძლოა - გარეშე პირების თანდასწრებით („აბა, ბავშვებო, დღეს სტუმრები გვყავს და მოდით, ვაჩვენოთ, რამდენი რამ ვისწავლეთ შემოდგომის შესახებ! აბა, ვინ ჩამომითვლის შემოდგომის თვეებს? სე.., სექ.., ყოჩაღ გივიკო, აბა, ნინუცი შენც გაგვიმეორე.. აბა, ვინ მეტყვის, რატომ სცვივა ფოთოლი ხეს შემოდგომაზე? არ არის სწორი! აბა, თემიკო გაიხსენე, რატომ სცვივა...)

→ **კითხვების დასმა მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის შესახებ,** რაც გულისხმობს ისეთი კითხვების დასმას, რომლებიც მხოლოდ დამახსოვრებული ინფორმაციის გახსენებას მოითხოვს და ხშირად

მარტივად „დიახ“ ან „არა“ პასუხი გაეცემა. ასეთი კითხვების ნიმუშებია ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც. ამ ტიპის კითხვები არ წაახალისებს მნიშვნელოვან სააზროვნო, კომუნიკაციისა და მეტყველების უნარებს და მათი ერთადერთი მიზანი ინფორმაციის დამახსოვრების გადამოწმებაა. ხშირ შემთხვევაში, ამ ინფორმაციის მნიშვნელობა ბავშვს შეიძლება გაცნობიერებული არც ჰქონდეს და უბრალოდ დაზეპირებულ პასუხს იმეორებდეს.

→ **ბავშვებს შორის კონფლიქტების მოგვარება პირდაპირი ჩარევის გზით,** რაც გულისხმობს პედაგოგის/აღმზრდელის მიერ ბავშვებს შორის კონფლიქტის აღმოფხვრას სხვადასხვა პირდაპირი გზით, მაგალითად, წაართმევს სათამაშოს, რომელიც კონფლიქტის წყაროა; მოითხოვს, ბავშვები ერთმანეთს აკოცონ/ჩაეხუტონ, რადგან მეგობრები არიან;მკაცრად უბრძანებს, სასწრაფოდ შეწყვიტონ ჩხუბი, თორემ ველარ წავლენ დაგეგმილ ექსკურსიაზე ფერმაში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ბავშვებს არ უვითარდებათ კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები, დამოკიდებულნი ხდებიან გარეგან ჩარევაზე და მოტივაციაზე (სასჯელის შიში ან ჯილდოს მოლოდინი).

→ **პედაგოგის/აღმზრდელის მიერ ინიცირებული აქტივობების სიმრავლე,** რაც, ძირითადად, გულისხმობს დღის განმავლობაში ისეთი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, სადაც პედაგოგი წამყვან როლს თამაშობს, მაგალითად - „მეცადინეობები“, დიდ ჯგუფში აქტივობები, დიდი ჯგუფისთვის წიგნის კითხვა და ა.შ. მასწავლებლის მიერ მართული აქტივობა (მაგალითად, წიგნის კითხვა) გარკვეულ გარემოებებში შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა ის დღის მანძილზე მიმდინარე პროცესების მხოლოდ მცირე ნაწილს უნდა შეადგენდეს, რათა ბავშვებს ჰქონდეთ დღის განმავლობაში საკმარისი დრო თამაშისთვის, დამოუკიდებელი კვლევისთვის, მცირე ჯგუფებში აქტივობებისთვის, პასუხისმგებლობის აღებისა და არჩევანის გაკეთებისთვის.

→ **წესების დადგენა მხოლოდ ბავშვებისთვის და არა უფროსებისთვის,** რაც გულისხმობს ბავშვებისთვის დადგენილი წესების უგულებელყოფას ზრდასრულების მიერ. როდესაც ბავშვებმა იციან, რომ საუბრის დროს

არ უნდა შევაწყვეტინოთ და მოვუსმინოთ მოსაუბრეს, ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ, როდესაც ისინი ლაპარაკობენ; თუკი მნიშვნელოვანია „ჯადოსნური სიტყვების“ (გამარჯობა, გთხოვ, თუ შეიძლება, მადლობა, ბოდიში და ა.შ.)გამოყენება ბავშვებისთვის, ეს წესი უფროსებზეც უნდა ვრცელდებოდეს.

საგანმანათლებლო პერსონალის როლი

ერთი შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ უფროსის როლი ბავშვის განვითარებისა და სწავლის პროცესში შემცირებულია, ვინაიდან ნაკლებად აქტიურია და მოეთხოვება, მიჰყვეს ბავშვსა და მის ინტერესებს, მაგრამ ბავშვის აქტიურ მონაწილედ მიჩნევა და მისი ინტერესების გათვალისწინება ნამდვილად არ ამცირებს საგანმანათლებლო პერსონალის როლს - მეტიც, ჩვენს საქმიანობას ბევრად უფრო რთულად და კომპლექსურად აქცევს და მრავალფეროვანი როლების შესრულებისკენ გვიბიძგებს. ზოგიერთი როლი აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მხრიდან მეტ აქტიურობას მოითხოვს, ზოგი - ნაკლებად, სხვები კი მხოლოდ პასიურ მონაწილეობას ან დაკვირვებას გულისხმობს.

მუშაობის პროცესში აუცილებელია, გვახსოვდეს ჯგუფში მომუშავე ყველა უფროსს შორის (აღმზრდელ-პედაგოგები, აღმზრდელები, სხვა დამხმარე პერსონალი, მათ შორის - სხვადასხვა ცვლაში ჯგუფთან მომუშავე ნებისმიერი პერსონალი) თანამშრომლობისა და შეთანხმებული, თანამიმდევრული მიდგომების მნიშვნელობა. გთავაზობთ ძირითად როლებს, რომლებსაც კურიკულუმის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალი მუდმივად (მონაცვლეობით და ერთდროულად) ირგებენ ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და სწავლისა და განვითარების ხელშეწყობისთვის:

- ### დამკვირვებელი

  დაკვირვება საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

დაკვირვების უნარი პრაქტიკაში ყალიბდება, ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია ამ როლის ხშირად მორგება. დაკვირვება მოითხოვს ბევრ დროს, მაგრამ საგანმანათლებლო პერსონალს სიფრთხილე მართებს, რათა დაკვირვებისას არ დაზარალდეს მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი. თუ დაკვირვებას ზედემტად ბევრ დროსა და ენერგიას დავუთმობთ, შესაძლოა, სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები ყურადღების მიღმა, შეუსრულებელი დარჩეს. დროთა განმავლობაში დაკვირვებაში ისე გავიწაფებით, რომ დამატებითი ძალისხმევა აღარ იქნება საჭირო. დამკვირვებლის როლი მნიშვნელოვანია სწორი და მიზანმიმართული მოქმედებისთვის.

- ## დამგეგმავი

დაგეგმვა კურიკულუმის განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც გამომდინარეობს, ერთი მხრივ, დაკვირვებიდან, მეორე მხრივ კი - მიზნიდან („სტანდარტებიდან“) - მარტივი სიტყვებით - „სად ვართ ახლა და საით მივდივართ თითოეულ ბავშვთან მიმართებით?“. დაგეგმვა მოიცავს გარემოს (სოციალური გარემო/ურთიერთობები, ფიზიკური გარემო, რესურსები, ლოკაციები, დროის ორგანიზება) და პროცესებს (საგანმანათლებლო სტრატეგიები, ექსკურსიები და ა.შ.). გეგმები შეიძლება ხშირად შეიცვალოს ან ადაპტირდეს ახალი გარემოებების, ბავშვის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია როგორც ჯგუფში მყოფი ბავშვების განვითარების ასაკობრივი მახასიათებლების (სტანდარტები), ისე თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინება.

- ## თანამონაწილე

საგანმანათლებლო პერსონალი შეიძლება ჩაერთოს ბავშვების თამაშში, როგორც უფრო კომპეტენტური თანამონაწილე. ასეთ დროს თანამონაწილეობის მიზანია, თამაში უფრო საინტერესო გახადოს ბავშვებისთვის, შესთავაზოს დამატებითი აქტივობები,

რომლებიც წაახალისებს მათ განვითარებას. უფროსის დახმარებით ბავშვებს შეუძლიათ უფრო რთული ამოცანების შესრულება, ვიდრე დამოუკიდებლად, რაც მათი განვითარების საფუძველია. იმ ტექნიკებს, რომლებითაც ბავშვებს ვეხმარებით, გახდნენ დამოუკიდებელი შემსწავლელები, გაიღრმავონ ცოდნა და განივითარონ კონკრეტული უნარები, „ხარაჩოს“ მეთოდი ეწოდება. ეს მეთოდი გულისხმობს საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დროებითი დახმარების გაწევას, რაც სრულდება ბავშვის მიერ სასურველი ცოდნისა და უნარების დაუფლებისას.

- მზრუნველი

ბავშვების კეთილდღეობის განცდისთვის მნიშვნელოვანია ჯგუფში არსებული უსაფრთხო გარემო. მათ უნდა იცოდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში უფროსები მათ ანუგეშებენ და დაეხმარებიან. საგანმანათლებლო პერსონალი ითვალისწინებს ბავშვების მდგომარეობას, ყურადღებით აკვირდება მათგან წამოსულ ვერბალურ თუ არავერბალურ მინიშნებებს და იჩენს სათანადო მზრუნველობას თითოეული ბავშვის მიმართ მათი საჭიროებების შესაბამისად. ამავდროულად, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ზრუნავენ ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, ჰიგიენასა და კვებაზე იმგვარად, რომ თანდათანობით ხელი შეუწყონ ბავშვების თვითმოვლისა და მზარდი დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას.

- მოსაუბრე

ბავშვებთან გულისხმიერი და შინაარსიანი საუბარი მეტად მნიშვნელოვანია მათი მრავალმხრივი განვითარებისთვის. ასეთი საუბარი მოსმენით იწყება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პერსონალი აქტიურად უსმენდეს ბავშვებს. აქტიური მოსმენა გულისხმობს სრულ კონცენტრირებას იმაზე, თუ რას გვეუბნება მოსაუბრე და მოსმენას არამხოლოდ სმენით, არამედ სხვა შეგრძნებებითაც (მხედველობა და შეხება, რათა არ გამოგვეპაროს

არავერბალური კომუნიკაცია). აქტიური მოსმენისას უფროსების პასუხებიც და მთლიანი მსჯელობაც უფრო შინაარსიანი და ბავშვების მოსაზრებების შესაბამისი იქნება. ბავშვებთან ერთად მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა წაახალისებს აზროვნებას, კომპეტენტურობის გრძნობას და განავითარებს მეტყველების და სოციალურ უნარებს. ესაუბრეთ ბავშვებს ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში. აუცილებლად გახსოვდეთ - გაესაუბრეთ თითოეულ ბავშვს ყოველდღიურად. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ, რომ არ გამოგრჩეთ ბავშვები, რომლებიც ნაკლებად აქტიურობენ, „ჩუმები“ ან მორცხვები არიან, ასევე შედარებით პატარა ბავშვები, რომლებიც, შეიძლება თავად ჯერ გამართულად ვერ საუბრობენ, მაგრამ ხშირად ძალიან ადვილად მიგვახვედრებენ სათქმელს და ჩვენგანაც გააზრებული პასუხი სჭირდებათ. საუბრის წარმართვა შეგვიძლია დავიწყოთ საკუთარი იდეების, ინტერესების ან ისტორიების მოყოლით. ეს მისცემს ბავშვებს მაგალითს, თავადაც გამოხატონ საკუთარი აზრები და წაახალისებს მათ საუბარში ჩართვას. შეკითხვების დასმაც საუბრის წარმართვის ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა კითხვა მხოლოდ კითხვისთვის არ დაისმის. მნიშვნელოვანია, რომ დასმულმა შეკითხვამ წაახალისოს ბავშვების აზროვნება და ცნობისმოყვარეობა, შეეცადოს ახსნას მოვლენები. ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებს ბუნებრივად აქვთ მოთხოვნილება, უპასუხონ კითხვებს მაშინაც კი, როცა კითხვის შინაარსი შესაძლოა, არც ესმოდეთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კითხვები დავსვათ ბავშვებისთვის გასაგებად და საჭიროების შემთხვევაში პასუხის ძიების პროცესშიც ვიყოთ თანამონაწილე.საუბრის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა. ხშირად ხმის ტონი, ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება, პოზა და სხვა გარეგნული მახასიათებლები შეიძლება მეტ რამეს გვეუბნებოდეს ბავშვების მდგომარეობაზე, ვიდრე სიტყვები. როგორც კარგი მსმენელები, უნდა დავაკვირდეთ ბავშვების ხმის ტემბრს, მანერებს, სახის გამომეტყველებას, პოზას და გარეგნობას, რათა ბოლომდე გავიგოთ ბავშვის სათქმელი. როგორც აქტიურ მსმენელებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ხმა, პოზა და სახის გამომეტყველება ჩვენი ინტერესის და საუბარში ჩართულობის

მაჩვენებელია, რასაც სერიოზული გავლენა აქვს შინაარსიან საუბარზე.

- ### ფასილიტატორი და მეგზური

ადრეული ასაკის ბავშვები სწავლობენ უშუალოდ საკუთარი გამოცდილებიდან; პირდაპირი სწავლება ამ ასაკში არაეფექტური და განვითარების შეუსაბამოა. ამიტომ, უფროსები საგანმანათლებლო პროცესს კი არ წარმართავენ, არამედ „ფასილიტაციას“ უწევენ (ანუ „შუამდგომლობენ“) და უფრო მეტად მეგზურის როლი აქვთ, ვიდრე „მასწავლებლისა“, რომელიც ტრადიციული გაგებით, საკუთარ ცოდნას პირდაპირი გზით გადასცემს ბავშვებს. ბავშვები ადრეულ ასაკში სწავლობენ კონკრეტული გამოცდილებიდან. მცდარია შეხედულება, რომ ბავშვმა ჯერ უნდა ისწავლოს და შემდეგ გამოიყენოს ეს ცოდნა. ახლის სწავლის ეფექტური სტრატეგიაა უფროსების მიერ ბავშვების კონკრეტული გამოცდილებების განვრცობა, რაზეც სხვა თავებში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

- ### როლური მოდელი

ბავშვები ბევრს სწავლობენ დაკვირვებითა და იმიტაციის გზით. თუ ბავშვებისგან მოელით კონფლიქტების მშვიდად მოგვარებას ყვირილისა და ჩხუბის გარეშე, თავადაც არ აუწიოთ ხმას და შეინარჩუნეთ სიმშვიდე რთულ სიტუაციებში. იმისათვის, რომ კარგი როლური მოდელი იყოთ, საჭიროა ხშირად დაფიქრდეთ და გაანალიზოთ საკუთარი ქცევა, საუბარი და მათი ზეგავლენა ბავშვებზე.

- ### შემფასებელი

შეფასება საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია: ბავშვების განვითარების, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის და საკუთარი საქმიანობის შეფასებას მუდმივად ახორციელებს პედაგოგი. ამისათვის იყენებს ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან გზებს - დაკვირვებას, ბავშვებთან საუბარს, ოჯახთან

კომუნიკაციას და სხვა - შემდეგ კი ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეაქვს შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში. შეფასებისას აქცენტი კეთდება საგანმანათლებლო პროცესის ელემენტებზე ან ბავშვების განვითარების პროცესზე, მაგრამ შეფასება არ გულისხმობს კონკრეტული საქციელის შეფასებას მორალური ან ზნეობრივი თვალსაზრისით.

რეფლექსია 1

ხშირად სკოლამდელ დაწესებულებებში ფარული იერარქიული სისტემა მოქმედებს, რომლის ყველაზე დაბალ საფეხურზე ბავშვები დგანან. შეეცადეთ, დაინახოთ და გააანალიზოთ, რა მექანიზმებში ვლინდება უფროსების ძალაუფლება? ხომ არ არის უსარგებლო წესები, რომლის დამორჩილებასაც ვთხოვთ ბავშვებს? არის ისეთი შემთხვევები, როდესაც უფროსების მიერ დაწესებული წესები, მოთხოვნები, ქცევა რეალურად უფრო მეტად უფროსების ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურება, ვიდრე აუცილებლობას ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე? შეეცადეთ, ამოიცნოთ ასეთი შემთხვევები და შემდგომში აღარ მიმართოთ მათ. დააკვირდით, შედეგად რა იცვლება თქვენსა და ბავშვებს შორის ურთიერთობაში? რა ზეგავლენა იქონია ცვლილებებმა თქვენზე? ბავშვებზე? მათ ქცევაზე?

პოზიტიური და ხელშემწყობი გარემოს შექმნა

„გარემოს გავლენა დრამატული და კონკრეტულია, ის გავლენას ახდენს არამხოლოდ ზოგად განვითარებაზე, არამედ ზემოქმედებს იმაზე, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს ტვინის რთული სქემები[1].“ ნებისმიერ ადამიანზე მოქმედებს გარემო, სადაც დღის გარკვეულ პერიოდს ატარებს - იქნება ეს სახლი, სამსახური, სკოლა თუ ბაღი. გარემო ზემოქმედებს, რამდენად კომფორტულად ვგრძნობთ თავს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს,

1 Shore, R., & Shore, R. (1997). Rethinking the brain: New insights into early development. New York: Families and Work Institute.

რამდენად შრომის და სწავლის უნარებიანები ვართ. რიგ შემთხვევებში, გარემო განვითარების შემაფერხებელ ფაქტორადაც კი შეიძლება გადაიქცეს.

ბაღში პოზიტიურს ვეძახით ისეთ გარემოს, რომელშიც ბავშვები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ, ხედავენ, რომ მათზე ზრუნავენ და პატივს სცემენ. პოზიტიური გარემო წაახალისებს ბავშვების განვითარებას,ემოციურ კეთილდღეობას და საკუთარი ინტერესის გამოხატვისა და დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს.

პოზიტიური გარემო ბაღში სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: 1. სოციალური გარემო, რომელსაც ქმნის ურთიერთობები ადამიანებს შორის; 2. განრიგი - გულისხმობს საქმიანობების მონაცვლეობას და რიტმს; 3. ფიზიკური გარემო - როგორია კედლები, ავეჯი, განათება, ფერები, ნივთები. სამივე კომპონენტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და თანაბარი მნიშვნელობისაა.

ქვემოთ მოცემულ თავებში უფრო დეტალურადაა განხილული პოზიტიური გარემოს თითოეული კომპონენტი. იქვე გაეცნობით ინფორმაციას საკითხის - როგორ უზრუნველვყოთ ბავშვების განვითარების და კეთილდღეობის ხელშემწყობი გარემოს შემქნა - შესახებ.

თავი 2. სოციალური გარემო

კვლევები ადასტურებს, რომ პოზიტიური გარემოს გარეშე, სადაც ჯანსაღი ურთიერთობებია ბავშვებსა და უფროსებს შორის, შეუძლებელია შედეგების მიღწევა სერიოზული საგანმანათლებლო ამოცანებისა თუ დასახული სასწავლო მიზნების არსებობის შემთხვევაშიც კი. სტრესულ გარემოში ვერავინ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას.

პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებასა და მის შენარჩუნებაში მკვლევრები ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორად თვლიან საგანმანათლებლო პერსონალისა და ბავშვების სტაბილურ ურთიერთობას ადრეული წლების განმავლობაში. ისინი თვლიან, რომ არ არის მიზანშეწონილი ბავშვებს ბაღში შესვლიდან მის დასრულებამდე შეეცვალოთ ძირითადი საგანმანათლებლო პერსონალი და ბავშვების ჯგუფი. აუცილებლობის შემთხვევაში კი ჩანაცვლების პროცესის ეტაპობრივად და უმტკივნეულოდ განხორციელებას გვირჩევენ.

როგორ შევუწყოთ ხელი მჭიდრო ურთიერთობებს ბავშვებს, უფროსებს და ბავშვებსა და უფროსებს შორის? როგორ მოვახერხოთ, რომ ეს ურთიერთობები იყოს მყარი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული? ქვემოთ მოცემული სტრატეგიები გვეხმარება პოზიტიური და ხელშემწყობი სოციალური გარემოს შექმნაში, რაც თავისთავად განაპირობებს პოზიტიურ განწყობას და თავიდანვე გვარიდებს უამრავ პრობლემას.

პატივისცემა და ფსიქიკურად უსაფრთხო გარემო

რას ნიშნავს სოციალური გარემო?

სოციალური გარემო არის ის, რასაც ადამიანებს შორის ურთიერთობები ქმნის. ბაღის შემთხვევაში კი ეს არის გარემო, რომელიც იქმნება ბავშვებსა და უფროსებს შორის, თავად ბავშვებს შორის, ბაღის პერსონალს, ბაღის პერსონალსა და მშობლებს შორის ურთიერთობებით.

პოზიტიური სოციალური გარემო გულისხმობს იმგვარ გარემოს, რომელშიც ბავშვები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და აქვთ ურთიერთობები, რომლებიც არ უქმნის საფრთხეს მათ ფსიქიკურ და ემოციურ კეთილდღეობას. უსაფრთხო, მორგებული და მზრუნველი გარემო სწავლისა და განვითარების ხელშემწყობი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. გარდა ამისა, ასეთი გარემო ამცირებს ბავშვებში რთული ქცევის გამოვლენის ალბათობას.

პოზიტიური სოციალურ გარემოს შექმნაში უმთავრესი პატივისცემაა. საკუთარი თავის, სხვა ადამიანებისა და მათი უფლებების, ნივთებისა თუ

გარემოს პატივისცემა ძალიან გვეხმარება ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში როგორც ბავშვობაში, ისე - ზრდასრულ ასაკშიც.

ბავშვის პატივისცემა

ბავშვის პატივისცემა მისი, როგორც პიროვნებისა და თანასწორის, აღიარებას გულისხმობს.პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა ისეთი ინტერაქციაა, რომლის დროსაც ბავშვი ხვდება და ხედავს, რომ მას, როგორც თანასწორს, აღიარებენ მისი ყველა თვისებისა და მახასიათებლის გათვალისწინებით. ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ აფასებდნენ, პატივს სცემდნენ და ზრუნავდნენ მათზე.

ბავშვების გარშემო მყოფ უფროსებს შორის პოზიტიური და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები ბავშვებს შორის არსებულ ურთიერთობებს განაპირობებს.

პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები ეხმარება ბავშვებს მრავალი კომპეტენციის განვითარებაში. როდესაც ბავშვებს პატივს ვცემთ ყველა იმ თვისებითა თუ მახასიათებლებით, რომელთა მატარებლებიც არიან, ჩვენ ვეხმარებით საკუთარ თავზე პოზიტიური წარმოდგენის შექმნაში, რაც, თავის მხრივ, ეხმარება მათ საკუთარი მნიშვნელობის გააზრებაში.

ბავშვებისა და მათი ოჯახების, კულტურის, რწმენისა და ენის, რომელზეც სახლში ლაპარაკობენ, პატივისცემით ხელს ვუწყობთ მათ, იამაყონ საკუთარი თავით, წარმომავლობითა თუ კულტურით, ვხდით მეტად თავდაჯერებულს, რაც ეხმარება ბავშვებს საკუთარი აზრის თამამად გამოხატვასა და არჩევანის გაკეთებაში. ბავშვების შეხედულებებისა და არჩევანის ცოდნა კი ძალიან მნიშვნელოვანია ბაღებში საგანმანათლებლო პროცესების წარმართვისას.

გარდა ამისა, ბავშვები, რომელებიც ხედავენ, რომ მათი აზრი და არჩევანი ღირებულია უფროსებისათვის, თავადაც გრძნობენ გარკვეულ პასუხისმგებლობას, პატივი სცენ სხვის აზრს, არჩევანს, ნივთებსა თუ გარემოს.

მშობლებისა და კოლეგების პატივისცემა

ბავშვების კეთილდღეობაზე ძალიან დიდი გავლენა აქვს ინტერაქციას ოჯახის წევრებს, თემსა და ბაღის პერსონალს შორის, რადგან უფროსების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებები და ურთიერთობები იმ სოციალური გარემოს ნაწილია, რომელიც განაპირობებს ბავშვის წარმატებულ სწავლასა და განვითარებას. გარდა ამისა, ბავშვები ხშირად სწავლობენ მიბაძვით და მათთვის უფროსების ურთიერთობები მაგალითია საკუთარი ურთიერთობების უკეთ წარმართვისთვის.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია კოლეგებს შორის თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები - მივმართავდეთ რჩევით და ვიზიარებდეთ მათ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხზე, ვუზიარებდეთ ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა თუ გამოცდილებას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის განვითარების ხელშეწყობასა და მათთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში მთავარი პარტნიორი ბავშვის ოჯახია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ბაღსა და ოჯახს შორის, ჩვენსა და ბავშვის მშობლებს შორის ურთიერთგაგებაზე, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება.

მშობლების მოსმენა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება უწყობს ხელს პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, რომ ბაღის თანამშრომლები თანაბრად კეთილგანწყობილნი იყვნენ ყველა მშობელთან ურთიერთობისას, განურჩევლად მშობლების პიროვნული (სქესი, ასაკი, რელიგიური მიკუთვნებულობა, მშობლიური ენა, შესაძლებლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა) თუ ოჯახური მახასიათებლებისა.

უფროსი, როგორც გულისხმიერი, უსაფრთხო და მხარდამჭერი პარტნიორი

პატივისცემაზე დაფუძნებული და უსაფრთხო გარემო იქმნება ბაღის თანამშრომლებისა და განსაკუთრებით საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. გარდა ამისა, ბავშვები უნდა გრძნობდნენ, რომ ჰყავთ მხარდამჭერი და გამგები უფროსი მეგობარი, რომელთანაც თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს. ამისათვის, საგანმანათლებლო პერსონალმა რამდენიმე სტრატეგია უნდა გაითვალისწინოს:

ურთიერთობა თითოეულ ბავშვთან

ყველა ბავშვი განსხვავებულია, ამიტომ თითოეულის უკეთ გასაცნობად, მათი განსაკუთრებული და უნიკალური თვისებების გამოსავლენად, ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ, ინდივიდუალურად ვესაუბროთ და დავამყაროთ მათთან კონტაქტი. ამ დროს აუცილებელია, ვკონცენტრირდეთ, რას ამბობს და აკეთებს ბავშვი და არ იყოს ეს ფორმალური კომუნიკაცია და უკუკავშირი.

ბავშვებს მიესალმეთ სიხარულით, გამოხატეთ სიყვარული, ხშირად გაუღიმეთ და იცინეთ მათთან ერთად. აღნიშნეთ მათი ყველა პატარა მიღწევა. გაიმეორეთ მათი პირველი სიტყვები და დაეხმარეთ პირველი წინადადებების ჩამოყალიბებაში.

აგრძნობინეთ ბავშვს, რომ თქვენი ნდობა შეიძლება. იყავით ახლოს ყოველთვის, როცა მათ სჭირდებით; გააფრთხილეთ, როცა გადიხართ ოთახიდან; ყოველთვის შეასრულეთ მიცემული პირობა; გახსოვდეთ, რომ თქვენი უმთავრესი ამოცანა თითოეულ ბავშვთან კარგი ურთიერთობის დამყარებაა, ამიტომ ყოველდღიურად გამოყავით დრო თითოეულ ბავშთან ურთიერთობისთვის.

პატივისცემით საუბარი

ბავშვებთან საუბრისას საგანმანათლებლო პერსონალი ყოველთვის ფიქრობს, რას და როგორ ამბობს. მნიშვნელოვანია მზრუნველი ხმა და ინტონაცია. დაელაპარაკეთ ბავშვს, როგორც დაელაპარაკებოდით სხვა უფროსს, მოერიდეთ ენის მოჩლექვას, ზედმეტსახელების შერქმევას. როდესაც ბავშვებს ვესაუბრებით პატივისცემით, მათ ვაძლევთ მაგალითს, რაც სასურველი ქცევის დასწავლის ძალიან ეფექტური საშუალებაა ბავშვებისათვის.

ერთხელ გადავწყვიტე, მობილური ტელეფონით გადამეღო ჯგუფური შეხვედრა, რომელსაც პერიოდულად ვატარებ და რამდენიმე ბავშვი ყოველთვის სიამოვნებით უერთდება. ამისათვის კოლეგას დახმარება ვთხოვე.

მინდოდა, სხვა თანამშრომლებისთვისაც მეჩვენებინა, თუ რა ჯგუფურ თამაშებს ვიყენებ დილის პერიოდში.

მოგვიანებით გადავიტანე ვიდეორესურსი ოთახის კომპიუტერში და დავიწყე ყურება. სიტყვებით ვერც კი გადმოგცემთ ჩემს გაოცებას, როდესაც აღმოვაჩინე, რა ხმამაღლა, რა ტონითა და ინტონაციით მივმართავდი ბავშვებს - დაზაფრული, დიდხანს ვფიქრობდი, ნუთუ, სულ ასე ვყვირი და ველაპარაკები-მეთქი ბავშვებს.

აღმზრდელი ნანა

არჩევანის პატივისცემა

მოცემული კურიკულუმის განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის არჩევანის მიცემა და არანაკლებ მნიშვნელოვანი - ამ არჩევანის პატივისცემა მაშინაც კი, როდესაც არ ვთვლით ბავშვის არჩევანს საუკეთესო გადაწყვეტილებად იმ მომენტში. თუ, მაგალითად, ვფიქრობთ, რომ კონკრეტული ბავშვისათვის სასარგებლო იქნება ჩვენ მიერ შეთავაზებულ აქტივობაში ჩართვა, თუმცა ბავშვი სხვა საქმიანობას ირჩევს, არ უნდა გავაკრიტიკოთ ბავშვი განსხვავებული არჩევანის გამო და ცხადია, არ უნდა ვაიძულოთ მასში ჩართვა.

თანაგრძნობის გამოხატვა

იმისათვის, რომ ბავშვებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი და თამამად მოგვმართონ სხვადასხვა სიტუაციაში, უნდა გრძნობდნენ, რომ ჩვენ მათი გვესმის და ვუთანაგრძნობთ. ამიტომ უნდა გავიზიაროთ ბავშვების გრძნობები და არ "გავაუბრალოთ" ისინი. თუ ბავშვს რაიმე ეტკინა ან ეწყინა, სიტყვების „არა უშავს, გაგივლის, რა პრობლემაა" ნაცვლად, შეეცადოთ, "ავირეკლოთ" მათი გრძნობები და ვუთხრათ: „ძალიან გტკივა? მესმის, რომ გეწყინა. რამე გაწუხებს?"

ბავშვების წარმატების ხაზგასმა

მხარდამჭერი საგანმანათლებლო პერსონალი ერიდება ბავშვების შეფასებას: “კარგი გოგო ხარ”, “ჭკვიანი ბიჭი ხარ”. უმჯობესია, ხაზი გავუსვათ ბავშვების კონკრეტულ წარმატებას: “შენ თვითონ ჩაიცვი ქურთუკი.” “ეს რთული ფაზელი იყო და შენ მაინც ააწყვე.” , რაც ბავშვისთვის დამატებითი სტიმულია, კიდევ მიაღწიოს წარმატებას, კვლავ ჩაიცვას ქურთუკი ან ააწყოს ფაზელი.

გაცნობა - წლისა და დღის დასაწყისი

ბავშვებთან, მათ ოჯახებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება მათთან პირველი შეხვედრიდან იწყება, ამიტომ მნიშვნელოვანია ის თუ რა ტრადიციებს შევქმნით და რა წესებს შევიმუშავებთ ბავშვების ბაღში მიღებისას, ოჯახების დასახვედრად და მათ გასაცნობად.

ყველა ოჯახისთვის ბავშვის ბაღში მიყვანის პერიოდი გარკვეულ ნერვიულობასა და სტრესთან არის დაკავშირებული - როგორ შეეგუება ბავშვი, როგორ იგრძნობს თავს უცხო გარემოში, როგორ მოიქცევა? ამ დროს მშობლებსაც და ბავშვებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ ჩვენგან. მხარდაჭერის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს ხშირი კომუნიკაცია სატელეფონო ზარის, მესიჯის ან პირდაპირი საშუალებით.

მას შემდეგ, რაც პოზიტიური და კეთილგანწყობილი ურთიერთობა მშობლებთან ჩამოყალიბებულია, შეიძლება მათთან ერთად სტრატეგიებზე მუშაობა, რაც დაეხმარება და გაუადვილებს ბავშვებს ბაღთან შეგუებას.

რამდენიმე დღეა ამ ბაღში გავდივარ სასწავლო პრაქტიკას. ეს რთული პერიოდია, რადგან წლის დასაწყისია და ზოგიერთი ბავშვი პირველად მოდის ბაღში. დღეს ლიზასთვისაც პირველი დღეა ბაღში, ის ორი კვირის წინ გახდა სამი წლის. ბაღის შესასვლელში დედას უფრო მეტად უჭერს ხელზე ხელს.

ისინი ერთად შემოდიან ჯგუფში. ქალბატონი ქეთი (აღმზრდელ-პედაგოგი) თბილად ესალმება ბავშვსა და მშობელს და აჩვენებს მათ ტანსაცმლის კარადას. ლიზა ზურგჩანთას ინახავს, შემდეგ კი დედას ეუბნება ყურში: დეე, უკვე წავიდეთ რა სახლში, აღარ მინდა ბაღში.

დედა უხსნის, რომ ის აქ უნდა დარჩეს ბავშვებთან და აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად, სადილის მერე კი მოაკითხავს და წაიყვანს. ჯგუფიდან გამოსულ დედას ესმის ლიზას ტირილი და თვითონაც ცრემლები ადგება თვალებზე.

პრაქტიკანტი აღმზრდელი ირინე

ვიზიტი ოჯახში

არსებობს ისეთი პრაქტიკა, რომლის დროსაც აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვის ბაღში რეგისტრაციის შემდეგ, წინასწარ სტუმრობს ბავშვის ოჯახს მათ გასაცნობად. ამ დროს ის აყალიბებს ურთიერთობას ბავშვთან არაფორმალურ, ბავშვისათვის სანდო ოჯახურ გარემოში, ეცნობა მას, ესაუბრება მშობლებსა და ოჯახის წევრებს ბაღის შესახებ. ამის შემდეგ ბავშვი უფრო მეტი ნდობით განიმსჭვალება აღმზრდელ-პედაგოგის მიმართ და ის აღარ არის უცხო ადამიანი. ეს კი ბავშვის ბაღში უმტკივეული მოსვლას უწყობს ხელს.

წელს სამ-ოთხწლიანი ბავშვების ახალი ჯგუფი ამყავს. სოფელში 15 ასეთი ბავშვი მოგროვდა. რადგან ბავშვების რაოდენობა არც ისე ბევრი აღმოჩნდა, გადავწყვიტე ოჯახებში ვიზიტის სტრატეგიის გამოყენება.

დავუკავშირდი ოჯახებს და შევუთანხმდი დროზე. ოჯახში ვიზიტისას ბევრი ვეთამაშე ბავშვს, პარალელურად კი ოჯახს ვუყვებოდი ბაღის და ჩემ შესახებ. საუბრისას ვცდილობდი გარკვევას, როგორ ჩამერთო ოჯახი ბაღის საგანმანათლებლო პროცესში.

ბაღის დაწყების დღეს ბავშვებსა და მათ ოჯახებს ეზოში დავხვდი.

ძალიან გამიხარდა, რომ ბევრი ბავშვი მორბოდა და მეხუტებოდა, მშობლები კი მესალმებოდნენ და თბილად მოიკითხავდნენ ჩემს ამბებს.

აღმზრდელ-პედაგოგი ელისაბედი

წინასწარი ვიზიტი ბაღში

არსებობს სხვაგვარი სტრატეგიაც, როცა ოჯახი ბავშვთან ერთად ბაღის დაწყებამდე სტუმრობს აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს იმ ჯგუფსა და გარემოში, სადაც ბავშვი უნდა მივიდეს პირველ დღეს. აღმზრდელ-პედაგოგი აცნობს ოჯახს ბაღის ჯგუფის გარემოს, რესურსებს, ეზოს, ბაღის პერსონალს.

წელს გადავწყვიტე გაცნობის ერთი ახალი სტრატეგიის გამოყენება. როცა საგანმანათლებლო პროცესის საწყის ეტაპზე, ბავშვის ოჯახის ბაღში ვიზიტისას, ჯგუფში ოჯახური გარემო შევქმენი.

შევიძინე პატარა სავარძელი, შემოვიტანე რამდენიმე სკამი უფროსებისთვის და აღმზრდელ-პედაგოგს ასეთი შეხვედრებისთვის ჯგუფში სივრცის გამოყოფა ვთხოვე. მშობლებს მოველაპარაკე, შეხვედრაზე მოეყვანათ შვილიც, ჯგუფის ბავშვებს კი წინასწარ მოვუყევი სტუმრობის შესახებ. ასევე, ვთხოვე, გაეხსენებინათ ის ემოციები, რაც ბაღში პირველად მოსვლისას განიცადეს. შემდეგ კითხვით მივმართე მათ: ხომ არ დავეხმაროთ ახალ ბავშვს ჯგუფის გაცნობაში?. შეხვედრისას მშობლებთან ერთად გასაუბრებისთვის გამოყოფილ სივრცეში დავსხედით, რა დროსაც ბავშვი თავისუფლად გადაადგილდებოდა ჯგუფის ოთახში, ერთვებოდა სხვადასხვა საქმიანობაში და მასპინძელი ბავშვები აცნობდნენ სტუმარს სხვადასხვა სივრცესა და რესურსებს. გასაუბრების შემდეგ ოჯახის წევრებს ბაღის დათვალიერება შევთავაზე. ბავშვს შეეძლო ჯგუფში დარჩენა, ხოლო სურვილის შემთხვევაში, მშობლებთან ერთად დაეთვალიერებინა ბაღი.

ბაღის ხელმძღვანელი ანა

პირველი დღეები ბაღში

ბავშვებისთვის ბაღთან შეგუების გამარტივების ერთ-ერთი სტრატეგიაა გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ერთი-ორი კვირა, საჭიროების მიხედვით) ბაღში ოჯახის წევრებთან ერთად სიარული. ამ დროს საშუალება უნდა მივცეთ მშობლებს ან ოჯახის სხვა წევრებს, დარჩნენ ჯგუფში და ბავშვებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საქმიანობაში.

ამ პერიოდში ბავშვები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, რადგან მათთან ოჯახის წევრია. ისინი ეგუებიან, ეჩვევიან გარემოს და დღის გარკვეულ რიტუალებს. ბავშვები თანდათანობით გრძნობენ, რომ ეს გარემო მათთვის უსაფრთხოა და შემდგომ დღეებში უფრო მარტივად ეგუებიან ამ მნიშვნელოვან ცვლილებას მათ ცხოვრებაში.

მშობლებთან დამშვიდობება

მშობლებთან დამშვიდობების რიტუალი მნიშვნელოვანია, რათა ბავშვმა თავი არ იგრძნოს მოტყუებულად და მიტოვებულად. ეს რიტუალი მშობლის მხრიდან სიყვარულის გამოვლენას და დღის პოზიტიურ დასაწყისს უკავშირდება.

მშობელი არწმუნებს ბავშვს, რომ მოგვიანებით აუცილებლად მოაკითხავს და სახლში წაიყვანს შვილს. მშობელი ბავშვს ემშვიდობება, ეხუტება, ხელს უქნევს ან ჰაეროვან კოცნას უგზავნის მას. არც მშობელმა, არც ბაღის პერსონალმა არ უნდა მოატყუოს ბავშვი და გაუჩინოს მას ცრუ მოლოდინი; არ „გაიპაროს“ ან მისცეს დაპირება, რომელსაც არ შეასრულებს. იმისათვის, რომ დამშვიდობება მაქსიმალურად უმტკივნეულო იყოს, ჩვენ უნდა:

- მივცეთ ყველა ბავშვს საშუალება აჩქარების გარეშე, წყნარად დაემშვიდობოს თავის მშობელს;
- ვთხოვოთ მშობელს, დაუტოვოს ბავშვს მისი რაიმე ნივთი დასადასტურებლად და დასარწმუნებლად, რომ აუცილებლად დაბრუნდება და მოაკითხავს მას: „შეგიძლია შემინახო ეს წიგნი შენს ნივთებთან ერთად? რომ მოვალ, ერთად წავიღოთ სახლში“;
- ავიყვანოთ ბავშვი ხელში (პატარა ასაკი 2-3 წელი) და დავეხმაროთ მშობელთან დამშვიდობებაში, მივცეთ საშუალება ჩაეხუტოს და აკოცოს მას, შემდეგ კი მივიყვანოთ ფანჯარასთან ან კარებთან, საიდანაც ერთად დავუქნევთ ხელს;
- მშობლის წასვლის მერე თუკი ის განიცდის, დავრჩეთ ბავშვთან და ვესაუბროთ მის გრძნობებზე, ვაგრძნობინოთ, რომ გვესმის მისი;
- დავუკავშირდეთ მშობელს დღის განმავლობაში და დავაწყნაროთ ის ბავშვთან რთული განშორების შემდეგ.

სადილის შემდეგ, როცა დედა ბრუნდება ლიზას წასაყვანად, ქალბატონი ქეთი (აღმზრდელ-პედაგოგი) უხსნის მას დამშვიდობების სტრატეგიას, აჩვენებს ფანჯარას, საიდანაც შეუძლია ხელი დაუქნიოს ლიზას წასვლისას და სთავაზობს ამგვარი დამშვიდობების იმ დღესვე ცდას, რათა ლიზამ გაიგოს, საიდან გააცილოს დედა მეორე დღეს.

პრაქტიკანტი აღმზრდელი ირინე

ნივთი სახლიდან

სახლიდან საყვარელი სათამაშოს ან რაიმე სხვა ნაცნობი ნივთის ბაღში ტარება დამამშვიდებლად მოქმედებს ბავშვზე. სახლის სუნი, ამ სათამაშოსთან ჩახუტება დილის განშორების შემდეგ აწყნარებს ბავშვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასეთი ნივთები შედარებით პატარა ასაკის ბავშვებისთვისაა.

ფიზიკური გარემო, რომელიც სახლს გვაგონებს

ბაღის გარემო, რომელიც ბავშვების სახლის გარემოს ჰგავს, ეხმარება მათ უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი ბაღში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასეთი ფიზიკური გარემოს შექმნა. ამისათვის კი არსებობს მრავალი სტრატეგია, რომლებიც დეტალურად ამ წიგნის მე-3 თავშია განხილული.

დამხვედრი მეგობარი

ბავშვები უფრო ადვილად ეგუებიან გარემოს, სადაც მეგობარი ჰყავთ. თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ ბავშვს (ვინც უკვე მიჩვეულია ბაღს და ვისაც აქვს ამის სურვილი), გახდეს ახალი ბავშვის "დამხვედრი მეგობარი". მისი მოვალეობა

ახალ ბავშვის დახვედრა და რომელიმე სათამაშო კუთხეში გაძღოლაა. „დამხვედრ მეგობარს“ შეუძლია, დაათვალიერებინოს ახალმოსულს სათამაშოები თუ სხვა რესურსი. ყურადღება მიაქციეთ და დარწმუნდით, რომ ბავშვები კარგად ურთიერთობენ და არ აწუხებენ ერთმანეთს.

ოჯახური ფოტოები

ხშირად სახლის გარემოს ბაღის გარემოში ასახვას აადვილებს ვიზუალური მინიშნებები და ოჯახის სიმბოლოები - მაგალითად,ჯგუფში გამოკრული ბავშვის ოჯახური ფოტოები ან ხელნაკეთი წიგნები ამ ფოტოებით. შესაძლებელია დიდი ხის გაკეთება, რომლის ტოტებზეც დამაგრდება ბავშვების ოჯახებთან ერთად გადაღებული ფოტოები, როგორც ჯგუფის ერთობის სიმბოლო.

გამოკრული განრიგი

დღის განრიგი შეიძლება დაამზადოთ ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოებით ან სხვა რესურსით, რაც ბაღში ყოფნის დროს ეხმარება ბავშვებს დროის მიმდინარეობის აღქმაში.

მეორე დღეს, როცა ლიზა და დედა ჯგუფში შემოვიდნენ, დედამ შვილს ყურადღება მიაქცევინა ვიზუალურ განრიგზე და უთხრა: აი, ხედავ? ჯერ გექნებათ დრო თამაშისათვის, შემდეგ ისაუზმებთ და ეზოში გახვალთ, - იქაც ითამაშებთ. აი, სადილის შემდეგ კი მე მოვალ და წაგიყვან. დედის წასვლის შემდეგ ქალბატონი ქეთი და ლიზა ხშირად მიდიან განრიგთან, რომ ნახონ რა მოხდა უკვე და კიდევ რა დარჩათ გასაკეთებელი დღის ბოლომდე.

პრაქტიკანტი აღმზრდელი ირინე

სოციალური ზღაპრები და ამბები

სოციალური ამბავი არის ინდივიდუალიზებული ისტორია და მსგავსია იმ სიტუაციის, რომელშიც იზრდება ბავშვი და გვთავაზობს არსებული პრობლემის მოგვარების გზებს. სოციალური ამბავი ან ზღაპარი შეიძლება შეიქმნას ილუსტრირებული წიგნის სახით, იყოს ხელნაკეთი ან მოთხრობილი ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. სოციალური ზღაპრებისა და ამბების სტრატეგიის გამოყენება უადვილებს ბავშვებს ბაღში მოსვლასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ბაღთან შეჩვევას.

ამ შემთხვევაში სოციალური ამბავი ბაღში მოსვლას ეხება. ის შეიძლება იყოს ილუსტრირებული (ხელნაკეთი) წიგნი, მოთხრობილი პირველ პირში: მე ვემშვიდობები დედას და შემოვდივარ ჩემს ჯგუფში, კარადაში ვკიდებ ზურგჩანთას და მივდივარ კუბებით სათამაშოდ და ა.შ.

ზღაპრის ან ამბის ეფექტიანობისთვის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მისი ყოველდღიური წაკითხვაა საჭირო.

შესაძლოა, შეირჩეს ისეთი შინაარსის საბავშვო მოთხრობა ან წიგნი, სადაც მოთხრობილი იქნება მსგავსი გამოცდილების შესახებ, რაც დაეხმარება ბავშვს ადაპტაციაში - მაგალითად “ ტოპო-ტიპი ბაღში მიდის”.

ბავშვებს, რომლებისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა, შეუძლიათ ასეთი წიგნების მშობლიურ ენაზე მშობლებთან ერთად წაკითხვა. წიგნების ბავშვებისთვის შეთავაზება შეუძლია ბაღს, თუმცა ბავშვსაც აქვს საყვარელი წიგნების სახლიდან მოტანის უფლება. სასურველია ბავშვის მშობლიურ ენაზე მარტივი სიტყვებისა და ფრაზების სწავლა. კარგი იქნება, თუ ამ ფრაზებსა და სიტყვებს ბავშვებსაც ვასწავლით, რათა უკეთესად შეძლონ ურთიერთობა ერთმანეთთან.

სიმღერები

ერთ-ერთი სტრატეგია სიმღერა და ტექსტში ბავშვების სახელების ჩართვაა. ეს შეიძლება იყოს მისალმების ან ბავშვის საყვარელი სიმღერა. სიმღერები

თავადაც შეგვიძლია მოვიფიქროთ. სასურველია, ეს სიმღერები მოვასმენინოთ და მათი სახლში მღერაც ვურჩიოთ ოჯახის წევრებსაც. სიმღერას, რომელიც უკვე ნაცნობია ბავშვისთვის ოჯახური გარემოდანაც, დახმარების აღმოჩენა შეუძლია მაშინ, როცა მშობლის მიერ ბაღში დატოვებულ ბავშვს უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება. ასეთ დროს მოვკიდებთ ბავშვს ხელს და ვუმღერებთ მისთვის ნაცნობ სიმღერას. თავდაპირველად, არ არის გამორიცხული, ბავშვი პასიური მსმენელის როლში იყოს, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა, აგვყვეს კიდეც სიმღერის შესრულებისას.

სენსორული საქმიანობები

სენსორული საქმიანობები, (მაგალითად,ქვიშაში და წყალში თამაში), რბილი სათამაშოებით თამაში, მუსიკა, ცეკვა და ა.შ. ეხმარება ბავშვებს გართობასა და ოჯახთან განშორებით გამოწვეული სირთულეების დაძლევაში. სწორედ ამიტომ კარგი იქნება, თუ საწყის ეტაპზე ბავშვებს - განსაკუთრებით, კი პატარებს შესთავაზებთ შესაბამის მასალას, რომელიც მათთვის მთელი დღის მანძილზე იქნება ხელმისაწვდომი. ასევე შეგვიძლია ამ მასალის გამოყენებით კონკრეტული

აქტივობების დაგეგმვა და ბავშვების სურვილისამებრ ჩართვა საქმიანობებში.

ამგვარ სტრატეგიებს ვიყენებთ ბავშვების ბაღთან შეგუების პერიოდში და პარალელურად მჭიდროდ ვთანამშრომლობთ მშობლებთან. შესაძლოა, თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური მიდგომის მოფიქრება გახდეს საჭირო მათთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

თვითდისციპლინა

თვითდისციპლინა არის ადამიანის უნარი, გააკონტროლოს საკუთარი საქციელი და მოიქცეს კონკრეტულ საზოგადოებაში გავრცელებული წესებისა და ნორმების მიხედვით ყველანაირი გარე შეხსენებისა ან მითითების გარეშე. ამ უნარის განვითარება ადრეულ ასაკში იწყება და სწორედ ეს უნარი გვეხმარება ბაღებში პოზიტიური სოციალური გარემოს შექმნაში. როდესაც ბავშვი იცავს წესებს, ნაკლებად ავლენს რთულ ქცევას და სხვებთან ურთიერთობს ელემენტარული ნორმების დაცვით, ეს ქმნის პოზიტიურ ურთიერთობებს ბავშვებს შორის. თვითდისციპლინა არ არის მხოლოდ წესების დამორჩილება. საინტერესოა მოტივი - ანუ რატომ იცავს ბავშვი კონკრეტულ წესს. შესაძლოა, ბავშვი იქცეოდეს წესებისა და ნორმების შესაბამისად იმიტომ, რომ ამგვარი ქცევა სწორი ჰქონია - ასე უნდა იქცეოდეს ყველა. ეს არის თვითდისციპლინა. თუმცა ბავშვები ხშირად ემორჩილებიან წესებს და ასრულებენ ჩვენს მითითებებს მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსებს ასიამოვნონ, მიიღონ ჯილდო ან თავიდან აიცილონ სასჯელი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბავშვი იქცევა წესებისა და ნორმების შესაბამისად, როდესაც იცის, რომ მას უყურებენ. ბავშვი სულ სხვაგვარად შეიძლება მოიქცეს, თუკი არ იცის, რომ მას აკვირდებიან („გარე დამკვირვებლის“ ფაქტორი). თუკი თვითდისციპლინისთვის მისაღები საქციელი ბავშვის ბუნებრივი არჩევანია და ის „სწორად“ იქცევა მაშინაც კი, როდესაც არავინ უყურებს, ეს არის საფუძველი ბავშვის სოციალური ადაპტაციისა იმ საზოგადოებაში, რომელშიც უწევს ცხოვრება და ურთიერთობების დამყარება.

პოზიტიური დისციპლინა არის ის მიდგომა, რომელიც ბავშვებში თვითდისციპლინის განვითარებას უწყობს ხელს. პოზიტიური დისციპლინის მიზანი ბავშვებში „არაშესაფერისი“ ქცევის პრევენცია ან შეცვლაა. პოზიტიური დისციპლინა ხელს უწყობს იმ ცხოვრებისეული უნარების განვითარებას, რომლებიც ეხმარება ბავშვებს სოციალურად თუ ემოციურად მდგრად ადამიანებად გაზრდაში, რათა შეძლონ როგორც გარშემომყოფებთან ადეკვატური ურთიერთობის დამყარება, ისე საკუთარი თავის დადებითად აღქმა.

პოზიტიური დისციპლინის სტრატეგიები მოიცავს არამხოლოდ ქცევის მართვის კონკრეტულ ტექნიკებს, არამედ პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას.

ცოდნა იმის შესახებ, რა არის „მისაღები“ და „მიუღებელი“ ქცევა, არ არის თანდაყოლილი, მაგრამ ბავშვები ადრეული ასაკიდანვე იწყებენ ამის სწავლას და გაგებას, რაშიც ძალიან გვეხმარება გარკვეული წესები, რომლებიც კონკრეტულ შეზღუდვებსა და “საზღვრებს” უწესებს მათ. თუმცა ეს საზღვრები და შეზღუდვები გონივრულად უნდა შეირჩეს და ბავშვებს მკაფიოდ განემარტოთ ამ წესების დაცვის მნიშვნელობის შესახებ. შესაძლოა, ბავშვებისათვის წესების ახსნაზე უფრო ეფექტური წესების მათთან ერთად შემუშავება იყოს. ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ ბავშვებს წესების ერთობლივად შემუშავება და ავუხსნათ, რომ რესურსები (სათამაშოები და სხვადასხვა ნივთები), რომლებითაც ასე ვერთობით დღის განმავლობაში, დაზიანდება, თუ არ შევინახავთ ყუთებსა თუ თაროებზე. ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა განვუმარტოთ, რომ იატაკზე დაყრილ სათამაშოებს შემთხვევით შეიძლება ფეხი დავადგათ, გავტეხოთ ან ისეთ ადგილას შევაგდოთ, შემდგომში მოძებნა გაგვიჭირდეს. შესაძლოა, სათამაშოზე ფეხის დაბიჯებით ბავშვი წაიქცეს და რამე იტკინოს. ახსნა-განმარტების შემდეგ ვკითხოთ ბავშვებს, რა წესების მოფიქრება შეიძლება სათამაშოებთან დაკავშირებით? ან რა უნდა ვქნათ, ასე რომ არ მოხდეს? კარგი იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი წესის ერთობლივად შემუშავება და მუშაობის პროცესში ყველა ბავშვისთვის აზრის გამოთქმის საშუალების მიცემა.

ბავშვები უფრო მეტი ალბათობით დაიცავენ წესებს, თუ მათ დაცვას სახლშიც შეახსენებენ ოჯახის წევრები, ამიტომ მიზანშეწონილია ბაღში არსებული

წესების ოჯახის წევრებისთვის გაცნობა. ვთხოვოთ მშობლებს, სახლშიც შეახსენონ ბავშვებს დადგენილი წესების შესრულება.

ერთმანეთთან ურთიერთობა და დამეგობრება

მოცემული კურიკულუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი (გამომდინარე როგორც ეროვნული და კულტურული ღირებულებებიდან, ისე - "XXI საუკუნის უნარებიდან") ბავშვებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება, მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება და ჯგუფის ერთობის შექმნაა, სადაც თითოეული წევრი თავს გრძნობს უსაფრთხოდ, მიღებული და აღიარებულია, ბავშვები და უფროსები პატივს სცემენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრებს და მზად არიან დახმარებისთვის.

ჯგუფის ერთობისთვის ძალიან მნიშნელოვანია ბავშვებს შორის პოზიტიური, თანამშრომლობითი, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება და გარიყვის მინიმუმამდე დაყვანა.

ჯგუფში პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება დიდწილადაა დამოკიდებული ბავშვების სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე. ზოგიერთ ბავშვს ეს უნარები ბუნებრივად კარგად აქვს განვითარებული, ამიტომ სირთულეების გარეშე ამყარებენ ურთიერთობას სხვებთან, ადვილად უმეგობრდებიან ადამიანებს და მუდმივად ყურადღების ცენტრში არიან, ზოგს კი უჭირს კომუნიკაცია, მარტო თამაშს ამჯობინებს ან სულაც არ იცის, როგორ დაამყაროს ურთიერთობა ბავშვებთან, ამიტომ სხვებისთვის მიუღებელ ქცევას იყენებენ, რაც უარყოფითად განაწყობს გარშემომყოფთ მათდამი. ასეთ ბავშვებს ჩვენი განსაკუთრებული მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება მეგობრების შესაძენად. არსებობს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნების ხელშემწყობი სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს პრობლემების გადაჭრასა და თანამშრომლობაში, თუმცა ნუ დავივიწყებთ, რომ ბავშვებისთვის სანიმუშო ქცევის მაგალითი ჩვენ ვართ - ჩვენი დამოკიდებულება ბავშვების, მშობლების, კოლეგებისადმი სიტყვებზე მეტის მსწავლელია.

მოთხრობა მეგობრობის შესახებ - კითხვა და დისკუსია

შეარჩიეთ პატარა საინტერესო მოთხრობა/დასურათებული წიგნი მეგობრობაზე და წაუკითხეთ ბავშვებს. კითხვის დასრულების შემდეგ იმსჯელეთ, როგორ დამეგობრდნენ პერსონაჟები, რა სიტყვები გამოიყენეს პირველი შეხვედრისას, როგორ დაეხმარნენ ერთმანეთს და გადაჭრეს ესა თუ ის პრობლემა.

მაგალითისთვის, ასეთი წიგნებია "რუ მგრგვინავი დინოზავრი", "ოლივერი და პეჩი", სადაც მოთხრობილია მშვენიერი ამბები მეგობრობაზე.

ბავშვების დაწყვილება ან დაჯგუფება პატარა ჯგუფებად

ხელი შეუწყვეთ ბავშვების პატარა ჯგუფებში თამაშს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ყველას ჰქონდეს სხვადასხვა ბავშვთან თანამშრომლობის საშუალება.

ზოგი აღმზრდელ-პედაგოგი სხვადასხვა თამაშისას იყენებს ბავშვების შემთხვევითი დაწყვილების სტრატეგიას და აძლევს ბავშვებს ინსტრუქციას, ერთად იმუშაონ ამა თუ იმ დავალებაზე. ეს შეიძლება იყოს მოზაიკის აწყობა, კოლაჟის გაკეთება, თავსატეხის ამოხსნა ან უბრალოდ რაიმეს გაყოფა. თავდაპირველად ბავშვები ერთად მოიფიქრებენ მოქმედების გეგმას და შემდეგ იწყებენ დავალების შესრულებას. დავალება უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთის მოსმენას, რიგის დაცვას, რაიმე პრობლემის გადაჭრას. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებმა შეძლონ ერთმანეთის მოსაზრებების გათვალისწინება.

წარმოსახვითი როლური თამაშები

სოციალური უნარების განვითარებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება წარმოსახვითი-როლური თამაშებია.

ამ ტიპის თამაშებში ჩართვით ბავშვები სწავლობენ თანამშრომლობას და პრობლემის გადაჭრას, იძენენ თანამშრომლობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც შემდგომ პრობლემური სიტუაციების მოგვარებისას იყენებენ. ეს არ არის სიტუაცია, სადაც რომელიმე ბავშვი კონფლიქტის ან სხვა რაიმე მიზეზის გამოა გაღიზიანებული. ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, არიან ბავშვები, რომელთაც სხვებთან გართობასა და საქმიანობაში ჩართვას მარტო თამაში ურჩევნია. ბუნებრივია, ჩვენი მოვალეობაა, პატივი ვცეთ მათ გადაწყვეტილებას, ინდივიდუალურობას - თუ ბავშვი სწორად იყენებს სოციალურ უნარებს, მნიშვნელობა არ აქვს მის მეგობრებთა რაოდენობას.

გოგოების და ბიჭების მეგობრობა

დაახლოებით ოთხი-ხუთი წლიდან გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე იწყებენ თამაშს. ეს შეიძლება მათი განსხვავებული ინტერესებით იყოს გამოწვეული, მაგრამ ხშირად ამგვარ დაყოფას სწორედ უფროსები განაპირობებენ ისეთი ფრაზებით, როგორიცაა:

„გოგონებო, ითამაშეთ საოჯახო კუთხეში".

"ბიჭებო, ააშენეთ მაღალი კოშკი."

ხშირად უფროსები გაუაზრებლად ვამბობთ ამგვარ ფრაზებს, რაც

სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე. ალბათ, ბავშვებისგან, რომლებიც არ ათამაშებენ და გარიყავენ ხოლმე სხვებს, თქვენც მოგისმენიათ ფრაზები: "ეს ბიჭების ადგილი არ არის," "წადი გოგოებთან ითამაშე" და სხვა. თუკი გვსურს, რომ მომავალში ბიჭებსა და გოგონებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი, ნურასდროს დავყოფთ ბავშვებს საქმიანობების მიხედვით. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ გოგონებსა და ბიჭებს ერთმანეთთან დამეგობრებაში. საქმიანობების მიხედვით გოგონებისა და ბიჭების დაყოფას უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ბავშვების კონკრეტული უნარების განვითარებაზე. შედეგი არასახარბიელო იქნება: მაგალითად, გოგონებს, რომლებსაც არ ვრთავდით "ბიჭების" საქმიანობებში, ნაკლებად განუვითარდეთ ის სფერო, რომლის განვითარებასაც ეს კონკრეტული "ბიჭების" საქმიანობა ემსახურებოდა.

კომპლიმენტები და დახმარება

სასურველია, ბავშვებს ვასწავლოთ კომპლიმენტების თქმა ერთმანეთისთვის, ვთქვათ: "რა კარგად გამოგდის ეს", "მომწონს, როგორი ცა დახატე" და ა.შ.

კარგი იქნება, თუ ვესაუბრებით ბავშვებს ერთმანეთისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა სიტუაციაში ურთიერთდახმარების მნიშვნელობაზე. მაგალითად, დაეხმარონ დაკარგული წინდის მოძებნაში, ათხოვონ მეგობარს სათამაშო, მიეშველონ ქურთუკის ჩაცმასა და თასმების შეკვრაში, რამის წამოღებაში, დაუკავონ ადგილი მაგიდასთან ან გაუზიარონ ტკბილეული.

ბავშვებთან ერთად მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება ერთმანეთის დახმარება.

ბავშვებს ვკითხე, როგორ შეუძლიათ ერთმანეთის დახმარება. მინდოდა, მათთვის მესწავლებინა, რაოდენ მნიშვნელოვანია დახმარება. აი, რა მიპასუხეს:

- *თუ დავინახავ, რომ რამე ეტკინა, მასწავლებელს დავუძახებ - თქვა სერგიმ.*
- *მე შემიძლია, დაგეხმარო თასმის შეკვრაში - მიპასუხა კატომ.*
- *ერთხელ გიორგი ვერ მისწვდა სასწორს და მე გადმოვუღე - სიხარულით გვამცნო ბექამ.*
- *შენ შეგიძლია დაეხმარო ადამიანს. თუ გინდა, მოკიდებ ხელს და ააყენებ - გვითხრა პატარა ლილემ.*

აღმზრდელი მარინე

სულ პატარების შემთხვევაში, წაახალისეთ მათი პოზიტიური კომუნიკაცია, როცა ხედავთ ურთიერთდახმარების პროცესში. აუცილებლად აღნიშნეთ, როდესაც კარგად ექცევიან ერთმანეთს. მაგალითისთვის: „მათე, ნინიკოს დაუხატე ნახატი? მიხარია, რომ იფიქრე მასზე“.

საერთო ინტერესების აღმოჩენა

მეგობრების შეძენის ერთ-ერთი დამხმარე სტრატეგია ბავშვების მსგავსი თვისებების, ინტერესების და საყვარელი საქმიანობების აღმოჩენა, შემდეგ



კი მათი დაკავშირებაა, რაც ეხმარება ბავშვებს ერთმანეთთან უფრო მყარი ურთიერთობის დამყარებაში. რა თქმა უნდა, ეს სტრატეგია არ გულისხმობს განსხვავებული თვისებებისა თუ ინტერესების მქონე ბავშვებისგან დისტანცირებას. დამკვირვებელი საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს ჯგუფის თითოეული წევრის ინტერესს. მსგავსი ინტერესების მქონე ბავშვების გამოსავლენად მოცემული დიაგრამის გამოყენება შეგიძლიათ.

როგორც დიაგრამის ნიმუშში ჩანს, თითო წრე არის ბავშვი - ამ შემთხვევაში, კესო და ნიკო. შესაბამის წრეში ვწერთ ბავშვების ინტერესებს, ხოლო საერთო ინტერესებს თავს ვუყრით შუაში. ამ დიაგრამიდან ჩანს, რომ კესოს და ნიკოს ჰყავთ ძაღლი და მოსწონთ ძერწვა. „გადაკვეთის წერტილების“ შესწავლის შემდეგ ვაკავშირებთ ბავშვებს ერთმანეთთან, ვთქვათ, ასე: „კესო, იცი, რომ ნიკოსაც ჰყავს ძაღლი? შემთხვევით, ერთნაირი ძაღლები ხომ არ გყავთ? ნეტავ, მისი ძაღლიც ისეთივე ცელქია, როგორც შენი?“

დამეგობრების სტრატეგიები მორცხვი ბავშვებისთვის

ერთმანეთთან დასამეგობრებლად როგორც პატარებს, ისე დიდებს უნდა ჰქონდეთ სურვილი და ღიად გამოხატავდნენ მას. არიან ბავშვები, რომლებიც პირდაპირ ეკითხებიან თანატოლებს „გინდა, იყო ჩემი მეგობარი?“, თუმცა რიგ შემთხვევებში შეკითხვის ადრესატები არ

პასუხობენ და სიმორცხვის გამო თაკილობენ ურთიერთობას. ასეთ ბავშვებს ერიდებათ მისალმებაც და მისალმებაზე საპასუხო რეაქციის გამოხატვაც.

ჩვენი მოვალეობაა, ავუხსნათ მორცხვ ბავშვებს, რატომ ჩაითვლება თანატოლის მიერ დასმული შეკითხვის პასუხად მისი დუმილი უარად - როდესაც ბავშვები გვესალმებიან ან კითხვით მოგვმართავენ, ჩვენ კი უპასუხოდ ვტოვებთ მათ, ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ არ გვინდა მასთან თამაში ან არ მოგვწონს იგი, რაც ძალიან საწყენია. თუკი გვსურს მეგობრების შეძენა და მათთან ურთიერთობა, თამაში, დროის ერთად გატარება, მათ ეს უნდა ვაჩვენოთ და ღიად გამოვხატოთ ჩვენი სურვილი. ამიტომ, ერთმანეთს უნდა მივესალმოთ, გავუღიმოთ, ვუყუროთ თვალებში, ველაპარაკოთ ხმამაღლა და მივმართოთ სახელით.

სამოდელო ქცევის ჩვენება ან აღწერა

რთულ სიტუაციებში საგანმანათლებლო პერსონალი ხშირად ითხოვს ბავშვებისგან გარკვეული ტიპის ქცევას, მაგრამ ზოგჯერ პატარებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ და არც ის ესმით, რას ითხოვენ მათგან. უპირველეს ყოვლისა, უფროსებმა უნდა მივცეთ ბავშვებს მაგალითი და თავად მოვიქცეთ ისე, როგორ მოქცევასაც ბავშვებისგან ვითხოვთ და მოველით - მაგალითად, პატივისცემით ვესაუბროთ და მოვეპყრათ როგორც ბავშვებსა და მშობლებს, ისე კოლეგებს; ვათხოვოთ და გავუზიაროთ ბავშვებსა და კოლეგებს ნივთები, დავიცვათ რიგი და ა.შ. ბავშვებისთვის რაიმეს სწავლება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი სწავლობენ მიბაძვით, ამიტომ მაინც მოიქცევიან, ისე როგორ ქცევასაც ხედავენ მათ ირგვლივ მყოფ უფროსებზე დაკვირვებისას.

ეფექტური სტრატეგიაა სამოდელო ქცევის კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენება -მაგალითად, ყოველთვის ვამბობთ მადლობას, როცა ბავშვებს სათამაშოების თავის ადგილას დალაგებას ვთხოვთ და მივუთითებთ, სად რა უნდა დადონ.

გარიყვის შემთხვევების შემცირება

ჯგუფებში ხშრია ხოლმე შემთხვევები, როდესაც ბავშვები დასცინიან, ცუდად ექცევიან ან გარიყავენ რომელიმე ერთ თანატოლს. საგანმანათლებლო პერსონალი ზოგჯერ ამჩნევს, რომ ბავშვს, რომელსაც ასე ექცევიან, არ აქვს კარგად განვითარებული სოციალურ - ემოციური უნარები, არ იცის, როგორ დაამყაროს პოზიტიური კომუნიკაცია, შესაბამისად, - გამოხატოს ემოციები ან დაიცვას თავი. ბავშვები, რომლებიც დაცინვისა და გარიყვის ობიექტები ხდებიან ბაღში, შესაძლოა, სკოლასა და შემდგომ უკვე საზოგადოებაშიც მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. ასეთ ბავშვებს განსაკუთრებულად უნდა დავეხმაროთ მეგობრების შეძენასა და სოციალური უნარების განვითარებაში. კარგად დააკვირდით, ბავშვის კონკრეტულად რომელი ქცევა იწვევს სხვა ბავშვების გაღიზიანებას, გამოიყენეთ ჯგუფთან მუშაობის ზემოთ აღწერილი სტრატეგიები, ესაუბრეთ ბავშვს და აუხსენით, როგორ მოიქცეს ან რა შეიძლება თქვას, როცა ვინმე რამეს ართმევს ან აწყენინებს, როგორ გამოხატოს ემოციები სიტყვებით (სტრატეგია "სამოდელო ქცევის ჩვენება"), დააწყვილეთ ან ჩართეთ სხვადასხვა მცირე ჯგუფების თამაშსა და მუშაობაში (სტრატეგია "ბავშვების დაწყვილება და დაჯგუფება მცირე ჯგუფებად").

აპრძალული სიტყვები

ერთ-ერთი მასწავლებელი ძალიან შეწუხებული იყო იმ გარემოებით, თუ როგორ გამოარჩევდნენ ერთმანეთს ბავშვები მის ჯგუფში.
ის დაეხმარა ბავშვებს ახალი წესის ჩამოყალიბებაში: ,,არ შეგიძლია თქვა - შენ არ ითამაშო''. დროთა განმავლობაში ამ წესმა ძალიან შეცვალა ბავშების ურთიერთობა, ბევრად უკეთ ექცეოდნენ ერთმანეთს, არავინ რჩებოდა გარიყული. მოგვიანებით მან დაწერა წიგნი ამ ისტორიის შესახებ.

ანდრო : *უნდა აალაგო მაგიდა, სანამ სულ არ გასუფთავდება.*

მარიამი: *თუ რამე დაგესხა და დაგეყარა ძირს არაუშავს, უნდა მოიტანო ასაღები და აიღო.*

კატო : *კუბები უნდა ჩაყარო ყუთებში.*

ყველა ვუვლით ბაღს, რადგან გვინდა, ლამაზი და სუფთა იყოს.

ზრუნვა ჯგუფის გარემოზე

ჯგუფი ყველას ეკუთვნის, ამიტომ მასზე ზრუნვაც თითოეულის მოვალეობაა, ამიტომ სასურველია, თავიდანვე გავაგებინებთ ბავშვებს, რომ ბაღი არის ოჯახური გარემოს მსგავსი დაწესებულება, სადაც ყველა უფრთხილდება ერთმანეთს, გარემოსა და ნივთებს. ესაუბრეთ ამ საკითხზე ბავშვებს ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებშიც: „ ხედავთ, რა სუფთა და ლამაზია ჩვენი ჯგუფი? აბა, რას ფიქრობთ, როგორ გავუფრთხილდეთ მას?“ მოისმინეთ და ჩამოწერეთ ბავშვების აზრები, რომელთა გადატანა დიდ ფორმატზეც შეგიძლიათ.

გადავწყვიტე, წლის დასაწყისიდანვე მესწავლებინა ბავშვებისათვის, როგორ ეზრუნათ ჯგუფის გარემოზე. ამ მიზნით, მოსახერხებელ დროს, ბავშვების მცირე ჯგუფებს ვუხსნიდი, როგორ მიელაგებინათ ოთახის სხვადასხვა კუთხე, გაეწყოთ სუფრა სადილისთვის, დახვედროდნენ სტუმრებს და დახმარებოდნენ ერთმანეთს. დროთა განმავლობაში ბავშვები მიეჩვივნენ თავიანთი სათამაშო ადგილების მოწესრიგებას. უკვე აღარ მჭირდება გამოცხადება, რომ ახლა ალაგების დროა, უბრალოდ მივდივარ ბავშვების მცირე ჯგუფებთან და ვინტერესდები, როდის დაასრულებენ იმ მომენტისთვის წამოწყებულ საქმიანობას და შემდეგზე გადასვლას როდის ისურვებენ. ვითვალისწინებ მათ სურვილს და ვაძლევ მათ დროს (ამ ნახატის დასრულების შემდეგ, ამ თამაშის დასრულებისას), რომლის მანძილზეც ბავშვები ასრულებენ საქმიანობას და ალაგებენ კუთხეს.

აღმზრდელ-პედაგოგი ქეთი

როგორც ამ მაგალითით ვხედავთ, ქეთიმ შეძლო, თავის ჯგუფში შეექმნა ბავშვზე ორიენტირებული გარემო, სადაც უფროსები დისციპლინის მკაცრი დამცველნი და მბრძანებელნი კი არა, ბავშვების დამხმარეები არიან. ქეთიმ ჩათვალა, რომ მორიგეობის ცხრილი შეუთავსებელია იმ კულტურასთან, რომლის შექმნაც სურდა ჯგუფში, სადაც ყველა ბავშვი ზრუნავს ერთმანეთსა და გარემოზე. მან არ შეზღუდა ბავშვების არჩევანი ყოველდღიური „დამხმარის“ განსაზღვრით.

მხიარული ყოველდღიური საქმიანობები

გიფიქრიათ, რომ დიდწილად ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი მოგონებები დარჩება ბავშვებს და როგორ გაიხსენებენ ბაღში გატარებულ დროს - როგორც სასიამოვნო ადგილს თუ როგორც ცუდ გამოცდილებას? აუცილებლად გავიაზროთ ჩვენი პასუხისმგებლობა და ბავშვებისთვის პროგრამების შედგენისა თუ დაგეგმვისას ჩავრთოთ მასში სახალისო აქტივობები, დავნერგოთ გასამხიარულებელი ტრადიციები და მოვაწყოთ დღესასწაულები, რომლებიც ბავშვებს სასიამოვნო მოგონებებად გაჰყვება.

ჩვევად მექცა, ყოველი დღის ბოლოს ვთხოვო ბავშვებს ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდის გახსენება. ბავშვები ყვებიან სხვადასხვა ისტორიას, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არ უკავშირდება თემას ან სასწავლო მიზანს, მაგრამ მათთვის რაღაცით მნიშვნელოვან ემოციურ გამოცდილებას ასახავს. მაგალითად, მაიკო იხსენებს, როგორ ჩამოეწუწა წვენი ნიკალას ნიკაპზე; კატო ყვება, როგორ მოეწონა თეთრი გუაშით შავ ფურცელზე კვალის დატოვება.

ამ მოგონებების მნიშვნელობა მაშინ გავიაზრე, როცა ყოფილ აღსაზრდელს სკოლის გამოსაშვებ საღამოზე ვეწვიე და მოგვიანებით ვთხოვე, ჩემთვის მოეთხრო ბაღის დროინდელი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტის შესახებ. მან კი გაიხსენა, კულინარიული საქმიანობისას როგორ წავუსვამდი ხოლმე ცხვირის წვერზე ფქვილს და როგორ ვიცინოდით, ვიდრე რამეს ვაცხობდით. ყოველთვის, როცა ეს ამბავი მახსენდება, გული სიხარულით მევსება და მეცინებაო.

სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ბავშვებს ასეთი „პატარ-პატარა სიხარულები“ უფრო ამახსოვრდებათ.

აღმზრდელ- პედაგოგი ლალი

მხიარული რიტუალები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი დღის ნაწილი ან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან: კბილის ამოღებასთან, დაბადების დღესთან ან ექსკურსიასთან; შეიძლება იყოს საშობაო გამოფენა, რომლის დროსაც ბავშვები საკუთარ ნამუშევრებს გამოფენენ ბაღში და მშობლები მოვლენ დასათვალიერებლად; შემოდგომის რიტუალი, რომლის დროსაც ბავშვებს ბაღში მოაქვთ ხილი და ბაღის პერსონალთან ერთად ამზადებენ სხვადასხვა კერძს - ხილის სალათას, ჩურჩხელას, წვენს, ხილფაფას და შემდეგ ერთად შეექცევიან საზეიმო სუფრაზე.

წინასწარ მაქვს ამოწერილი ბავშვების დაბადების დღეები და დილით ადრე, ბავშვების ბაღში მოსვლამდე, კარებზე გამოვაკრავ ხოლმე ხელნაკეთ პლაკატს დაბადების დღის მილოცვით.

იუბილარს განსაკუთრებულად ვხვდებით - თავზე გვირგვინს ვადგამთ ან ოქროსფერ ლენტს ვუმაგრებთ და ვუმღერით დაბადების დღის მისალოც სიმღერას. დღის მანძილზე ბავშვები ცდილობენ იუბილარისთვის საჩუქრების, ნახატების ან რაიმე ნაკეთობების დამზადებას, რაც მას შემდეგ სახლში მიაქვს.

ზეიმი

ზეიმი მხიარული რიტუალების ერთ-ერთი ფორმაა. შესაბამისად, ყველა სხვა პროცესის მსგავსად, ისიც ბავშვების ინტერესების, სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა იგეგმებოდეს. ამ რიტუალის დაგეგმვაში ბავშვების ჩართვაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ზეიმი არის აქტივობა, რომლის დროსაც ბაღში რაიმე დღესასწაულს ან ღირსშესანიშნავ თარიღს აღნიშნავენ. ეს არის ბავშვების წარმოდგენებისა და მშობელთა სტუმრობის დრო. არ არის აუცილებელი, რომ ეს წარმოდგენა მხოლოდ საშემსრულებლო ხელოვნების უნარებთან იყოს დაკავშირებული. ზეიმის ჩატარების მიზანი, ერთი მხრივ, ბავშვებისთვის მიცემული საშუალებაა, მათთვის საინტერესო, სახალისო აქტივობებში ჩაერთონ, გაერთონ

და მიიღონ სიამოვნება, ხოლო, მეორე მხრივ, - მშობლებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ბავშვის განვითარებისთვის ბევრად უფრო სასარგებლო შემოქმედებით პროცესში მონაწილეობაა,ვიდრე თავად წარმოდგენის დღე. შესაბამისად, ზეიმისათვის მზადება უფრო მნიშვნელოვანია,

თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეფუძნება ბავშვების სურვილებს და ითვალისწინებს მათ ინტერესებს. დაუშვებელია, რომ ზეიმი და მოსამზადებელი პერიოდი სტრესული იყოს ბავშვებისთვის. ხანგრძლივი რეპეტიციები, სადაც ბავშვებს თავისი როლის/ჯერის დიდი ხნით ლოდინი, ცეკვების ილეთების მკაცრი მიყოლა, სიმღერის ტექსტისა და მელოდიის ძალიან ბევრჯერ გამეორება უწევთ, არაფრის მომცემია სწავლისა და განვითარების თვალსაზრისით.

გვახსოვდეს: ყველა ბავშვი თანაბრად უნდა იყოს ჩართული ზეიმში. ბავშვებზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ ფაქტმა, რომ ვიღაცას უფრო მნიშვნელოვანი (მთავარი პრინცესა, რაინდი, ყველაზე მეტი ლექსი ან სხვა) როლი შეხვდა, ვიდრე მას.

გარდა ამისა, ჩვენ გათვითცნობიერებული გვაქვს თითოეული ბავშვის უნიკალურობა და ვიცით: როცა ერთისთვის ცეკვა, სიმღერა ან ლექსის თქმაა უპირატესი, მეორისთვის ეს აქტივობები უინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ზეიმს ვგეგმავთ, უნდა გავითვალისწინოთ ამ ბავშვთა ინტერესები და სხვა ტიპის, მისთვის სასურველ აქტივობებში ჩავრთოთ.

რა თქმა უნდა, ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნაზე ვამბობდეთ უარს, პირიქით: ასეთი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია თუმცა დაგეგმვისას გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი:

ზეიმის დაგეგმვას აუცილებლად ვიწყებთ ბავშვების სურვილებისა და ინტერესების დადგენით. ბავშვებმა თავად უნდა აირჩიონ თემა, გაინაწილონ როლები და შეარჩიონ სასურველი აქტივობები. იმ ბავშვებს, რომლებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებული აქტივობებით და არ უნდათ ზეიმზე ცეკვა, სიმღერა ან ლექსების თქმა, სხვა როლი შევთავაზოთ, მაგალითად, წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები (ნახატები, სკულპტურები ან სხვა) ან გაითამაშონ თოჯინების სპექტაკლი. მთავარი თითოეული ბავშვის მონაწილეობაა! თუკი ჯგუფში განსხვავებული კულტურის მქონე ოჯახში მცხოვრები ბავშვი გყავთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ მათი ინტერესებიც. შესაძლოა, ისინი სხვაგვარად აღნიშნავდნენ ამა თუ იმ დღესასწაულს. მათ შეუძლიათ, შეასრულონ რომელიმე ეროვნული სიმღერა ან ცეკვა, მშობლიურ ენაზე თქვან ლექსი ან შემოგვთავაზონ წარმოდგენა, რომელიც მათ კულტურაზე შეგვიქმნის შთაბეჭდილებას და უფრო მრავალფეროვანს გახდის ზეიმს.

ზეიმისათვის მზადება სტრესული რომ არ იყოს ბავშვებისთვის, ერთად შევარჩიოთ მათთვის ნაცნობი ლექსები, სიმღერები, ცეკვები თუ სპექტაკლი. ეს შეიძლება იყოს ამბავი, რომელიც არაერთხელ გაუთამაშებიათ ჯგუფში ან - სიმღერა, რომელსაც ყოველ დილით მღერით.

ზეიმის წარმართვა მრავალნაირადაა შესაძლებელი. იგი შეიძლება იყოს კონკრეტული პერიოდის მანძილზე „შესრულებული სამუშაოს“ წარდგენა - ასეთ შემთხვევაში ყველა ბავშვს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი როლი ექნება. ზეიმზე შეგვიძლია სხვადასხვა საქმიანობის ამსახველი ფოტოებისა



და ვიდეობის წარდგენა, ბავშვების ნამუშევრების გამოფენა. შეგვიძლია ბავშვებთან ერთად მთელი წლის მანძილზე დავამზადოთ ზეიმზე სტუმრებისათვის გადასაცემი პატარა ხელნაკეთი საჩუქრებიც, დავდგათ შესაბამისი თემატიკის პატარა თეატრალიზებული წარმოდგენები და სხვა.

ბავშვებისა და ბაღის პერსონალის გარდა, ზეიმში მშობლების ჩართვაც შეგვიძლია. მშობლების როლებს ბავშვებთან ერთად მოვიფიქრებდით. მაგალითად, ერთ-ერთ ბაღში, შობის მოახლოებისას, მშობლები იკრიბებიან და ერთად ამზადებენ საშობაო ღვეზელებს, მოგვიანებით კი მოკლე საშობაო წარმოდგენა და ბავშვების ნამუშევრების გამოფენა იწყება, სადაც სტუმრები ათვალიერებენ ექსპონატებს, ბავშვები კი მათ უხსნიან, რისგან შედგება ესა თუ ის მაკეტი ან რა არის გამოსახული სხვადახვა ნახატზე.

რთულ ქცევაზე რეაგირება

ბუნებრივია, ბაღში რთული სიტუაციებიც იჩენს ხოლმე თავს, რაც აისახება როგორც ცალკეული ბავშვის, ისე მთელი ჯგუფის საქციელზე. დაძაბული სიტუაციები, კონფლიქტი ბავშვებს შორის და რთული ქცევა ის ფაქტორებია, რომლებიც შეიძლება უარყოფითად მოქმედებდნენ პოზიტიურ გარემოზე ბაღში. რთული სიტუაციების თავიდან არიდება შესაძლებელია, თუ ბავშვებს განვითარებული აქვთ სოციალურ-ემოციური უნარები და იციან, როგორ

უნდა მოიქცნენ თანატოლებსა და უფროსებთან, შეუძლიათ რიგის დაცვა, ნივთების გაზიარება და ა.შ. თუკი ჩვენ შევძლებთ მაქსიმალურად პოზიტიური სოციალური გარემოს შექმნას და დავეხმარებით ბავშვებს თვითდისციპლინის გამომუშავებაში, რთული სიტუაციების რაოდენობაც მკვეთრად შემცირდება, თუმცა, ამგვარი სიტუაციების წარმოქმნა გარდაუვალია და ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ რთულ სიტუაციებთან გამკლავების გზებს, ხერხებს.

კონფლიქტების მოგვარება

კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ზოგადად, რთულია, წარმოიდგინო ჯგუფი ან საზოგადოება, სადაც კონფლიქტები არ ხდება.

პირველ რიგში, ძალზე მნიშვნელოვანია უფროსის ყურადღება და კონფლიქტში დროული ჩარევა შესაძლო გამწვავებამდე, რაც სულაც არ ნიშნავს, ბავშვების ნაცვლად უფროსმა გადაჭრას პრობლემა და შესთავაზოს რთული სიტუაციიდან გამოსავალი. უფროსის ჩარევა ასწავლის ბავშვებს კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიებს, რაც შემდგომში დაეხმარებათ ერთმანეთთან დამოუკიდებლად შეთანხმებაში. ერიდეთ ფრაზებს:

“არ მაინტერესებს, რა ხდება! ახლა ვერცერთი ითამაშებთ ამ თოჯინით”

“რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ეს არ გააკეთოთ! ახლა ორივეზე გაბრაზებული ვარ” და ასე შემდეგ. ასეთი ფრაზები ხშირად აჩენს ბავშვებში უსამართლობის განცდას და არაფრით ეხმარება მათ. თუ გვსურს ბავშვების თანამშრომლობითი უნარების განვითარება, ვასწავლოთ მათ კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები:

- დამშვიდება

  თუ ბავშვები ძალიან აღელვებულები არიან, პირველ რიგში უნდა მივცეთ დრო დასამშვიდებლად. საგანმანათლებლო პერსონალი ასწავლის ბავშვებს სხვადასხვა სტრატეგიას, მაგალითად: ღრმად ჩასუნთქვა სამჯერ,დათვლა და ა.შ. ბავშვების დამშვიდების შემდეგ, გავესაუბროთ მათ. **პრობლემის იდენტიფიცირება** გაუგებრობისა და რთული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად, დაეხმარეთ ბავშვებს პრობლემის იდენტიფიცირებაში

და წაახალისეთ, რიგ-რიგობით მოყვნენ, რა მოხდა. დაეხმარეთ ემოციების გამოხატვაში, გაგესაუბრონ, რაზე ვერ შეთანხმდნენ, რა გახდა კონფლიქტის მიზეზი. დამხმარე ფრაზები: როგორ ფიქრობ, რა მოხდა? რა ეწყინა ქეთოს? შენ ამბობ, რომ..., შენ გრძნობ, რომ...

- **პრობლემის მოგვარების გზა** სთხოვეთ ბავშვებს, გამოთქვან მოსაზრებები არსებული პრობლემის მოსაგვარებლად - როგორ შეიძლება მისი გადაწყვეტა, რისი გაკეთებაა შესაძლებელი და როგორ მიაღწიონ შეთანხმებას. პრობლემის გადაწყვეტის გზების მოფიქრებისას, დაუსვით ბავშვებს ისეთი კითხვები, რომლებიც დაეხმარებათ გააზრებაში - რამდენად სამართლიანია ან უსაფრთხოა მათ მიერ მოფიქრებული გამოსავალი.

  დამხმარე ფრაზები: რა გავაკეთოთ ახლა? როგორ ფიქრობ, ლიზის მოეწონება? ანას? არავის აღარ ეწყინება?

- **განხორციელება**

  სთხოვეთ ბავშვებს, პრაქტიკაში გამოიყენონ და გამოსცადონ პრობლემის მოგვარების ერთმანეთში შეთანხმებული გზა. თუკი პრობლემის გადაწყვეტის შერჩეული გზა არ აღმოჩნდა სწორი გამოსავალი და „არ იმუშავა“, განაგრძეთ ფიქრი სხვა გზებსა და გამოსავალზე.

რთული ქცევა

დარტყმა, კბენა, ტანტრუმი, წესების დარღვევა, დაცინვა, ანუ ის, რასაც ჩვენ ბავშვების რთულ ქცევას ვეძახით, შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული.

ამგვარი ქცევის ფონად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა მიზეზით გაღიზიანებული ბავშვი, რომელიც თავს არ გრძნობს კომფორტულად, მშიერი ან უძილოა, ეშინია, არ იცის, რა გააკეთოს, მობეზრდა ან ყურადღების მიქცევა სურს და ა.შ.

ბავშვებზე სისტემატური და ობიექტური დაკვირვება ძალიან დაგეხმარებათ ქცევის გამომწვევი მიზეზების გარკვევასა და დადგენაში.

არსებობს სხვადასხვა სახის რთული ქცევა, მაგრამ ძირითადი ფორმებია:

საზღვრების მოსინჯვა (მიუღებელი ქცევა)

ბავშვი ცდილობს, თითქოს, განზრახ გაიმეოროს აკრძალული ქცევა - მაგალითად, უფროსის რამდენიმე გაფრთხილების მიუხედავად, კვლავაც აგრძელებს კედელზე ხატვას. ბავშვის ამგვარი ქცევის მიზეზი საკუთარი ძალის ლიმიტებისა და თქვენი ავტორიტეტის სიმტკიცის დადგენის სურვილია.

ასეთ სიტუაციებში ვინარჩუნებთ სიმშვიდეს და მკაფიოდ ვაყალიბებთ კონკრეტულს წესს: „ამ კედელზე არ ვხატავთ“.

შესთავაზეთ ბავშვს ალტერნატიული საქმიანობა და მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება: „შეგიძლია, ხატო მაგიდასთან ან დაფაზე, სად გირჩევნია?“

დიცავით წესი, გამოიჩინეთ სიმტკიცე და რეაგირების გარეშე არ დატოვოთ ბავშვის ქცევა. თუკი კვლავ ცდილობს აკრძალული საქმიანობის გაგრძელებას, კიდევ ერთხელ შეახსენეთ წესი და გაარიდეთ იმ არეს. „როგორც ვხედავ, მაგიდასთან ხატვა გადაგიწყვეტია. წამოდი მოგცემ ფურცელს და ადგილს გაჩვენებ “.

ტანტრუმი (ისტერიკა)

ტანტრუმს ვეძახით იმ ქცევასა თუ მდგომარეობას, რომლის დროსაც ბავშვი

არ რეაგირებს სიტყვებზე, იწყებს ისტერიულ ტირილს, ფეხების და ხელების ბაკუნს ან რტყმას, წვება იატაკზე და ა.შ. ტანტრუმი ბავშვებში გამოწვეულია ძლიერი წინააღმდეგობრივი ემოციებით, რომელსაც ის ვერ უმკლავდება.

ტანტრუმის დაწყებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნოთ, რომ ბავშვმა არაფერი დაუზიანოს არც საკუთარ თავს და არც გარშემომყოფებს. როგორც კი დაწყნარდება, გამოხატეთ თანაგრძნობა მისი განცდების მიმართ. „მოზაიკა რომ ვერ აწყვე, ძალიან გაბრაზდი. თუკი სხვა დროსაც გაბრაზდები, მე მთხოვე დახმარება.“

ასაკობრივი ტანტრუმების თავიდან აცილების ხერხებია:

ბავშვებს თავი კომპეტენტურ პირებად ვაგრძნობინოთ - დავეხმაროთ, თვითონ სცადონ ბევრი რამის გაკეთება.

შექმენით ისეთი გარემო, რომელიც ნაკლებად შეზღუდავს ბავშვებს - ჯგუფში იქონიეთ რამდენიმე ერთნაირი სათამაშო, ასაკობრივად შესაბამისი მასალები და სხვა.

პატარებს ხშირად სჭირდებათ მოფერება. იყავით მათთან, როცა ისინი ითხოვენ მოფერებასა და ჩახუტებას.

გაითვალისწინეთ მათი ფიზიკური საჭიროებები - აჭამეთ, ვიდრე ძალიან მოშივდებათ, დაასვენეთ, ვიდრე დაიღლებიან, ათამაშეთ გარეთ, როცა მზად არიან აქტიური მოძრაობისთვის.

ფიზიკური აგრესია (დარტყმა, კბენა და ა.შ.)

დარტყმა, ასევე კბენა, საკმაოდ გავრცელებულია 2-4 წლის ასაკის ბავშვებში. იყავით ძალიან ყურადღებით ამგვარი ქცევების თავიდან ასაცილებლად.

დაკვირვება, რატომ იკბინება ბავშვი - დაგეხმარებათ ამ ტიპის ქცევის თავიდან არიდებაში.

გთავაზობთ რამოდენიმე მიზეზსა და გამოსავალს:

- **კბილების ამოსვლა**

  კბენის მიზეზი შეიძლება კბილების ამოსვლა იყოს. ასეთ შემთხვევაში შესთავაზეთ ბავშვს რეზინის სპეციალური სათამაშო;

- **ინტერესი - რა მოხდება**

  სხვა საქციელის მსგავსად, აგრესიული ქცევის მიზეზიც შეიძლება ინტერესი იყოს. ასეთ დროს მიზანშეწონილია ბავშვის ინტერესისა და ყურადღების ცოტა სხვა მიმართულებით გადატანა და სხვადასხვა სენსო-მოტორული აქტივობების შეთავაზება;

- **სხვა ბავშვთან კომუნიკაციის სურვილი**

  როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ბავშვს ერთნაირად როდი აქვს განვითარებული კომუნიკაციის უნარი. შედარებით პატარა ბავშვები, შესაძლოა, აგრესიულ ქცევას სხვა ბავშვებთან კომუნიკაციის დასამყარებლად იყენებდნენ. ასეთ დროს ყველაზე ეფექტური პოზიტიური კომუნიკაციის მოდელირებაა. თავად აჩვენეთ პატარებს სხვა ბავშვებთან პოზიტიური ურთიერთობის მაგალითი.

- **გაღიზიანება უძილობის, ხმაურის ან სხვა მიზეზის გამო**

  ბავშვის გაღიზიანების მიზეზი შესაძლოა უძილობა და შიმშილი იყოს, თუმცა ბევრი სხვა მიზეზიც არსებობს - ხმაური, სიბნელე, დისკომფორტი, რაც აგრესიულ ქცევას იწვევს. ასეთი შემთხვევების თავიდან ასარიდებლად, უნდა დავაკვირდეთ ბავშვს, შევისწავლოთ მისი ხასიათი (რა აღიზიანებს),თავისებურებები (როდის შივდება,

ეძინება) და შევეცადოთ მიზეზის განეიტრალებას (დროზე ვაჭამოთ ბავშვს, დავაძინოთ, გავიყვანოთ მშვიდ ადგილას, დავაწყნაროთ და ვაგრძნობინოთ, რომ უსაფრთხო ადგილას არის).

- **გაბრაზება სხვის ქცევაზე**

  შესაძლოა, აგრესიული ქცევა იყოს პასუხი სხვის საქციელსა ან დამოკიდებულებაზე. როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ბრაზდება ბავშვი, მან შეიძლება დაიწყოს კბენა, დარტყმა და ა.შ. ამ შემთხვევაშიც ვაკვირდებით ბავშვს და ვადგენთ მისი ქცევის კონკრეტულ მიზეზს - რა დროს ბრაზდება და, მიზეზის დადგენის შემთხვევაში, ვარიდებთ მას ასეთ სიტუაციებს.

- **ყურადღების მიქცევა**

  შეიძლება, ფიზიკური აგრესიის მიზეზი ყურადღების ნაკლებობაც იყოს. როდესაც ბავშვებმა არ იციან, როგორ მიიპყრონ უფროსების ან სხვა ბავშვების ყურადღება (რაც, შესაძლოა, კომუნიკაციის უნარების განვითარების დონით იყოს გამოწვეული), პოზიტიური კომუნიკაციის მოდელირება აგრესიული ქცევის პრევენციის კარგი საშუალებაა (თავდაცვა).

  როდესაც ბავშვები არ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ, ხშირად მიმართავენ საკუთარი თავის დაცვის ხერხს, რაც, ერთი მხრივ, ძალიან ბუნებრივია, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, მათი ეს თავდაცვა ფიზიკურ აგრესიად ვლინდებოდეს. ამრიგად, თავდაცვის მიზნით გამოვლენილი აგრესიული ქცევის თავიდან ასარიდებლად, ბავშვებს უნდა გავუჩინოთ უსაფრთხოების განცდა.

კბენის ან ფიზიკური აგრესიით გამოწვეულ დაშავების შემთხვევაში, იზრუნეთ დაზარალებულ ბავშვსა და მის ჭრილობაზე. აუხსენით „მჩაგვრელს“, რომ ეს მიუღებელი ქცევაა. ესაუბრეთ მას მშვიდად, მაგრამ სრული სერიოზულობით. შესთავაზეთ დახმარების გაწევა ნატკენის მოვლაში, თქვენ კი დაეხმარეთ მას ბრაზის სხვა გზებით გამოხატვის სწავლაში. გახსოვდეთ, რომ ეს პერიოდი მისთვისაც რთულია, რადგან უჭირს საკუთარი ქცევის კონტროლი და საჭიროებს დახმარებას.

გახსოვდეთ, რომ მსხვერპლსაც და მოძალადესაც ერთნაირად სჭირდება თქვენი პოზიტიური ყურადღება.

დაცინვა

დაცინვის დროს ბავშვი ამცირებს, აჯავრებს, მასხრად იგდებს სხვა ბავშვს სიტყვებით, მიმიკებითა და ქცევით.

დამცირება სხვების კონტროლის ერთგვარი საშუალებაა. ზოგიერთი ბავშვი სწორედ ამ გზით ცდილობს სხვათა კონტროლს და ირჩევს ისეთ ბავშვს, ვისაც თავის დაცვა არ შეუძლია, თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ასეთი ბავშვები თვითონ არიან ძალიან მშიშრები. ამგვარი ქცევის შემჩნევისთანავე, დაუყოვნებლივ შეაჩერეთ იგი - რაც უფრო დიდხანს ექნებათ ბავშვებს სხვების დამცირების საშუალება, მით უფრო რთული იქნება ჩვევის შეცვლაც. აუცილებლად ჩაერიეთ და დაეხმარეთ დაჩაგრულ ბავშვს, დაიცვას თავი სწორი ქცევის ან სიტყვების მოდელირებით.

რეფლექსია 1

წარმოიდგინეთ ისეთი გარემო, რომელშიც კომფორტულად იგრძნობდით თავს, შეძლებდით დაძაბულობისა და გაღიზიანების გარეშე ბავშვებთან ურთიერთობას. დაფიქრდით, რა გიშლით ხელს ბავშვებთან ურთიერთობისგან მაქსიმალური სიამოვნების მიღებაში. თქვენი აზრით, რა შეიძლება უქმნიდეს დისკომფორტს ბავშვს - ხმაური, სტრესი, სიჩქარე, ვალდებულებები, კონფლიქტები?

იფიქრეთ გამომწვევ მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების გზებზე. იმსჯელეთ ამ საკითხებზე კოლეგებთან ერთად და იპოვეთ გადაჭრის გზები.

გახსოვდეთ, რომ თქვენც ქმნით იმ განწყობას, რომელიც ზემოქმედებს სხვებზე, განსაკუთრებით კი - ბავშვებზე, შესაბამისად, თქვენი სიმშვიდე და გაწონასწორებულობა განმსაზღვრელია ჯგუფში პოზიტიური გარემოს შექმნისთვის -ეს არის ბავშვების სიმშვიდისა და დაცულობის წინაპირობაც.

თავი 3. მოქნილი და ბავშვზე მორგებული განრიგის ჩამოყალიბება

ბავშვებისთვის პოზიტიური გარემოს განუყოფელი ნაწილია ის, თუ როგორ არის ორგანიზებული მათი დრო. შესაბამისად, დღის განრიგი ჩვენი მუშაობის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია. გარდა ამისა, ამ კურიკულუმის მიხედვით აღმზრდელ პედაგოგები და აღმზრდელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ

ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას,ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ თავისებურებებს. ვინაიდან ბავშვებს სჭირდებათ გარკვეული დრო სხვადასხვა უნარებისა და ცოდნის ათვისებისათვის, დროის სწორი განაწილება ერთ-ერთი საკვანძოა ბავშვის განვითარებისათვის. სწორად დაგეგმილი განრიგი კი ამის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. შესაბამისად დღის განრიგი უნდა იყოს ბავშვზე მორგებული, იძლეოდეს გარკვეული ცვლილებების საშუალებას და დიდ დროს თამაშისა და აღმოჩენისათვის. ამ ყოველივეზე უფრო დეტალურად მოცემულ თავში ვისაუბრებთ.

რა არის განრიგი?

ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების დაკვირვებით, ბავშვებს მოსწონთ, როდესაც გრძნობენ და იციან, რა როდის ხდება. ამგვარად, დროის განაწილება საგანმანათლებლო გარემოს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. დღის განრიგი საბავშვო ბაღებში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობების თანმიმდევრული აღწერაა. თანმიმდევრული და განმეორებადი საქმიანობები აძლიერებს ბავშვებში დაცულობისა და კომფორტის განცდას.

კვლევების თანახმად, განრიგი და რუტინული საქმიანობები ბავშვების ემოციურ, კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლამდელი დაწესებულებების ჯგუფების თანმიმდევრული და პროგნოზირებადი განრიგი ეხმარება ბავშვებს, თავი უსაფრთხოდ და მშვიდად იგრძნონ. გარდა ამისა, განრიგი და რუტინული საქმიანობები ეხმარება ბავშვებს, უკეთ გააცნობიერონ, რა მოეთხოვებათ, რას ელიან მათგან. ასეთ ვითარებაში მცირდება ისეთი ქცევითი პრობლემების რიცხვი, როგორიცაა ტანტრუმი და რთული ქცევა. როდესაც განრიგი აძლევს ბავშვებს არჩევანის გაკეთების საშუალებას, დაბალანსებული (მცირე და დიდი ჯგუფები, მშვიდი საათები და აქტიური დრო თუ სხვა) და მორგებულია ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ისინი უფრო აქტიურად ერთვებიან საგანმანათლებლო პროცესში და შედეგებიც თვალსაჩინოა. თამაშის ტიპები (ანუ რა ტიპის თამაშშია ჩართული ბავშვი) დროის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. თუკი თამაშისთვის გამოყოფილია 30 ან მეტი წუთი, ბავშვები უფრო

მეტი ალბათობით (არა ყოველთვის, ცხადია) თამაშობენ სოციალური და კოგნიტური უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვან თამაშებს.

ჯგუფის დღის განრიგი

ბუნებრივია, დღის განრიგი მაქსიმალურად მოქნილი უნდა იყოს, თუმცა ყველა ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი გამოყოფს რამდენიმე პრიორიტეტულ საქმიანობას, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებელია ბავშვების განვითარებისა და შესაბამისი კომპეტენციების დაუფლებისთვის. პრიორიტეტებს საგანმანათლებლო პერსონალი განსაზღვრავს, თუმცა არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელთაც ბაღების უმრავლესობაში ვხვდებით და მათ ასახვას განრიგში მრავალი მკვლევარი და თეორეტიკოსი უწევს რეკომენდაციას. ამ ტიპის საქმიანობებს განრიგის ძირითად ელემენტებს ვუწოდებთ. ამასთანავე, არსებობს საქმიანობები, რომელთა განრიგში გათვალისწინებაც ჯგუფის საჭიროებებზეა დამოკიდებული - რამდენად სჭირდება ამგვარი საქმიანობები ბავშვების ჯგუფს? ასეთ ელემენტებს ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად გასათვალისწინებელ ელემენტებს უწოდებენ. მაშ ასე, რა ელემენტებისაგან შედგება ეფექტური დღის განრიგი ბაღში.

განრიგის ძირითადი ელემენტები

- **ბავშვების ბაღში მოსვლა** - ეს არის დილის მონაკვეთი, როდესაც ჯგუფები იკრიბებიან და ბავშვები საკუთარი სურვილისამებრ თავისუფლად თამაშობენ შესაბამის სივრცეში. ვინაიდან ეს დრო არაფორმალურია, მშობლებს აქვთ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებთან გასაუბრების, ბავშვებთან დამშვიდობებისა და

ბაღის დათვალიერების შესაძლებლობა. ამ საქმიანობას საშუალოდ ნახევარი საათიდან ერთ საათამდე ეთმობა.

- **კვება** - ძირითადად, ბაღებში სამჯერადი კვებაა. ეს შეიძლება იყოს სამი სრულფასოვანი კვება (საუზმე, სადილი, სამხარი ან ვახშამი) ან წახემსება. კვებისთვის გამოყოფილი დროც სწავლებისა და განვითარების საშუალებად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ეს არის სოციალური უნარების განვითარების ერთ-ერთი კარგი საშუალება. ბავშვები სწავლობენ წესების დაცვას, ჭურჭლის ხმარებას, გაზიარებას, ერთმანეთთან ურთიერთობას და სხვა მნიშვნელოვან უნარებს ეუფლებიან. უფროსი ბავშვები შეიძლება მაგიდის გაშლასა და ალაგებაში იღებდნენ მონაწილეობას. შერეული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში კი ისინი შეიძლება უმცროს ბავშვებს ეხმარებოდნენ ჭამის დროს, მიაწოდონ საკვები ან ხელსახოცი და სხვა. კვებისთვის დრო გამოიყოფა იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპისაა კვების პროცესი. საუზმის, სადილისა და ვახშმისთვის შეგვიძლია 45 წუთიდან ერთ საათამდე გამოვყოთ.

- **თავისუფალი დრო** - როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, თამაში ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის, ამიტომ ყველაზე მეტი დრო მას უნდა დავუთმოთ. თუ თამაში გადანაწილებულია დღის მანძილზე, შეიძლება ითქვას, რომ ჯამში ამ საქმიანობისთვის ბაღში გატარებული დროის ერთი მესამედია საჭირო. ბავშვები თავისუფლად შეიძლება თამაშობდნენ როგორც ოთახში, ისე ეზოში ან ექსკურსიაზე.

- **დამშვიდობება და სახლში წასვლა** - ამ დროს, მშობლების მოკითხვამდე, ბავშვებს ვაძლევთ თავისუფლად თამაშის საშუალებას. ბაღში მოსვლის მსგავსად, მშობლებს ამ მონაკვეთშიც აქვთ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებთან გასაუბრების ან ბავშვებზე დაკვირვების საშუალება, როდესაც ისინი თანატოლებთან ურთიერთობენ და თამაშობენ.

ზუსტად ვიცი აუცილებელ საქმიანობათა ჩემი ნუსხა: იგი მოკლეა და მხოლოდ 4 ჩანაწერისაგან შედგება: 1. შევხვდე, მივესალმო ბავშვებს

და მქონდეს მათთან გარკვეული სახის ჯგუფური დისკუსია/განხილვა; 2. "ვიმუშაოთ" პროექტზე ან ინდივიდუალურად/ჯგუფურად დავხარჯოთ დრო სივრცეებში; 3. ვჭამოთ; 4. დავისვენოთ.

აღმზრდელი ჯულიეტა

ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად განრიგში გასათვალისწინებელი ელემენტები

ბავშვების განრიგში დამტებითი ელემენტები მაშინ ჩნდება, თუკი ამის საჭიროებას ვხედავთ. ეს არ არის ძირითადი ელემენტები, თუმცა ჯგუფში არსებული სიტუაცია მოითხოვს განრიგში მათ დამატებას. მაგალითად, თუ ჯგუფში შედარებით პატარა ბავშვები გყავთ, რომლებსაც ხელების დაბანის შეხსენება სჭირდებათ ან ჯგუფში არიან ბავშვები, რომლებიც აუცილებლად იძინებენ და სხვა.

- **პირადი ჰიგიენა** - ეს არის დროის ის მონაკვეთი, როდესაც ბავშვები მიდიან საპირფარეშოში, იბანენ ხელებს, იცვლიან ტანისამოსს და ფეხსაცმელებს. შესაძლოა, შედარებით პატარებს საპირფარეშოში შესასვლელად შეხსენება ან რაიმე დახმარება (უნიტაზზე დაჯდომისას, ხელების დაბანისას, გამოცვლისას) დასჭირდეთ. დრო ისევ და ისევ საჭიროებიდან გამომდინარე გამოითვლება, მაგრამ, სავარაუდოდ, ბავშვების უმრავლესობას ამ საქმიანობებისთვის 15-30 წუთამდე დასჭირდებათ.

- **დასვენება/ძილი** - ეს არის ბავშვების დასვენებისა და ძალების აღდგენის პერიოდი. თუკი შედარებით პატარა ბავშვები ამ დროს იძინებენ, შედარებით უფროსებს შეუძლიათ წამოწოლა, ერთმანეთში მშვიდად საუბარი ან თამაში. ამ საქმიანობის ხანგრძლივობაც ბავშვების თავისებურებებსა და საჭიროებებზეა დამოკიდებული და შეიძლება ერთი საათიდან ორსაათნახევრამდე გაგრძელდეს.

- **მთლიანი ჯგუფის დრო** - მთლიან ჯგუფში წარმართული საქმიანობები

ქმნის ჯგუფის ერთობას. ამ დროს ბავშვები გრძნობენ, რომ არიან რაღაც მთლიანის წევრები და საკუთარი წვლილი შეაქვთ ერთობლივ საქმიანობაში. მთლიანი ჯგუფის შეკრების დროს სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება შეიძლება - ამ დროს შეგვიძლია წავუკითხოთ ბავშვებს წიგნები ან ვესაუბროთ სხვადასხვა საკითხზე, განვიხილოთ დღის განრიგი და ბავშვებთან ერთად შევიტანოთ ცვლილება, თუ ამის საჭიროება არსებობს. ვკითხოთ ბავშვებს, როგორ ხასიათზე არიან და რის გაკეთებას აპირებენ დღეს, ასევე მოვუყვეთ ჩვენი გეგმების შესახებ. ამ დროს ჩვენ გვეძლევა ძალიან კარგი შესაძლებლობა მათი ინტერესების გაღვივებისა იმ საკითხებისადმი, რომლებიც, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი და საჭიროა მათი განვითარებისთვის. რადგანაც დროის ამ მონაკვეთში, ძირითადად, უფროსის მიერ ინიცირებული საქმიანობები ხორციელდება, სასურველია, მთლიან ჯგუფში აქტივობებს დღის მანძილზე ჯამში დაახლოებით 1 საათი ეთმობოდეს.

- **ღია ცის ქვეშ საქმიანობები** - ეზოში გასვლისას ბავშვები შეიძლება ჩაერთონ სხვადასხვა საქმიანობაში. შენობაში მუშაობის მსგავსად, ბავშვებს აქაც აქვთ თავისუფლება, თავად აირჩიონ საქმიანობები, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, უფროსის მიერ ინიცირებული საქმიანობების შეთავაზება ეზოშიც შეიძლება. მაგალითად, ბავშვებმა შეაგროვონ ფოთლები, შემდეგ კი დიდ ჯგუფში ერთად შევადაროთ ამ ფოთლების ფორმები, ფერები და სხვა მახასიათებლები - რა თქმა უნდა, თუკი ბავშვებიც იზიარებენ ჩვენს შეთავაზებას, აინტერესებთ და უკავშირდება მათ საჭიროებებს. სხვაგვარად და უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ბავშვებს აქვთ უფლება, ეზოში აკეთონ ზუსტად ის, რასაც ოთახში აკეთებენ. ხშირად დიდ ბაღებში, სადაც ბევრი ჯგუფია და ეზოში არ არის საკმარისი ადგილი ყველა ბავშვისათვის, საგანმანათლებლო პერსონალს უწევს ეზოში გასვლის გრაფიკის ერთმანეთში შეთანხმება. ასეთ ვითარებაში ეზოში გასვლა შეიძლება განრიგის ძირითად ელემენტად იქცეს. სწორედ ამიტომ არის ღია ცის ქვეშ განსახორციელებელი საქმიანობები ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად გასათვალისწინებელ აქტივობათა რიცხვში.

- **განსაკუთრებული ღონისძიებები** - განრიგში შეიძლება ავსახოთ განსაკუთრებული ღონისძიებები, რომელშიც შედის სხვადასხვა დღესასწაულები, მხიარული რიტუალები, დაბადების დღეები, სტუმრის ვიზიტი, ექსკურსია ან სხვა მსგავსი ღონისძიება, რომელიც არ შედის განრიგის ყოველდღიური ელემენტების რიცხვში, თუმცა მაინც ტარდება გარკვეული პერიოდულობით. ეს შეიძლება "მოძრავი ელემენტი" იყოს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დავამატებთ განრიგს.
- **რუტინული საქმიანობები** - რუტინულია საქმიანობები, რომლებიც რეგულალურად სრულდება. რუტინულ საქმიანობებში ბავშვები ერთვებიან, მაგალითად, სხვა საქმიანობების დაწყებამდე. გავიხსენოთ, რას აკეთებენ ბავშვები ჭამამდე?! ამ შემთხვევაში ხელების დაბანა, მაგიდის გაშლა არის რუტინული საქმიანობა.

როგორი უნდა იყოს განრიგი?

როგორი უნდა იყოს დღის განრიგი? - მნიშვნელოვანია დროის ეფექტური განაწილება. იმისათვის, რომ განრიგი ეხმაურებოდეს ბავშვის განვითარების მიზნებსა და მის საუკეთესო ინტერესებს, ის რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების ამსახველი განრიგი უნდა იყოს მოქნილი, თანმიმდევრული, ბალანსირებული და იძლეოდეს საკმარის დროს მნიშვნელოვანი საქმიანობებისთვის.

მოქნილი

ამ კურიკულუმისთვის უმნიშვნელოვანესია ბავშვების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება, შესაბამისად, განრიგის შემუშავებისას ბავშვების ინტერესებს, თავისებურებებსა და საჭიროებებს უმთავრესი როლი ენიჭებათ. ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, განრიგი

შეიძლება ხშირად შეიცვალოს. მაგალითად, თუ ბავშვები აქტიურად არიან ჩართული რომელიმე პროექტში, სადაც რაღაცის დამზადებისთვის მეტი დრო სჭირდებათ, შემდეგი აქტივობის უფრო გვიან დაწყება შეიძლება.

2003 წელს ჩატარდა განრიგსა და რუტინულ საქმიანობებთან დაკავშირებული ძალიან საინტერესო კვლევა, რომელშიც სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ბავშვები მონაწილეობდნენ. კვლევის რეკომენდაციების მიხედვით, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები უნდა ცდილობდნენ განრიგისა და რუტინული საქმიანობების ისე დაგეგმვას, რომ ბავშვების კულტურული, ლინგვისტური და ინდივიდუალური საჭიროებები იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, ასაკიდან ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგიერთი ბავშვი შეიძლება განსაკუთრებით იღლებოდეს და ეძინებოდეს დღის გარკვეულ მონაკვეთში, შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ დასვენების საშუალება და ეს განრიგშიც უნდა გაიწეროს. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებისთვის სასარგებლოა განრიგის მათ მშობლიურ ენაზე შედგენა.

განრიგი აუცილებლად უნდა იყოს მოქნილი, რათა, ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყოს ცვლილებების განხორციელება. მოქნილობა ეფექტური განრიგის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებისათვის აუცილებელია წინასწარ ცოდნა, რას აკეთებენ, ეს არ ნიშნავს განრიგის მუდმივობასა და უცვლელობას. ბავშვების ინტერესებიდან ან საჭიროებებიდან გამომდინარე, კონკრეტული საქმიანობების გარკვეული დროით გადაწევ- გადმოწევა ან ელემენტების ცვლილება სავსებით მისაღებია. მაგალითად, თუ შენიშნეთ, რომ ბავშვები მეტად აქტიურები არიან ძილის/დასვენების დროს, შეგვიძლია ეს ელემენტი ამოვიღოთ განრიგიდან. თუ განრიგში კონკრეტულ საათებს მიუთითებთ, გახსოვდეთ, რომ ეს მხოლოდ საორიენტაციო დროა და არა მკაცრად დასაცავი ინსტრუქცია.

ნუ დავუწესებთ დროის მკაცრ საზღვრებს ბავშვებს, ნუ დავაჩქარებთ და

შევაწყვეტინებთ სიამოვნებით დაწყებულ საქმიანობებს! მათ ხომ მომავალშიც ექნებათ მკაცრი ლიმიტების დაცვის ვალდებულება.

აღმზრდელ-პედაგოგი, ბავშვებზე დაკვირვების საფუძველზე, წყვეტს, როგორ შეცვალოს განრიგი. ამავდროულად, გაითვალისწინეთ თქვენი მიზნები და კონკრეტული მოთხოვნები, რომლებსაც ესა თუ ის მარეგულირებელი დოკუმენტი აწესებს თქვენს მუნიციპალიტეტში. მაგალითად, თუ სტანდარტის ან ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, ბავშვებმა მინიმუმ ერთი საათი მაინც ეზოში უნდა გაატარონ, ამ ელემენტის ჩართვა შეგვიძლია განრიგში.

როდესაც აქ დავიწყე მუშაობა, ჩემმა კოლეგამ, მეორე ჯგუფის აღმზრდელმა, თავისი განრიგი მაჩვენა ნიმუშად. ერთი შეხედვით, მომეწონა და დავიწყე მუშაობა. ბავშვებსაც გავაცანი და ავუხსენი, რა დროს რას გავაკეთებდით, თუმცა მალევე მივხვდი, რომ რაღაც არ იყო წესრიგში - ბავშვებს არ ეხალისებოდათ ჩართვა იმ აქტივობებში, რომელთაც მე განრიგის მიხედვით ვთავაზობდი და ვგეგმავდი. ბოლოს დავანებე განრიგს თავი და რამდენიმე ხანი მივეცი ბავშვებს თავისუფლად ყოფნის საშუალება, მე კი ვაკვირდებოდი. ამ რამდენიმე დღემ ბევრი რამ დამანახა და გამაა ზრებინა. აღმოჩნდა, რომ ჩემი ჯგუფის ბავშვებს სულ სხვა რამ აინტერესებდათ და განსხვავებული რიტმი ჰქონდათ. მათი უმრავლესობა შუადღით აღარც იძინებდა, როცა ჩემი კოლეგის განრიგში ძილიც იყო მითითებული - მას ხომ უფრო პატარების ჯგუფი ჰყავდა.

აღმზრდელ-პედაგოგი მაია

ბალანსირებული

ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დღის ბალანსირებული განრიგი, რათა ბავშვებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მათი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვან საქმიანობებში ჩასართველად. აქედან გამომდინარე, დღის განრიგში დრო დაბალანსებული უნდა იყოს:

- მშვიდ (სივრცეებში "მუშაობა", წიგნის კითხვა და სხვა) და ფიზიკურად აქტიურ საქმიანობებს შორის - მაგალითად, ძილი, კვება, დიდი ჯგუფის დრო განრიგის მშვიდი ელემენტებია, ხოლო მოსვლა, ეზოში თამაში - აქტიური. რაც შეეხება თავისუფალ დროს, რომელიც ჩვენი განრიგის უდიდეს ნაწილს უნდა იკავებდეს, შეიძლება იყოს მშვიდიც და აქტიურიც - გააჩნია, რა საქმიანობას ირჩევს ბავშვი. მშვიდი და აქტიური საქმიანობები ერთამენთს უნდა ანაცვლებდეს და მიჰყვებოდეს ადამიანის "დღის რიტმს" - დილას - აქტიური, სადილის შემდეგ - მშვიდი, საღამოს - აქტიური.

- უფროსისა და ბავშვების მიერ ინიცირებულ საქმიანობებს შორის. ***ბავშვების მიერ ინიცირებულ საქმიანობებში*** ისინი თავად ირჩევენ, რას გააკეთებენ, ვისთან ერთად „იმუშავებენ", რომელ სათამაშოს, მასალას და რესურსს გამოიყენებენ. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა არ ნიშნავს აღმზრდელის პასიურობას. მას აქტივობაში ჩართვა როგორც სხვა ბავშვს, ისე შეუძლია - მათთან ერთად აკეთებდეს რაიმეს, მონაწილეობდეს მაკეტის მშენებლობაში ან დრამატულ თამაშში, თუმცა -არა როგორც წამყვანი, არამედ - როგორც მონაწილე. ***უფროსის მიერ ინიცირებული საქმიანობები*** კი გულისხმობს აქტივობებს, რომლებსაც უფროსები ირჩევენ და სთავაზობენ ბავშვებს. ეს შეიძლება იყოს წიგნების კითხვა, ეზოში გასვლა და სხვა. გვახსოვდეს: მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული საქმიანობა უფროსის მიერაა ინიცირებული, აქტივობა ბავშვების შინაგანი მოტივაციის გათვალისწინებით უნდა დავგეგმოთ - რა ურჩევნიათ და რას გააკეთებენ სიამოვნებით. ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ელემენტებიდან მხოლოდ კვება არის უფროსის მიერ ინიცირებული. ხოლო ელემენტებს შორის, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ემატება განრიგს, უფროსის მიერ ინიცირებულია ძილი, ექსკურსია და დიდი ჯგუფის დრო.

თანმიმდევრული და განმეორებადი

მიუხედავად იმისა, რომ განრიგი უნდა იყოს მოქნილი, ბავშვების უსაფრთხოებისა და სიმშვიდისთვის განრიგის გარკვეული ელემენტების

მუდმივობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა ელემენტები იქნება განრიგში და რა დრო დაეთმობა თითოეულს საგანმანათლებლო პერსონალის, ბავშვებზე დაკვირვების, მათი ასაკობრივი და განვითარების თავისებურებების ცოდნის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ განრიგის ელემენტების თანმიმდევრობა მეორდებოდეს ყოველდღიურად.

საკმარის დროს აძლევს ყველა ბავშვს

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, თითოეული ბავშვი ინდივიდია და ამიტომ სხვადასხვანაირი დრო სჭირდებათ სწავლისა და განვითარებისთვის. ნაწილი უფრო დიდ დროს უთმობს ჭამას, ვიღაც უსწრაფესად ამთავრებს ულუფას. დრო განრიგში ისე უნდა ნაწილდებოდეს, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს თამაშის ან სხვა საქმიანობის დასრულების საშუალება, რისი გარანტიც სწორად შედგენილი განრიგია, სადაც გონივრულადაა შერჩეული ელემენტები, განაწილებულია დრო და კარგადაა დაგეგმილი ტრანზიციები.

დღეს დილით, ბაღში მოსულ ბავშვებს ჯგუფის ოთახში თიხის დიდი ნაჭერი დავახვედრე. თიხა აღმზრდელ-პედაგოგმა მოიტანა, რათა ბავშვებს ჰქონოდათ ამ მასალით კვლევისა და თამაშის საშუალება. რამდენიმე ბავშვი უცებ დაინტერესდა სიახლით - სიხარულით მივარდნენ, დაიწყეს თვალიერება, ჭრა, ზელვა და წყლის დასხმა, ზოგიერთი არც დაინტერესებულა თიხით და არც ყურადღება მიუქცევიათ. თავდაპირველად, ვაპირებდი დღის ბოლოს თიხის ნაჭრის ოთახიდან გატანას, თუმცა რამდენიმე ბავშვს ინტერესი შევნიშნე - მათ მეორე დღესაც სურდათ თიხაზე მუშაობის გაგრძელება. ამიტომ თიხა ოთახში რამდენიმე დღით დავტოვე. ერთი კვირის შემდეგ, ის ბავშვებიც დაინტერესდნენ თიხით და დაიწყეს მისი შესწავლა, რომლებიც თავდაპირველად სრულიად ინდიფერენტული იყვნენ სიახლისადმი.

აღმზრდელი ნონა

ტრანზიცია ბაღში

ტრანზიცია გარდამავალ პერიოდებს ეწოდება. ეს ის პროცედურებია, როდესაც ბავშვები ერთი საქმიანობიდან თუ დღის განრიგის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადადიან ან იცვლიან გარემოს. ამგვარად, გვაქვს ორი ტიპის ტრანზიცია: 1. განრიგის ეტაპებს შორის - ბაღში მოსვლა, ბაღიდან წასვლა, კვების დაწყება, ეზოში გასვლა (თუ ეს განრიგის ელემენტია); 2. საქმიანობებს შორის - როდესაც ბავშვი თავისუფალ დროს ან სხვა აქტივობის შესრულების პროცესში ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადადის. ტრანზიცია ითვალისწინებს ბაღში წასვლა-მოსვლასაც, რაც, შესაძლოა, არ იყოს ასახული განრიგში.

განრიგის ელემენტებს შორის ტრანზიცია მოიცავს პირად ჰიგიენას - მაგალითად, კვების წინ და შემდეგ ხელების დაბანას, ეზოში გასვლამდე ჩაცმას და ა.შ.

მნიშვნელოვანია ტრანზიციების იმგვარად ორგანიზება, რომ პროცედურა არ

გრძელდებოდეს 3 წუთზე მეტი. ამისთვის, შეგვიძლია, ბავშვები შედარებით პატარა ჯგუფებად დავყოთ. მაგალითად, ბავშვები, რომლებიც ადრე მორჩნენ კონკრეტულ საქმიანობას (ხატვას, კვლევას, პროექტზე მუშაობას), ცოტა ადრე გადიან ჩასაცმელად და ეზოში სათამაშოდ. ცოტა ხანში მათ მომდევნო მცირე ჯგუფი უერთდება.

არ არის გამორიცხული, რომ ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლა უსიამოვნო იყოს ბავშვებისთვის - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინტერესით არიან ჩართული კონკრეტულ აქტივობაში და არ არიან მზად საყვარელი საქმიანობის შესაწყვეტად. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება უმტკივნეულო გავხადოთ ეს პერიოდი. თუ არსებობს აუცილებლობა ბავშვების მიერ დაწყებული საქმიანობის შეწყვეტისა, მივცეთ მათ რამდენიმე წუთი დასამთავრებლად. თუ ეს დრო არასაკმარისი აღმოჩნდა, ავუხსნათ მათ, რომ მოგვიანებით შეძლებენ დაწყებული საქმის გაგრძელებას. გარდა ამისა, უმტკივნეულო გადასვლებისთვის, მნიშვნელოვანია განრიგის შეთანხმება ბავშვებთან - წინასწარ განვუმარტოთ, რომ საქმიანობები გარკვეული თანმიმდევრობით იცვლება და შევთავაზოთ პროგნოზირებადი განრიგი.

გარდამავალი პერიოდის მოახლოვების მინიშნების სხვადასხვაგვარი ხერხი არსებობს. შეგვიძლია, ამოვირჩიოთ ბავშვებთან შეთანხმებული რაიმე სიგნალი. საქმიანობისთვის გამოყოფილი სავარაუდო დროის ამოწურვის მოახლოებისას, შეგვიძლია ტაშის დაკვრა, სიმღერა ან შუქის ჩაქრობა და პატარა ფანრით ოთახის განათება (ეს ძალიან კარგი ხერხია, თუ ჯგუფში სმენის სირთულეების მქონე ბავშვები გვყავს). ამის შემდეგ ვაძლევთ ბავშვებს რამდენიმე წუთს საქმიანობის დასრულებისა და ახალი საქმიანობისთვის მოსამზადებლად.

ახლა მყავს ჯგუფი ოთხი წლის ბავშვებისა, რომლებსაც ძალიან უყვართ სივრცეებში მუშაობა. წლის დასაწყისში ძალიან აპროტესტებდნენ ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ამოწურვას. სხვადასხვა მიმანიშნებელი ხერხი ვცადე - ზოგჯერ სიმღერას ვიწყებდი, ხან შუქს ვაციმციმებდი, მაგრამ ყველაზე კარგად ტაშის დაკვრამ იმუშავა. როდესაც პირველად დავუკარი ტაში, ტაშის კვრითვე მიპასუხეს, რის შემდეგაც

ალაგებას და მორიგი საქმიანობისთვის მზადებას შეუდგნენ. ახსნისთვის მხოლოდ რამდენიმე დღე დამჭირდა - უმოკლეს პერიოდში ბავშვების უმრავლესობა უცებ იგებდა სიგნალს და მარტივად გადადიოდნენ ახალ საქმიანობაზე. თუმცა რამდენიმე ბავშვს ინდივიდუალური შეხსენება მაინც დასჭირდა, ამიტომ მივდივარ ამ ბავშვებთან და ვუხსნი, რომ ახლა ალაგების დროა, რადგან ცოტა ხანში ახალ საქმიანობაზე გადავდივართ, ხოლო მისი საყვარელი კუბიკები ხვალაც აქ იქნება და ის შეძლებს თამაშის გაგრძელებას.

აღმზრდელი მერი



ბავშვისთვის განრიგის აღქმა ვიზუალურად მარტივი რომ იყოს, განათავსეთ იგი ბავშვების თვალის სიმაღლეზე. განრიგის ბავშვებთან ერთად გადახედვა შეგვლიძლია ყოველდღე. ვთხოვოთ მათ "მოძრავი ელემენტების" დამატება. ტრანზიციების დროს კი შევახსენოთ, რა საქმიანობა გველოდება წინ.

ბავშვები განრიგის შემუშავებაში ძალიან გვეხმარებიან. გარდა იმისა, რომ დაკვირვებით და მათთან ურთიერთობით ვადგენთ, რა სახის საქმიანობებს უნდა დავუთმოთ დრო და რა ხანგრძლივობა ჰქონდეს თითოეულ აქტივობას, ისინი განრიგის გაფორმებაშიც იღებენ მონაწილეობას. ბავშვებს შეუძლიათ დახატონ ან შექმნან კოლაჟი შესაბამისი საქმიანობების აღსანიშნად.

განრიგთა ერთ ნაწილში საქმიანობების დაწყების საათებია მითითებული, მეორეში კი საქმიანობისთვის გამოყოფილი სავარაუდო პერიოდი. ჩვენ შეგვიძლია, საერთოდ არ მივუთითოთ დროები და მხოლოდ ელემენტები მივანიშნოთ განრიგში, რაც ისევ და ისევ დამოკიდებულია ბავშვებზე - იციან თუ არა ციფრების, საათის ცნობა და აქვს თუ არა მნიშვნელობა კონკრეტული საათების მინიშნებას მათთვის.

განრიგის თითოეული ელემენტის ბავშვებისთვის უფრო მარტივად გასაგებად, ანუ რა იგულისხმება ამა თუ იმ ელემენტში, უპრიანია განრიგის გაფორმება სხვა ვიზუალური მინიშნებით. ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თითოეული ელემენტის ვიზუალურ მინიშნებას დავურთოთ ტექსტი, რაც შედარებით უფროს ბავშვებს წიგნიერების უნარების განვითარებაში დაეხმარება. ასევე, თუ ჯგუფში გვყავს ბავშვი, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, შეგვიძლია მინიშნებები ამ ბავშვის/ ბავშვების მშობლიურ ენაზეც/ენებზეც გავაკეთოთ.

განრიგი მშობლებისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან იღებენ დამატებით ინფორმაციას მათი შვილების ბაღში გატარებული დროის შესახებ. ასე რომ, განრიგის გაკვრა მშობლების შეკრების ადგილასაც ისე შეგვიძლია, როგორც ამობეჭდვა და დარიგება.

პროფესიული დღის განრიგი

ჯგუფის განრიგის გარდა, საკუთარი დროის ეფექტურად განაწილების მიზნით, შეგიძლიათ შეადგინოთ ისეთი განრიგიც, რომელშიც შევა ყველა ის საქმიანობა, რაც ბაღში მიმდინარეობს. შესაძლოა, საგანმანათლებლო

პერსონალის პროფესიული დღის განრიგი ჯგუფის განრიგის მსგავს ელემენტებს შეიცავდეს, თუმცა იყოს უფრო დეტალური - ზუსტი დროის მითითებით. მასში შეგიძლიათ დაამატოთ ბავშვებზე დაკვირვების დროც, რათა ეს მნიშვნელოვანი საქმე არ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. ზოგიერთი აღმზრდელ-პედაგოგი თავისუფალი დროის მანძილზე ბავშვებს გარკვეულ აქტივობებში ჩართვას სთავაზობს - მაგალითად, წიგნის კითხვა ან სხვადასხვა თამაში. თუ არცერთი გამოხატავს შეთავაზებულ აქტივობაში ჩართვის ინტერესს და სურვილს, საგანმანათლებლო პერსონალი არ ახორციელებს აქტივობას. მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო პერსონალი საკუთარ განრიგში ინიშნავს იმ აქტივობებსაც, რომელთა შეთავაზებასაც ბავშვებისთვის აპირებს, მაგრამ, რადგან ეს აქტივობები თავისუფალი დროის მანძილზე ხორციელდება, არ არის საჭირო მათი აღნიშვნა ჯგუფის განრიგში.

პროფესიულ განრიგში შეგვაქვს არასაკონტაქტო სამუშაო დროც - ეს ის პერიოდია, როდესაც ვგეგმავთ, ვზრუნავთ პროფესიულ განვითარებაზე, ვისვენებთ, ვმუშაობთ მშობლებთან და სხვა.

ვინაიდან პროფესიულ დღის განრიგში საკუთარ დროს ვანაწილებთ, მისი ფორმატი, სტრუქტურა და დიზაინი თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული. შეგიძლიათ, შეიძინოთ სპეციალური ბლოკნოტი ან ჩვეულებრივ რვეულში ჩაიწეროთ, რა დროს რას გააკეთებთ. შეგიძლიათ საკუთარი განრიგი კოლეგებსაც გაუზიაროთ, რათა დაეხმაროთ მათ დროის ორგანიზებაში.



თავი 4. ფიზიკური გარემო

"ბავშვებს ჰყავთ სამი მასწავლებელი: უფროსები, სხვა ბავშვები და მათი ფიზიკური გარემო.[2]"

ლორის მალაგუცი

ფიზიკური გარემო პოზიტიური გარემოს შექმნის მესამე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მხოლოდ სოციალური ურთიერთობები და დროის ეფექტური განაწილება ვერ დაგვეხმარება თუ ბავშვებს არ მიეცემათ საშუალება იმოძრაონ თავისუფლად, ჩაერთონ მათთვის სასურველ საქმიანობებში და გამოიყენონ განვითარებისათვის საჭირო მასალა. ეს ყოველივე კი ფიზიკური

2 Carter, M. (2007). Making Your Environment" The Third Teacher". *EXCHANGE-EXCHANGE PRESS-, 176,* 22.

გარემოს სწორად მოწყობით მიიღწევა. მოცემულ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და რომელიც ხელს უწყობს მათ განვითარებას. ასევე, მოცემულია ფიზიკური გარემოს მოწყობის კონკრეტული სტრატეგიები და მაგალითები.

ფიზიკური გარემო და მისი მნიშვნელობა

რატომ არის მნიშვნელოვანი ფიზიკური გარემო

"...რაც უფრო მეტ ხანს ვმუშაობ ბაღში მით მეტად ვრწმუნდები, რომ ფიზიკურ გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ბავშვებისთვის,

ასევე ჩემთვის. ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ გარემო ზოგჯერ თავად ჩემი შემცვლელია, ხან ისე მეხმარება, როგორც ჭკვიანი თანაშემწე, ხან ჩემს ნაცვლად „ასწავლის“ ბავშვებს, უბიძგებს, წაახალისებს, მხარში უდგას... გარემოს მოწყობას გულისყურით თუ არ მივუდექი თითქოს იმ მიზნებსაც ვერ ვაღწევ რასაც ბავშვებთან ვისახავ.“

*ლია, **4-5** წლიანების ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი.*

„...იმის მიხედვით თუ რა რესურსს შევიტან ჯგუფში იცვლება ბავშვების ქცევა, ინტერესები... შეიძლება ასეც ითქვას, რომ გარემოში ცვლილებების შეტანით „ვმართავ“ პროცესს. რაც უფრო მრავალფეროვან რესურსს შევთავაზებ ბავშვებს, მით მეტ შეკითხვას გავუჩენ მათ, ხოლო იქ სადაც შეკითხვებს სვამენ, მათზე პასუხის მიღების სურვილიც აქვთ, აქ კი იწყება კვლევის და აღმოჩენების კეთების თავბრუდამხვევი პროცესი...’

ირაკლი, შერეული ჯგუფის აღმზრდელი.

„...ჩემი პირადი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსი არ მოქმედებს ბავშვებზე, გარემოს ფერები, დიზაინიც გადამწყვეტია. ადრე სხვა ოთახში ვიყავით იქ კედლები მოწითალო მყვირალა ფერის იყო, ასევე ჭრელი ავეჯი, მერე რემონტი გაკეთდა და ავეჯიც გამოვცვალეთ. კედლები ნეიტრალურ ფერში შევღებეთ და ავეჯიც ნატურალური ხის ფაქტურის დავამზადეთ. ამ ცვლილებამ დამანახა თვალსაჩინოდ თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ გარემოს ბავშვებისთვის, ერთია, როცა თეორიულად იცი ამის შესახებ და მეორეა როცა ამას თვალნათლივ დაინახავ. ახალ ფიზიკურ გარემოში ბავშვებს ცვლილება შევატყვე, თითქოს ისინი „გამომიცვალესო“, ადრე აღგზნებულები, ზოგჯერ გაღიზიანებულებიც კი იყვნენ და ახალ ფიზიკურ გარემოში, ნეიტრალურ ფერებში, ხის ფაქტურის ავეჯი... ისინი თითქოს უფრო მშვიდები გახდნენ.“

ხათუნა, ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ფიზიკური გარემო უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენს ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე - ჩვენს განწყობაზე, შრომითუნარიანობაზე და ა.შ. ბავშვების შემთხვევაშიც ფიზიკურ გარემოს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია. ფიზიკური გარემო ქმნის გამოცდილებას, ხელს უწყობს ან აფერხებს განვითარებას, სძენს ახალ ცოდნას, უნარებს ან პირიქით - არაფერს აძლევს ბავშვს; ანიჭებს მას სიმშვიდეს და ახარებს ან აშინებს და თრგუნავს.

ამ კურიკულუმის მიხედვით ფიზიკურ გარემოს გადამწყვეტი როლი ეკისრება, რადგან, გარკვეულწილად, სწორედ ფიზიკური გარემო განაპირობებს იმ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს ჯგუფში. ჩვენ ვზრუნავთ ბავშვის ჯანმრთელობაზე მისთვის მრავალფეროვანი, ვიტამინებითა და მინერალებით გაჯერებული საკვების შეთავაზებით. იმგვარადვე უნდა ვიზრუნოთ მრავალფეროვანი ფიზიკური გარემოს ორგანიზებაზეც, რადგან სწორედ ასეთ სივრცეშია შესაძლებელი წინამდებარე კურიკულუმის მიზნების მიღწევა და ბავშვის ჰოლისტური განვითარება.

"თუ გვსურს, რომ გარემომ აღმზრდელობითი გავლენა მოახდინოს ბავშვზე, იგი უნდა იყოს მოქნილი, იცვლებოდეს ბავშვებისა და მასწავლებლის მიერ, რათა უპასუხოს ბავშვის მნიშვნელოვან საჭიროებებს, ბავშვები კი თავად აგებდნენ საკუთარ ცოდნას".

ლელა განდინი, წიგნების ავტორი რეჯიო ემილიას მეთოდის შესახებ.

გარემო, როგორც მესამე მასწავლებელი

ბავშვები, უპირველესად, საკუთარი „სხეულით" სწავლობენ, შეგრძნებებით იღებენ ინფორმაციას გარემოდან და აგებენ ცოდნას. ტვინი შეგრძნებებისგან მიღებულ ინფორმაციას ამუშვებს და სწორედ ასე იღებენ ბავშვები ახალ ცოდნას. ისინი ისმენენ, რასაც ვეუბნებით, გვიყურებენ და სწავლობენ, როგორ მოიქცნენ და რა გააკეთონ, ხოლო საგნებზე ფიზიკური შეხებით იგებენ, როგორია მათ გარშემო არსებული სამყარო. მხოლოდ საუბრითა

და ჩვენებით შეუძლებელია, ავუხსნათ ბავშვს, როგორია ცხელი ან ცივი, ხაოიანი ან გლუვი ზედაპირი და ა.შ. თუმცა ჰოლისტური განვითარებისთვის არც ეს უკანასკნელი კმარა. შესაბამისად, ადამიანებისგან (უფროსები და თანატოლები) სწავლა და შეგრძნებებით სწავლა ერთიანი პროცესია. სწორედ ამიტომ არის ფიზიკური გარემო ისეთივე მნიშვნელოვანი მასწავლებელი, როგორც ჩვენ.

და მაინც რას ნიშნავს გარემო, როგორც მესამე მასწავლებელი? საერთოდ რას ნიშნავს „მასწავლებელი" გარემო? წარმოიდგინეთ, რომ ის ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვები არიან - შენობა, ეზო, მასში არსებული რესურსი - ეს ყველაფერი ერთად უბრალოდ ფიზიკური გარემო კი არა, ცოცხალი, სულიერი არსებაა, გნებავთ - ადამიანი, რომელიც თქვენი დახმარებითა და თქვენთან ერთად ურთიერთობს ბავშვებთან, წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს, ეხმარება მათ, საჭიროებისამებრ მიმართულებას აძლევს ისე, რომ არ ზღუდავს ბავშვების შემოქმედებითობას. თქვენ მიერ შექმნილი სივრცე კიდევ ერთი მასწავლებელივით ზემოქმედებს ბავშვებზე.

ლორის მალაგუცი და გარემო, როგორც მესამე მასწავლებელი

გარემოს, როგორც მესამე მასწავლებლის იდეა, ცნობილმა იტალიელმა პედაგოგმა, ლორის მალაგუციმ ჩამოაყალიბა. მისი აზრით ფიზიკური გარემო ბავშვისთვის მესამე მასწავლებელია უფროსებისა და თანატოლების შემდეგ. მან ეს იდეა შემდგომში საფუძვლად დაუდო რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფიას. ლორის მალაგუციმ თემის მხარდაჭერითა და მონაწილეობით შექმნა რეჯიო ემილიას მუნიციპალური ბაღებისა და ჩვილ ბავშვთა ცენტრების ქსელი.

ლორის მალაგუცი ფიზიკურ გარემოს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ანიჭებს მასწავლებლისა და სხვა ბავშვების პარალელურად. ამგვარად, მან, თითქოს, გააცოცხლა ფიზიკური გარემო, ის სივრცე, რომელშიც ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ და განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა მას.

ფიზიკური გარემო ანუ „მესამე მასწავლებელი“ ბავშვებს თქვენგან დამოუკიდებლად „ასწავლის“, რაც შემდეგს გულისხმობს:თუ ფიზიკური გარემო ცუდია, ის „ცუდი“ მასწავლებლის მსგავსად უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვებზე. თქვენ გაქვთ უდიდესი ბერკეტი მის „სამართავად“.ფიზიკური გარემოს სწორად და გააზრებულად მოწყობით, მასზე მუდმივი ფიქრითა და ზრუნვით, იძენთ ღირებულ პარტნიორს, დამხმარეს, ხოლო მისი არასწორი და გაუაზრებელი ორგანიზებით იჩენთ ცუდ პარტნიორს, რომელიც დახმარების მაგივრად ყოველთვის ხელს შეგიშლით. გარემოს „კარგ“ მასწავლებლად ჩამოყალიბებაში ამ თავში მოყვანილი სტრატეგიები დაგეხმარებათ.

ფიზიკური გარემოს მოწყობის ძირითადი სტრატეგიები

ამ ქვეთავში მოცემულია რამდენიმე ზოგადი სტრატეგია, რომლებიც გამოიყენება ნებისმიერი, მათ შორის - ბაღის ფიზიკური სივრცის მოწყობისას.

ფიზიკური გარემოს მიზანი

ფიზიკური სივრცის დაგეგმვისას ყველაზე მნიშვნელოვანია ფიქრი მიზანზე - რას უნდა ემსახურებოდეს ეს კონკრეტული სივრცე. მაგალითად, მიზანი შეიძლება ისეთი ფიზიკური გარემოს შექმნა იყოს, რომელიც ხელ უწყობს ყველა ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას და უსაფრთხოების განცდას. მიზნის ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ ზემოთ მოცემული შეკითხვებიც. კარგად უნდა გავიაზროთ, ვისთვისაა ეს სივრცე მოწყობილი. გაიხსენეთ თქვენი ბავშვები და მათი თავისებურებები. თუ ჯერ არ იცნობთ მათ, გაიხსენეთ, რა იცით ამ ასაკის ბავშვების განვითარების თავისებურებებზე. მხედველობაში იქონიეთ ბავშვების ასაკი, შერეულია თუ ერთი ასაკის ჯგუფი? ხომ არ გეყოლებათ ჯგუფში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი?

სივრცის შეფასება

შეაფასეთ სივრცე - რა არის კარგი, ხელსაყრელი მასში და რა შეზღუდვები აქვს. თუ, ვთქვათ, ოთახს, აქვს ნიშა, ეს შეიძლება იყოს მშვენიერი ადგილი სათავსოების მოსაწყობად; იქნებ,ნიშის ზომიდან და ადგილმდებარეობიდან (შესასვლელთან ახლოს) გამომდინარე, გასახდელის მოწყობაც არ იყოს ურიგო იდეა. თუ ცვლით არსებულ ფიზიკურ გარემოს, იფიქრეთ - რამ იმუშვა/არ იმუშავა წარსულში. შეაფასეთ სივრცე დასახულ მიზნებთან (ბავშვების თავისებურებების მიხედვით) მიმართებით და არ დაივიწყოთ იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რომლებსაც კონკრეტული სახელმწიფო სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები ან სხვა ცენტრალური თუ ადგილობრივი რეგულაციები გვიწესებს.

შარშან წიგნების თარო კუთხეში გვედგა და, როდესაც ერთდროულად რამდენიმე ბავშვს უნდოდა წიგნის აღება, ხელი ეშლებოდათ - თუ ერთი ბავშვი მაინც იდგა თაროსთან და წიგნს ათვალიერებდა, მეორეს გზა ეღობებოდა, რადგან გვერდითა კედელი ხელს უშლიდა და მისადგომი არ ჰქონდა. წელს თაროს ადგილი შევუცვალეთ, კედელთან დავდგით და ბავშვები უფრო ადვილად მიდიან მასთან.

აღმზრდელი მანანა

ავეჯისა და ნივთების სია

შეადგინეთ საჭირო ავეჯისა და ნივთების სია. თქვენი მიზნებიდან, ბავშვების თავისებურებებიდან, სასწავლო განმავითარებელი მიდგომებიდან და კონკრეტული რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოყავით აუცილებელი და სასურველი ავეჯი და ნივთები. კომფორტისა და სიმყუდროვის შესაქმნელად შეიძლება დაგჭირდეთ „სახლური“ ნივთები - ისეთი რამ, რაც ბავშვებს სახლს მოაგონებდა. ეს შეიძლება იყოს ბალიშები, სარკე, რომელსაც ჯგუფის შესასვლელში დაამაგრებთ, ბრა, რომელსაც წიგნების დასათვალიერებელ ადგილას ჩამოვკიდებთ ან სანათი, რომელსაც მაგიდაზე დავდებთ. შესაძლოა, ოთახის მცენარეებიც დაგვჭირდეს. ამასთანავე, ჩამოწერეთ „მუდმივი“ ნივთები - ისეთი რამ, რაც მუდმივად უნდა იყოს

ფიზიკური გარემოს ნაწილი ან გარკვეული პერიოდულობით შემოგაქვთ და გაგაქვთ. იფიქრეთ იმაზეც, რა რესურსი (ავეჯი და ნივთები) გაქვთ და რა დაგჭირდებათ დამატებით. ხშირად დამატებითი ნივთების შეძენა არ არის საჭირო, თუკი ბაღში არსებული ავეჯისა და ნივთების ფუნქციის შეცვლა ან განახლებაა შესაძლებელი.

ეზოში დიდი კაკლის ხე გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გახმა. მოჭრილი კაკლის ღერო დიდი ხანი ეგდო ეზოს კუთხეში. ჩვენს ერთ-ერთ აღმზრდელს შესანიშნავი აზრი მოუვიდა თავში. დავახერხინეთ ხელოსანს გამხმარი ხე შედარებით პატარა მორებად, შემდეგ ხელოსანმა დაამუშავა კუნძები და შესანიშნავი სკამები გამოვიდა.

დირექტორი ნელი

ოთახის გათავისუფლება

ფიზიკური სივრცის მთლიანობაში დანახვა ბევრად უფრო მარტივია, როდესაც სივრცე თავისუფალია ავეჯისა და სხვადასხვა ნივთებისაგან, ამიტომ არსებული ფიზიკური გარემოს შეცვალში ძალიან დაგვეხმარება ოთახიდან ყველა ნივთის გატანა და ცარიელი ოთახის დათვალიერება

ოთახის გეგმა

სანამ უშუალოდ ავეჯისა და ნივთების დაწყობას ან გადაადგილებას დაიწყებთ, გააკეთეთ ოთახის მარტივი გეგმა, რაც დაგეხმარებთ ვიზუალურად წარმოადგინოთ თქვენს წარმოსახვაში დაგეგმილი გარემო. გეგმა შეგიძლიათ მარტივად დახატოთ ფურცელზე ან გამოიყენოთ რაიმე კომპიუტერული პროგრამა, რომელიც გეგმის შემუშავებაში დაგეხმარებათ.

ავეჯისა და ნივთების დალაგება

ავეჯისა და ნივთების დალაგებისას მიჰყევით გეგმას, გაითვალისწინეთ ბავშვების ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და სხვა მოთხოვნები,

რომლებითაც ნივთების სიის შედგენისას და ოთახის შეფასებისას ხელმძღვანელობდით. მაგალითად, იფიქრეთ რა სიმაღლეზე უნდა განთავსდეს ნივთები, რომ ყველა ბავშვისათვის იყოს ხელმისაწვდომი.

ფიზიკური გარემოს დამოუკიდებლად მოწყობისას, უნდა გვქონდეს შესაბამისი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, რაც უსართხოების მიზნებისთვისაც მნიშვნელოვანია და ამასთანავე,გაგიმარტივებთ ფიზიკური გარემოს მოწყობას.

სპეციალისტის დახმარება

შესაძლოა, ფიზიკური სივრცის მოწყობაში კვალიფიციური სპეციალისტის (მუშა, ხელოსანი) დახმარება დაგვჭირდეს. გამოიყენეთ სპეციალისტის მომსახურება - მაგალითად, მიმართეთ ელექტრიკოსს, როდესაც განათებას ამონტაჟებთ ან უცვლით ადგილს.

ფიზიკური გარემო, სადაც ბავშვი თამაშობს - მოწყობა, ფუნქციური მხარე

გარემო, სადაც ბავშვი ვითარდება - ანუ თამაშობს, სვამს შეკითხვებს, იკვლევს, ქმნის.

ფიზიკური გარემოს ორგანიზებისას სხვადასხვა მიმართულებით გვიწევს ფიქრი: ერთი მხრივ, უნდა მოვაწყოთ ისეთი გარემო, რომელიც იქნება გამომწვევი, წამახალისებელი ბავშვებისთვის - თავისუფლად ითამაშონ, იკვლიონ, ჩაატარონ ექსპერიმენტები, გააკეთონ აღმოჩენები, მოსინჯონ მრავალფეროვანი მასალები, ჰქონდეთ შემოქმედებითი თავისუფლება, მეორე მხრივ კი, უნდა შევქმნათ უსაფრთხო, ესთეტიური, მყუდრო, მიმზიდველი გარემო, სადაც ყველა ბავშვი კომფორტულად იგრძნობს თავს.

ბაღის შენობა და ეზო ისე უნდა მოაწყოთ, რომ ბავშვებს სხვადასხვა სახის

თამაშის ორგანიზებისა და ჩართვის საშუალება ჰქონდეთ. თამაშისთვის განკუთვნილი სივრცეები უნდა იყოს დიდი, რათა ბავშვებმა შეძლონ თამაშის თავისუფლად გაშლა, და გონივრულად მოწყობილი, რათა უბიძგებდეს მათ კვლევისა და აღმოჩენებისკენ.

აუცილებელია, თქვენ მიერ ორგანიზებულ სივრცეში ბავშვებს ჰქონდეთ როგორც ერთმანეთთან თამაშის საშუალება, ისე ე.წ. პრივატული ზონები - მცირე, მშვიდი სივრცეები განმარტოებისთვის, ინდივიდუალური თამაშისთვის.

ამ კურიკულუმის ფარგლებში სივრცის ჰოლისტურად ორგანიზებას მასშტაბურად უნდა მივუდგეთ, რაც გულისხმობს თანაბარზომიერ ფიქრს როგორც დაწესებულების შიდა სივრცეზე, ისე ეზოზე; ვიფიქროთ სივრცის, როგორც ფუნქციურ მხარეზე, ისე მის ესთეტიკაზე, რადგან ორივე მახასიათებელი ზემოქმედებს ბავშვის ქცევაზე, მოლოდინებსა და განვითარებაზე.

დაწესებულების ფიზიკური გარემოს ორგანიზება

წინამდებარე კურიკულუმის ფიზიკური გარემოს ორგანიზებისას უნდა დავიცვათ მთავარი პრინციპი - ბავშვებმა თავისუფლად უნდა იკვლიონ, აღმოაჩინონ, მოსინჯონ, გამოხატონ საკუთარი თავი სხვადასხვა გზით, დასვან შეკითხვები, იფიქრონ და გაიაზრონ, რისთვისაც საჭიროა ისეთი ფიზიკური გარემო, რომელიც:

(1) უსაფრთხო, მყუდრო და კომფორტულია;

(2) მრავალფეროვანია და, ძირითადად, - ღია მასალებით მდიდარი;

(3) მოქნილია ცვლილებების მიმართ და ადვილად გამოყენებადი;

(4) ხელს უწყობს თამაშს, შემოქმედებითობას, კვლევას, ფიქრს, ანალიზს;

(5) აძლევს ბავშვს საკუთარი თავის სხვადასხვაგვარად გამოხატვის საშუალებას;

(6) ეხმარება ბავშვებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, გაზიარების

სწავლას;

(7) ხელს უწყობს მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას, იქნება ბავშვების კულტურის ამსახველი.

ზემოთ მოცემული პრინციპების პრაქტიკაში განხორციელებისას დაუსვით საკუთარ თავს შემდეგი შეკითხვები:

- რა არის ამ კურიკულუმის მიზანი?
- მიიღწევა თუ არა კურიკულუმის მიზნები ასეთ ფიზიკურ გარემოში?
- ბედნიერი და კმაყოფილია თითოეული ბავშვი ასეთ ფიზიკურ გარემოში?
- არის გარემო საკმარისად „ჯადოსნური“, რომ მიიზიდოს და მოხიბლოს ბავშვი?
- აქვთ თუ არა ბავშვებს რესურსის დამოუკიდებლად აღების საშუალება თუ ყოველ ჯერზე ჩემთან უწევთ მოსვლა დასახმარებლად ან ნებართვის ასაღებად?
- შეუძლიათ თუ არა ბავშვებს დღის ბოლოს არეული ოთახის დამოუკიდებლად დალაგება თუ ამას მათ ნაცვლად უფროსები აკეთებენ?
- არის ჯგუფში ისეთი რესურსი, რომელთა გამოყენებაც ბავშვებს უბიძგებს შეკითხვებისკენ, კვლევისკენ, ფიქრისკენ?
- ჯგუფში ისეთი ფიზიკური გარემოა, რომელიც ბავშვს წაახალისებდა ექსპერიმენტების ჩატარებისთვის, საკუთარი ძალების მოსინჯვისა და გამომგონებლობისთვის?
- გაქვთ ჯგუფში რესურსი, რომელსაც შეიგრძნობენ შეხებით, მოუსმენენ, დაინახავენ, უყნოსავენ, გაუსინჯავენ გემოს;

ფიზიკური სივრცის ორგანიზებისას იფიქრეთ შემდეგ საკითხებზე:

ფიზიკური გარემო უნდა აძლევდეს ბავშვებს საშუალებას, ითამაშონ საკუთარი ინტერესების შესამაბისად,იკვლიონ, გააკეთონ აღმოჩენები

ინდივიდუალურად, მცირე ან დიდ ჯგუფთან ერთად.

- ბავშვებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლად მოძრაობის, ოთახსა და ეზოში არსებული რესურსების მარტივად გამოყენებისა და გადაადგილების საშუალება. მაგალითად: შეძლონ სახატავი მასალების გადატანა იმ სივრცეში, სადაც კუბებით თამაშობენ ხოლმე, გაშალონ იატაკზე ფურცელი და დახატონ უკვე აშენებული კოშკი ან საყვარელი სამაგიდო თამაში გადაიტანონ და შექმნან ახალი თამაში ხატვისთვის გამოყოფილ სივრცეში.

ფუნქციური სივრცეები

ოთახი, შენობა და ეზო

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელებაში დაგეხმარებათ სივრცეებად ორგანიზებული ფიზიკური გარემო. ეს კურიკულუმი სწორედ ასეთი გარემოს შექმნას გვირჩევს, თუმცა სივრცეების გაკეთება ჯგუფის ოთახის გარეთაც და ეზოშიც შეგიძლიათ.

წინამდებარე კურიკულუმის მიხედვით, სავალდებულო ე.წ. წყნარი სივრცეა, დანარჩენს კი საჭიროებისა და მიზნების მიხედვით თავად განსაზღვრავთ.

ძალიან მნიშვნელოვანია ფუნქციური სივრცეების სწორად შერჩევა. პირველ რიგში, დავფიქრდეთ კურიკულუმის მიზნებზე - რას უნდა მივაღწიოთ ამ კურიკულუმის ფარგლებში? როგორი ფიზიკური გარემო მოგვცემს მიზნების მიღწევის საშუალებას? თითოეული სივრცე გონივრულად უნდა მოვაწყოთ და აღვჭურვოთ შესაბამისი რესურსებით. ამა თუ იმ სივრცემ, მასში განთავსებულმა რესურსმა უნდა მიანიშნოს ბავშვს, რის გაკეთებას შეძლებს იქ - დახატავს, ითამაშებს ქვიშით, გარეცხავს სათამაშოებს თუ სხვა.

„... ვიდრე ჯგუფის მოწყობას დავიწყებდი, დიდხანს ვფიქრობდი, როგორ და რა სივრცეებად დამეყო ჯგუფი, რა პრინციპით მეხელმძღვანელა ამა

თუ იმ სივრცის შერჩევისას. მერე დავიწყე ფიქრი ბავშვების იმ უნარებზე, რომელთა განვითარებასაც ვისახავდი მათთან მუშაობისას მიზნად. ფიქრისას თვალწინ წარმომიდგებოდა ის საქმიანობები, რომელშიც ბავშვები ხშირად ერთვებოდნენ. ამომიტივტივდა ის მასალაც, რომელსაც ბავშვები თამაშისას იყენებენ. ფურცელზე ჩამოვწერე ყველაფერი, რაც გამახსენდა, რასაც გასწვდა ფიქრი - ხატვა, ძერწვა, სახლობანა, ლუპებით თვალირება, ქვიშით თამაში, წიგნების კითხვა და სხვა. ბევრი ასეთი რამ მეწერა ფურცელზე. შემდეგ შევეცადე, დამეჯგუფებინა გასავითარებელი უნარები, საქმიანობები, მასალები და წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა ჩემი ჯგუფის ოთახში ამ მასალების ისე განლაგება, რომ სპეციფიური სივრცეები შექმნილიყო. აი, ასე განვსაზღვრე საჭირო სივრცეები:

სივრცე „სახელოსნო“ - აქ შევიტან სამხატვრო და ბუნებრივ მასალებს. ეს იქნება შემოქმედებითი ძიების ადგილი;

სივრცე „ლაბორატორია“ - ეს იქნება სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც ბავშვები ექსპერიმენტს ჩაატარებენ;

სივრცე „ვითომ-ვითომ“ თამაშებისთვის;

სივრცე კონსტრუქციების ასაგებად;

სივრცე „ბიბლიოთეკა -კითხვისთვის;

სივრცე სამაგიდო თამაშებისთვის;

სივრცე განმარტოებისთვის.

აღმზრდელ-პედაგოგი ნინო

ჯგუფის სივრცეებად დაყოფისას ბევრი ვიფიქრე, რა სივრცეები უნდა მქონოდა. რადგან ბაგაში ვმუშაობ და ამ ასაკში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შეგრძნებების განვითარებას, ჯგუფის სივრცეების სწორედ ამ ლოგიკით - შეგრძნებების მიხედვით დაყოფა გადავწყვიტე.

ერთ სივრცეში მოვათავსე მასალა მრავალფეროვანი ფაქტურებით - გირჩები, ნიჟარები, ხავსი, ბალახი და ა.შ. მეორე სივრცეში აქცენტი სმენით აღქმაზე გავაკეთე და რესურსიც შესაბამისი შევიტანე - სხვადასხვანაირი ჟღარუნები, ხალხური საკრავები, ხმოვანი სათამაშოები და წიგნები. მომდევნო ორი სივრციდან ერთში ვიზუალური აღქმისთვის შევიტანე სხვადასხვა ფერის რესურსი, ხოლო მეორე - „გემოს შეგრძნებების სივრცეში“ ყოველდღიურად შემაქვს ხილი, ბოსტნეული, სადაც ბავშვებს შეუძლიათ დაჭრან პროდუქტები, მოამზადონ და დააგემოვნონ მარტივი სალათები. კიდევ ერთი სივრცე ყნოსვით შეგრძნებაზეა და აქ შევიტანე დარიჩინის ჩხირები, სუნელები, სურნელოვანი ბალიშები, სანთლები, ქსოვილის თოჯინები, რომლებიც სურნელოვანი მცენარეებითაა გატენილი.“

აღმზრდელ-პედაგოგი ნუცა

„ვინაიდან ფართი საშუალებას მაძლევს (რეალურად, ჩემს, ჯგუფს სამი ოთახი აქვს), გადავწყვიტე ერთი ოთახი მთლიანად სახელოვნებო საქმიანობისთვის დამეთმო, აქვე მაქვს სენსორული მასალაც. მეორე ოთახი დრამატული თამაშებისთვისაა განკუთვნილი და იქ იატაკის სხვადასხვა დონეა, რასაც თამაშისას ძალიან კარგად იყენებენ ბავშვები. კუბებითაც აქ თამაშობენ ხოლმე, კონსტრუქციებს აგებენ და მერე ამავე კონსტრუქციებს იყენებენ დრამატულ თამაშში. მესამე ოთახში რამდენიმე სივრცე გვაქვს - ერთ კუთხეში ექსპერიმენტების ჩასატარებელი საკვლევი ცენტრია. ამავე ოთახში მაქვს წიგნებიერებისა და წყნარი სივრცეები.

აღმზრდელ-პედაგოგი თამუნა

„თემატურის“ გარემოდან მოცემული კურიკულუმის გარემოსკენ

თუ აქამდე თემატური კურიკულუმით მუშაობდით, ბუნებრივია, სივრცე ცენტრებად გექნებათ დაყოფილი, რაც გაგიადვილებთ თქვენი ფიზიკური

გარემოს ამ კურიკულუმისთვის მორგებას. როგორც ითქვა, მოცემული კურიკულუმიც ჯგუფის სივრცეებად დაყოფას გულისხმობს, სადაც ბავშვებს სხვადასხვა მასალის კვლევის, მათი გამოყენების, შესწავლის საშუალება ექნებათ. ერთი მხრივ, თავისუფლად შეგიძლიათ შეინარჩუნოთ ის სივრცეები, რომლებიც აქამდე გქონდათ, მეორე მხრივ, იფიქროთ ახალი სივრცის დამატებასა თუ გაერთიანებაზე, შექმენით მაქსიმალურად მოქნილი გარემო, რომლის სივრცის ბავშვების საჭიროებების შესაბამისად შეცვლაც მარტივი იქნება. ამგვარად, ბავშვები შეძლებენ საჭირო რესურსების ხან ერთ სივრცეში, ხანაც - მეორეში თავისუფლად გადატანას.

„დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ბავშვების ჯგუფი თევზებზე და წყლის სამყაროზე საუბრობდნენ, მერე ნელ-ნელა დაიწყეს სივრცის შეცვლა. მასალების სათავსოდან ამოარჩიეს ლურჯი ფერის ქსოვილები და ცელოფნის პარკები - , როგორც თავად მითხრეს, „ეს წყლისთვის“ სჭირდებოდათ. ამის შემდეგ დაიწყეს იმ სივრცის შეცვლა, სადაც, ძირითადად, წარმოსახვით თამაშებს თამაშობდნენ. ხელოვნების სივრციდან აღებული სკოჩით ლურჯი ცელოფნის პარკი და ქსოვილი იატაკზე, ავეჯსა და კედლებზე დაამაგრეს. ხელოვნების სივრციდან ნიჟარები, პატარა კენჭები და იქ დამზადებული ქაღალდის თევზები წამოიღეს და „მდინარეში“ დააწყვეს. კუბების სივრციდან ჯოხები გამოიტანეს და თოკები გადააბეს - დაამზადეს „ანკესები“. ასე თევზაობდნენ მთელი დღე. საღამოსკენ თორნიკემ აღნიშნა, მდინარეში ნავიც კარგი იქნებოდაო... დანარჩენებიც ეთანხმებოდნენ.

...მეორე დღეს ვხედავ თორნიკეს, რომელიც მამასთან ერთად მოდის ბაღში და რაღაც დიდი ნივთი მოაქვთ. კარგად რომ დავაკვირდი, პლასტმასის დიდი ჯამი იყო. ჯგუფში შემოსულმა თორნიკემ ბავშვებს ახარა: „აი, ნავი მოვიტანე!" "ნავი" „მდინარეში" შეაცურეს, შიგ ჩასხდნენ და ასე გააგრძელეს თამაში. ოლიკომ, გიგიმ და ნიამ პლასტმასის ბოთლებისა და თოკებისგან „აკვალანგები" დაამზადეს და ჩაყვინთვის მსურველებს ზურგზე დაუმაგრეს. იმ დღეს თევზაობას მყვინთავობანაც დაემატა."

აღმზრდელ-პედაგოგი თამუნა

ეზოში ყოფნისას შევამჩნიე, რომ ბავშვები ბალახში რაღაცას ეძებდნენ. თინიკომ ჯგუფში შესვლის უფლება მთხოვა, ცოტა ხანში კი დაბრუნდა ქილით, რომელშიც ბალახში შეგროვებული ხოჭოები ჩასვა. ჯგუფის ოთახში დაბრუნების შემდეგ, ბავშვებმა ხოჭოები „ლაბორატორიაში" შეიტანეს, ლუპები გადმოიღეს და ყურადღებით დაიწყეს მათი თვალიერება.

„ნახე, ნახე, ორი ულვაში ჰქონია - თქვა გიორგიმ - და ექვსი ფეხი!"

„კი, ექვსი ფეხი აქვს - დავეთანხმე - ეს უნდა ჩავინიშნოთ!" მერე თაროდან ფურცელი და უბრალო ფანქარი ავიღე და სახაზავის დახმარებით ცხრილის შედგენა დავიწყე. გიორგისთან ერთად ვითვლიდით ხოჭოს სხეულის ნაწილების რაოდენობას და შემდეგ ყველაფერს ცხრილში ვინიშნავდით.

აღმზრდელ-პედაგოგი ანა

ეზო ისეთივე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესისათვის, როგორც ჯგუფის ოთახი, ამიტომ ამ კურიკულუმის ფარგლებში ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობას განსაკუთრებული გულისყურით უნდა მივუდგეთ. ის ფუნქციური სივრცეები, რომლებიც ჯგუფში უნდა მოვაწყოთ, ეზოშიც უნდა არსებობდეს და ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება, წარმოსახვითი თამაშებით დაკავდნენ, ხატონ, წიგნები დაათვალიერონ, კონსტრუქციები ააგონ. ამიტომ ეზოშიც დაგვჭირდება შესაბამისი სივრცეების მოწყობა, სიმყუდროვის ელემენტების შეტანა, ესთეტიკურობაზე ზრუნვა. ცალკეული ფუნქციური სივრცეები შეგვიძლია გადავხუროთ ტენტებით მეტი სიმყუდროვისთვის ან ხის დაბალი ღობე შემოვავლოთ.

ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ეზოში სირბილის საშუალება - ეს შეიძლება იყოს მოედანი ბუნებრივი ან ხელოვნური საფარით. ეზოში ასევე შეიძლება ე.წ. ბოსტნის ან ბაღის მოწყობა, სადაც ბავშვები თავად დარგავენ და მოუვლიან მცენარეებს. ასევე ეზოში შესაძლებელია გვქონდეს საქვიშე (ქვიშის ყუთი), სადაც ბავშვები წყალსაც გამოიყენებენ.

ეზოს ცალკეული სივრცე შეიძლება ისე მოვაწყოთ - ხის მაგიდები, ხის სკამები ან კუნძები დასაჯდომად, - რომ ბავშვებმა ეზოში წახემსება შეძლონ. შესაძლოა, ეს სივრცეც გადავხუროთ ტენტით მეტი სიმყუდროვისთვის.

ეზოს ინვენტარის შესანახად შესაძლებელია ეზოშივე მცირე ხის კონსტრუქციის, ფარდულის, სათავსო ოთახის დადგმა დაგჭირდეთ. აქ შეინახავდით ქვიშის სათამაშოებს, ბოსტნის ინვენტარს და ა.შ.

ავეჯი

ავეჯი ფიზიკური გარემოს განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში ბავშვის ინტერესებისა და განვითარების წამახალისებელი ავეჯი გამოიყენოთ. ავეჯის ზომებისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დოკუმენტშია მოცემული. აქ კი მოკლედ განვიხილავთ, როგორი უნდა იყოს ავეჯი და რა მიზნით შეგვიძლია მისი გამოყენება. სკამები, მაგიდები, დაბალი თაროები,

კარადები - ეს იმ ავეჯის ჩამონათვალია, რომელიც დაგჭირდებათ ჯგუფის ოთახის მოსაწყობად. თუმცა, შესაძლოა, თქვენ მიერ შერჩეულმა დიზაინმა ზემოჩამოთვლილი სიის გამრავალფეროვნება მოითხოვოს და გამოყოფილ სივრცეებში სხვადასხვა ფორმის, ზომის, ფაქტურის ინვენტარის დამატება გახდეს საჭირო. ეს შეიძლება იყოს მომრგვალებული (და არა სწორკუთხა) ფორმის დაბალი თარო ორი სივრცის გამოსაყოფად; მრგვალი მაგიდა სივრცეში, სადაც ბავშვები ფაზლით თამაშობენ, სწორკუთხა მაგიდა სივრცეში, სადაც ხატავენ; რბილი ავეჯი, მაგალითად, სავარძელი - ადგილი, სადაც ბავშვები წიგნებს დაათვალიერებენ; სარწეველა ან პატარა დივანი, სადაც წარმოსახვით თამაშს გაშლიან; ძალიან დაბალი მაგიდა კონსტრუქციების ასაშენებლად, რათა კონსტრუქციების სხვადასხვა სიმაღლეზე აშენება შეძლონ; სკამების ნაცვლად ხის ტუმბოები ან სულაც კუნძები და ა.შ. სხვადასხვანაირი ავეჯი თავისთავად „გამოყოფს“ ერთ სივრცეს მეორისგან. ამ კურიკულუმის მიხედვით, ბუნებრივია, ჯგუფის ავეჯი ბავშვისთვის შესაფერისი ზომის უნდა იყოს, თუმცა უნდა გვქონდეს ჩვეულებრივი, სტანდარტული ზომის ავეჯიც - მაგალითად, 1-2 ჩვეულებრივი სკამი ან სავარძელი და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ იქნება „უფროსების“ ავეჯი, ამ ავეჯს ბავშვები ისე მოიხმარენ, როგორც მათი ზომისას.

ვინაიდან ეზოც იმავე დატვირთვის მქონეა, როგორც ჯგუფის ოთახი, იქაც მნიშვნელოვანია შესაბამისი ფუნქციის მქონე ავეჯის დალაგება. ხის მაგიდა, სკამები, თუნდაც დაბალი თაროები სხვადასხვა რესურსის ან ქოთნის მცენარეებისთვის ეზოშიც დაგვჭირდება. ამ შემთხვევაშიც პრინციპი უცვლელია - ფორმებისა და ზომების მრავალფეროვნება, პატარა და დიდი სკამები, მრგვალი და სწორკუთხა მაგიდები და ა.შ.

სივრცე განმარტოებისთვის

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჯგუფის ოთახში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ისეთი სივრცეები, სადაც ისინი ერთად თამაშს შეძლებენ და ე.წ. პრივატული სივრცეებიც, სადაც განმარტოების საშუალება ექნებათ. იქნებ, სწორედ ამ სივრცეში დააძინონ საყვარელი თოჯინა, დაათვალიერონ საინტერესო წიგნი ან უბრალოდ დაისვენონ. ასეთი სივრცე 2-3 ბავშვზე მეტს არ უნდა იტევდეს.

ეს არის მყუდრო ადგილი, რომელიც შეიძლება დრაპირებით გამოვყოთ დანარჩენი ოთახისგან, მანათობელი გირლიანდებით გავაფორმოთ სიმყუდროვისა და „ჯადოსნური“ განწყობის შესაქმნელად.

სპეციფიკური სივრცეები

როგორც ზემოთ ითქვა, ფიზიკური გარემოს ორგანიზებას ჰოლისტურად უნდა მივუდგეთ, რაც გულისხმობს არამხოლოდ ჯგუფების, არამედ მთლიანი სივრცის იმგვარად მოწყობას, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების სწავლასა და განვითარებას.

შემოსასვლელი

ბაღის შენობის შემოსასვლელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია. შემოსასვლელით „იწყება“ ბაღი, ამიტომაც მნიშვნელოვანია, იგი იყოს მყუდრო და შენობაში შემოსულები კეთილგანწყობას აქედანვე გრძნობდნენ. შენობის შემოსასვლელში აუცილებლად უნდა იყოს ადგილი როგორც ბავშვების, ისე უფროსებისთვის (მშობლებისთვის). ბავშვებისთვის განკუთვნილ ადგილას შეგვიძლია განვათავსოთ მათი სიმაღლის ინდივიდუალური კარადები, ჩამოსაჯდომი ტუმბოები ან სკამები, რათა შეძლონ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის გამოცვლა და შენახვა; აქვე შესაძლებელია ბავშვის სიმაღლეზე კედლის გასწვრივ სარკის ჩამოკიდვა,

საპირფარეშო

საპირფარეშოში აუცილებლად უნდა იყოს ბავშვის ზომის შესაბამისი უნიტაზები, რომლებიც ერთმანეთისგან ისე იქნება გამოყოფილი, რომ ბავშვებს ჰქონდეთ პირადი სივრცის ხელშეუხებლობის განცდა. ბავშვის სიმაღლეზე უნდა იყოს მოთავსებული ონკანი, კბილის ჯაგრისები ინდივიდუალურ ჭურჭელში, პირსახოცები და ქაღალდის ხელსახოცები. ბავშვების საპირფარეშოში კარგია სხვადასხვა ვიზუალური მინიშნებების ჩამოკიდება, რაც ხელს შეუწყობს პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებას. რა შინაარსის იქნება ეს მინიშნება, საგანმანათლებლო პერსონალის გადასაწყვეტია. მაგალითად, თუ ვატყობთ, რომ ბავშვებს სჭირდებათ ხელის დაბანის შეხსენება, შესაბამის მინიშნებას გავაკეთებთ.

საძინებელი

მართალია, საგანმანათლებლო პროცესი, ძირითადად, ჯგუფის ოთახში მიმდინარეობს, მაგრამ მნიშვნელოვანია საძინებლის სივრცის კურიკულუმის პრინციპების შესაბამისად მოწყობა. საძინებელში მშვიდი, მყუდრო განწყობა შეგიძლიათ შექმნათ კედლის დრაპირებებით ან ასეთივე დრაპირებებით დაფაროთ ჭერი, რაც, ერთი მხრივ, სიმყუდროვეს შექმნის ოთახში, ხოლო, მეორე მხრივ, ხმის ჩახშობას შეუწყობს ხელს. აქვე შეიძლება დაიდგას ბრა და მანათობელი გირლიანდები უფრო დაბალი განათებისთვის. შესაძლოა, დაძინებამდე ბავშვებს მშვიდი მუსიკა ჩაურთოთ, ამიტომ საძინებელში მუსიკალური ცენტრის ან მაგნიტოფონის დადგმის საშუალებაც უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ საძინებელი ცალკე ოთახში არ გაქვთ და ძირითადი ჯგუფის ოთახის ერთ ნაწილშია მოაზრებული, მაინც იხელმძღვანელეთ ზემოთ მოცემული სტრატეგიებით. ჯგუფის სივრცის იმ ნაწილზე, სადაც ბავშვები იძინებენ, დრაპირებები დაამაგრეთ კედელსა და ჭერზე დრაპირებების გამოყენება საძინებელი სივრცის დანარჩენი ჯგუფის გამოსაყოფადაც შეგიძლიათ. ამავე მიზნით, მანათობელი გირლიანდების დამაგრებაცაა შესაძლებელი. ოთახის დიზაინის შესამაბისად, შესაძლოა, სივრცის დეკორატიული შირმით გამოყოფაც.

დერეფნები

ბაღის შენობის დერეფნებიც სიმყუდროვის განცდას უნდა ტოვებდეს ბავშვებში. ბაღი ბავშვისთვის ჯგუფის ოთახის ზღურბლს მიღმა არ უნდა სრულდებოდეს. თუ ბაღის დერეფნები მხოლოდ ოთახების შემაერთებელი სივრცე არ არის, ბავშვებს იქ უწევთ გარკვეული დროის გატარება (ელოდებიან მშობლებს, რიგს ხელსაბანთან) და უსაფრთხოა ბავშვების დამოუკიდებლად, თავისუფლად გადაადგილებისთვის. დერეფანში ფართის შესაბამისი სათამაშო სივრცეების მოწყობაცაა შესაძლებელი, მაგალითად, სენსორული კედელი, გასაძრომი გვირაბი, სასრიალო, დაბალი თაროები წიგნებით, პუფები მოსასვენებლად და ა.შ.

საგანმანათლებლო რესურსი

ფიზიკურ გარემოში არ იგულისხმება მხოლოდ შენობა და ავეჯი. საგანმანათლებლო რესურსი ფიზიკური გარემოს ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია და გულისხმობს ყველა იმ მასალას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების განვითარებას და გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას.

საგანმანათლებლო რესურსის ტიპები

ბავშვებთან მუშაობისას გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი და სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში გარკვეული რაოდენობით ყველა ტიპის მასალა იყოს წარმოდგენილი. უამრავმა კვლევამ დაადასტურა, რომ ღია რესურსის გამოყენება ბევრად უფრო სასარგებლოა ბავშვების განვითარებისთვის, თუმცა ამ საკითხზე უფრო ვრცლად მომდევნო გვერდებზე ვისაუბრებთ. აქ კი წარმოდგენილია რესურსის რამდენიმე ტიპი, რომლებიც შეიძლება დაწესებულებაში გვქონდეს.

მზა/„დახურული“ რესურსი არის საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომელსაც კონკრეტული დანიშნულება და ფუნქცია აქვს. ასეთი ტიპის რესურსს განეკუთვნება ყველა ის სათამაშო, რომელიც რეალურ ნივთებს ჰგავს - სათამაშო მანქანები, თოჯინები, ჭურჭელი, ხილი, ცხოველები

თუ სხვა. ასევე დახურული რესურსია სამაგიდე წესებიანი თამაშები. ასეთი რესურსით თამაშისას ბავშვები ხშირად კონკრეტულ წესებს უნდა დაემორჩილონ (წესებიანი სამაგიდო თამაშები) ან კონკრეტულ მიზანს მიაღწიონ (ფაზლი). ასეთი რესურსი ეხმარება ბავშვებს კონკრეტული მარტივი წესების სწავლასა და ყურადღების კონცენტრირებაში.

მეორადი რესურსი გულისხმობს ისეთ ნივთებს, რომლებიც, შესაძლოა, ადრე სულ სხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა, ახლა კი საგანმანათლებლო მიზნებისათვის ვიყენებთ. მაგალითად, ღილები, ლენტები, ქსოვილები, ძველი ჟურნალ-გაზეთები, კვერცხის, პლასტმასის ან ქაღალდის კონტეინერები და სხვა.

ღია რესურსი ისეთი რესურსია, რომლის გამოყენება სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ღია რესურსი შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი წარმოშობის (მაგალითად, კენჭები, ჯოხები, ფოთლები, ბუმბული და ა.შ.), ისე - ქარხნული (მაგალითად, მინისა და ხის ბურთულები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.). ბავშვების მიერ ღია მასალის გამოყენება ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ასეთი ტიპის რესურსის გამოყენების მნიშვნელობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტშიც არის ხაზგასმული და, შესაბამისად, მოცემული კურიკულუმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მასალაა.

მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის რესურსს შევთავაზებთ ბავშვებს, უნდა გვახსოვდეს შემდეგი: თითოეულ ბავშვს უნდა მივცეთ საშუალება, აირჩიოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო რესურსი როგორც ჯგუფში, ისე - მის გარეთ.

რატომ ღია რესურსი?

რას ნიშნავს ღია რესურსი? ღია რესურსი არის ისეთი საგანმანათლებლო რესურსი, რომლის გამოყენებაც ბავშვებს მრავალნაირად შეუძლიათ. კონკრეტული სათამაშოების და ღია რესურსის შედარებისას ცხადი ხდება ამ უკანასკნელის უპირატესობა. მაგალითად, სათამაშო მანქანის გამოყენება შეიძლება ერთი დანიშნულებით - ის არის მანქანა, რომელიც შეიძლება ბავშვებმა აგორაონ იატაკზე, ასფალტზე ან სხვა ადგილას. სათამაშო მანქანას კონკრეტული დანიშნულება აქვს, ის მანქანაა და ამით მისი ფუნქციები შეზღუდულია, რასაც ვერ ვიტყვით ხის კუბებზე. ხის კუბებით ბავშვები ქალაქს აშენებენ, ზოგიერთ კუბს იატაკზე ასრიალებენ, ეს „მანქანებია“; რამდენიმე მოგრძო კუბს თვალები დაახატეს, ეს ქალაქის „მაცხოვრებლები“ არიან; ბავშვებმა ლურჯი ქსოვილი დააფინეს ქალაქის მახლობლად - ეს „ტბაა“, სადაც მაცხოვრებლები „იბანავებენ“; ერთ ბავშვს ხის ტოტი მოაქვს და ლურჯ ქსოვილზე დებს, ეს „ხიდია“ და ა.შ. კუბები, ლურჯი ქსოვილი, ხის ტოტი - ეს სწორედ ის ღია მასალაა, რომლის გამოყენებაც ბავშვებმა საკუთარი სურვილის მიხედვით სხვადასხვანაირად შეძლეს.

ღია რესურსის მოპოვება არ არის რთული. ამისათვის შეგვიძლია გავისეირნოთ ბუნებაში ბავშვებთან ერთად და შევაგროვოთ ხის ტოტები, კენჭები, გირჩები, რკოები, წიწვები, ქვიშა და ა.შ.

ღია რესურსი შეიძლება ქარხნული წესითაც იყოს დამზადებული, მაგალითად: ხის კუბები, ქსოვილი, ხის ჩხირები, ღილები და ა.შ.

ღია რესურსი, რომელიც შეგიძლიათ ბავშვებთან გამოიყენოთ

ბუნებრივი ღია რესურსი - ხის ტოტები, ნიჟარები, გირჩები, რკო, ქვები, ხის ქერქი, გამშრალი ხავსი, ბუმბული, მცირე ზომის კუნძები, ხეების ფესვები, სხვადასხვა ხილის კურკები, თხილი, კაკალი (მთლიანი და ნაჭუჭები), ფოთლები, ყვავილები, კვერცხის ნაჭუჭი, ქვიშა, წყალი, ნახშირი, ბურღულეული, მარცვლეული და ა.შ.

მეორადი ღია რესურსი - ბოთლების სახურავები, პლასტმასის ბოთლები, ქილები, მუყაოს სხვადასხვა ზომის კოლოფები, ღილები, შპალერის ნარჩენები, ძველი ჟურნალ-გაზეთები, საბურავები, მილები, ძველი გასაღებები და ა შ.

ღია რესურსი, რომელიც შეგიძლიათ იყიდოთ - ბურთები, ბუშტები, ცარცი, კალათები, სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილი, ბალიშები, ბაწარი, საქსოვი ძაფები, მაქმანები, ზანზალაკები, სხვადასხვა ზომის ხის კუბები, ქაღალდი, ზონრები და ა.შ.

ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეგვიძლია, ამიტომაც არ არსებობს ღია მასალის „სრული ჩამონათვალი“. დაამატეთ ის რესურსი, რომლის გამოყენებას ბავშვები მათ მრავალნაირად შეძლებენ ბაღის შენობასა თუ ეზოში.

რატომ კეთდება აქცენტი ღია რესურსზე ამ კურიკულუმში? ღია რესურსის გამოყენება ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას ბავშვებში. ღია რესურსის გამოყენებით ისინი უფრო საინტერესო, კომპლექსურ თამაშს შლიან. ღია მასალა, თითქოს, უბიძგებს ბავშვებს, დასვან შეკითხვები, იკვლიონ, ჩაატარონ ექსპერიმენტები, იაზროვნონ, გამოსცადონ იდეები, მივიდნენ დასკვნებამდე, შექმნან საკუთარი ცოდნა. ღია რესურსის გამოყენება შესაძლებელია ყველა ასაკის ბავშვებთან, ისინი ამ მასალას განსხვავებულად, საკუთარი ასაკისა და განვითარების შესაბამისად მოიხმარენ.

მართალია, ამ კურიკულუმის პრინციპებიდან გამომდინარე, უპირატესობას ღია რესურსს ვანიჭებთ და ძირითადად, მას ვიყენებთ პროცესში, თუმცა ჯგუფებში უნდა გვქონდეს დახურული რესურსიც, რომლითაც ბავშვები ითამაშებენ. ეს შეიძლება იყოს ჭურჭელი, სამზარეულოს ნივთები, სხვადასხვა დრამატული თამაშის ატრიბუტები („ექიმობანას“, „მშენებლობანას“,

„ბანკობანას“ „სახლობანას“ და სხვა მასალები). არ იქნება ურიგო, თუ სამაგიდო თამაშებსაც შევიძენთ: ლოტო, ფაზლი, მემო და ა.შ.

ჯგუფში მრავალფეროვანი ღია მასალა შევიტანე და ვაკვირდებოდი ბავშვებს, როგორ მოახერხებდნენ ამ რესურსის გამოყენებას.

ერთხელ წავიკითხეთ ზღაპარი „და-ძმა“, სადაც მოთხრობილია ამბავი ერთ ობოლ და-ძმაზე, რომლებიც ბოროტ დედინაცვალს გაექცევიან ტყეში. დედინაცვალი ტყეში მოაჯადოვებს ყველა ნაკადულს, ბიჭუნა ვერ მოითმენს, დალევს მოჯადოებულ წყალს და გადაიქცევა შვლად. გოგონა და მისი ძმა (შველი) ტყეში იპოვიან ფუღუროს და იქ შესახლდებიან. ზღაპრის წაკითხვის შემდეგ, ნიკოლოზი, მარიამი და ვახო გადავიდნენ სათამაშო სივრცეში. შემდეგ საკუთარი ინიციატივით დაიწყეს „ფუღუროს“ გაკეთება. ნიკოლოზმა ლენტით შემოსაზღვრა ფუღურო, შემდეგ მეგობრების დახმარებით, თანმიმდევრობით შემოულაგა ჯოხები, გირჩები და კენჭები. ფოთლებისგან დაამზადეს საწოლი და გადააფარეს ქსოვილის ნაჭერი. ფუღუროს შუაგულში ქვებისაგან მოაწყვეს მაგიდა და სკამები, ფუღუროში დააბინავეს და-ძმა, ცოტა ხანში კი ნიკოლოზმა ბიჭუნა სათამაშო შველით შეცვალა...“

აღმზრდელ-პედაგოგი თამუნა

მასალების ორგანიზება

ამ კურიკულუმის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალმა უნდა შექმნას მრავალფეროვანი ღია მასალით აღჭურვილი ფიზიკური გარემო, რომელიც იქნება უსაფრთხო და წამახალისებელი. შესაძლოა, ზოგჯერ ვაჩვენოთ ბავშვებს, როგორ ვიყენებთ ამა თუ იმ მასალას, რაც არ გულისხმობს მითითებას, რა გააკეთონ. საგანმანათლებლო პერსონალის უმთავრესი ამოცანა არის რესურსის შეთავაზება, გამოწვევების შექმნა და ბავშვებზე დაკვირვება - რას აკეთებენ, როგორ იკვლევენ და ვითარდებიან.

გამოწვევების შექმნა – პროვოცირება

გამოწვევის შექმნა ან პროვოცირება ნიშნავს რესურსის ისე მოთავსებას, რომ ბავშვებს თავად მასალამ „უკარნახოს“, უბიძგოს, მისცეს მიმართულება. ასეთ შემთხვევაში ბავშვებისთვის ადვილი ხდება გაგება და გააზრება, როგორ გამოიყენონ რესურსი და რა გააკეთონ მისგან.



უსაფრთხოების საკითხები

მრავალფეროვანი ღია რესურსის გამოყენებისას და, ზოგადად, სივრცის ორგანიზებისას, უნდა დავიცვათ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები, რომლებიც შესაბამის რეგლამენტშიც არის გაწერილი.

განათებისა და დრაპირების ერთად დამონტაჟებისას გაითვალისწინეთ, რომ სადენები დაცული იყოს და არ ხურდებოდეს ნათურა.

ბუნებრივი რესურსის შეტანისას, აუცილებელია მისი გასუფთავება. გარეცხეთ საპნით ან სპეციალური სითხით ნიჟარები, კენჭები, ტალახიანი ხის ტოტები.

ქვიშის, ბურღულეულის და მსგავსი რესურსები აუცილებლად დახურულ კონტეინერში უნდა შევინახოთ და მუდმივად ვცვალოთ.

წვრილი ზომის ნივთები უნდა შეინახოთ დაწნულ კალათებში, ხის ან თიხის ჯამებში, რომლებსაც პირდაპირ იატაკზე დადგამთ.

შერეული ჯგუფის შემთხვევაში მასალების მოსათავსებლად გამოიყენეთ სხვადასხვა დონე - მაგალითად, იატაკი, დაბალი თაროები. იყავით ფრთხილად, რომ ბავშვებმა არ ჩაიდონ პირში წვრილი ნივთები!

ფიზიკური გარემო უფროსებისთვის - მოწყობა, ფუნქციური მხარე

მშობლების შესაკრები ადგილი

ამ კურიკულუმის მიხედვით ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების მშობლებთან პატივისცემაზე დაფუძნებული და მზრუნველი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ამიტომ შენობაში მათთვისაც უნდა არსებობდეს სივრცე, რომლის მოწყობაც შემოსასვლელშივეა შესაძლებელი - ადგილი, სადაც მშობლები ყველაზე ხშირად აღმოჩნდებიან ბავშვების ბაღში მოყვანა-წაყვანისას, თუმცა, რა თქმა

უნდა, მშობლებისთვის სივრცის გამოყოფა შენობის ნებისმიერ ნაწილშია შესაძლებელი, სადაც განვათავსებდით რბილ ავეჯს, ვთქვათ, სავარძელს, დივანს ან რამდენიმე პუფს; დაბალ მაგიდას ჟურნალებისთვის (მშობლებს ბავშვის ბაღიდან გაყვანისას უწევთ ხოლმე ლოდინი, ვიდრე მათი შვილი დაწყებულ საქმიანობას დაასრულებს. ასეთ დროს მშობელი დასვენებასაც შეძლებდა); საინფორმაციო დაფას, რომლის საშუალებითაც მშობლებს ბაღში მიმდინარე სიახლეების შესახებ მიაწვდით ინფორმაციას.

სამასწავლებლო

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, ბავშვებთან მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული დრო, რომელსაც ბავშვებთან გაატარებენ და დრო, რომელსაც გამოიყენებენ დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა შეძლოს ბაღის სივრცეში თვითგანვითარებაზე ზრუნვა, აუცილებელია ასეთი სივრცის არსებობა. სწორედ ასეთი სივრცეა სამასწავლებლო - ადგილი, სადაც საგანმანათლებლო პერსონალი შეკრებასა და, ერთი მხრივ, დასვენებას, ერთმანეთთან ურთიერთობას, განტვირთვას, თუნდაც წახემსებას და, მეორე მხრივ, მუშაობას შეძლებს. ესთეტიკის თვალსაზრისით, სამასწავლებლოს მოწყობისას ზუსტად იმ სტრატეგიებით უნდა იხელმძღვანელოთ, რითაც ჯგუფის ან ეზოს გარემოს მოწყობისას. რაც შეეხება ფუნქციურ მხარეს, სამასწავლებლო ორ ფუნქციას აერთიანებს: ერთი მხრივ, ის არის ადგილი, სადაც თანამშრომლები შეძლებენ დასვენებას, განტვირთვას, საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებას, მეორე მხრივ კი, - იმუშავებენ, მოამზადებენ ან მოიძიებენ სააღმზრდელო პროცესისთვის საჭირო მასალას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამასწავლებლოს ოთახიც შეიძლება სივრცეებად დაიყოს: სივრცე, სადაც თანამშრომლები დასვენებას შეძლებენ და ადგილი, სადაც მათ მუშაობის საშუალება ექნებათ. დასვენებისთვის განკუთვნილ სივრცეში იქნება რბილი ავეჯი (ეს შეიძლება იყოს სავარძელი, პატარა დივანი), პუფები, მაგიდა, სკამები, კარადა ჭურჭლის შესანახად, ელექტრო ჩაიდანი ან ყავის აპარატი და ა.შ.

სამასწავლებლოს ე.წ. სამუშაო სივრცეში საწერი მაგიდა, სკამები, კომპიუტერები, წიგნების თაროები საგანმანათლებლო პერსონალისათვის განკუთვნილი მეთოდოლოგიური ლიტერატურით. სამასწავლებლოში საგანმანათლებლო პერსონალს საშუალება უნდა ჰქონდეს, მოიძიოს ინფორმაცია ინტერნეტით, შეასრულოს წერილობითი სამუშაო, იკითხოს და ა.შ.

ამ კურიკულუმის ესთეტიკა ყველგან უნდა იგრძნობოდეს - იმ ადგილებში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სივრცეებშიც, სადაც, ძირითადად, უფროსები ატარებენ დროს: ეს შეიძლება იყოს სამზარეულო, სამასწავლებლო, სხვადასხვა პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახები. აქაც ვითვალისწინებთ იმ მიდგომას, რომელზეც მომდევნო ქვეთავში მოგითხრობთ.

ფიზიკური გარემოს მოწყობა: ესთეტიური მხარე

გარემოს ესთეტიკა

ადამიანებს განსხვავებული გემოვნება აქვთ, ინდივიდუალური ხედვა სილამაზისა და მშვენიერების. ვიღაცას მინიმალისტური გარემო მოსწონს მინიმალური ნივთებით, ფერებით და სხვა, სხვისთვის კი სიჭრელე, ბევრი ლამაზი და ჭრელი ნივთია ნანატრი გარემო. ხშირად ერთმანეთში ვურევთ გემოვნებასა და ესთეტიკას, თუმცა, გემოვნებისგან განსხვავებით, ცნებას

„ესთეტიკა' უნივერსალურობა ახასიათებს. ფიზიკურ გარემოში ესთეტიკას ქმნის გარემოს დიზაინის ელემენტები: ფერი და განათება, ფაქტურა და ტემპერატურა, ხაზი, ფორმა და საგნები, სუნი და გემო, ხმები და სხვა. შეიძლება იფიქროთ, ნუთუ ამ ყველაფერზე ზრუნვა - ფერი, ფაქტურა, ფორმა - საგანმანათლებლო პერსონალის საქმეა? ისინი ხომ არც არქიტექტორები არიან, არც დიზაინერები, არც მხატვრები, მათი პასუხისმგებლობა ხომ ბავშვებთან ურთიერთობა და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაა? კედლების ფერზე, განათების ხარისხსა და საგნების ფაქტურებზეც მათ უნდა იზრუნონ? დიახ, ამ ყველაფერზე საგანმანათლებლო პერსონალი ზრუნავს! ეს კურიკულუმი გვიხსნის, როგორი უნდა იყოს გარემოს ესთეტიკა, ჩვენ კი მას პრაქტიკაში ვახორციელებთ, ვნერგავთ. მოვიფიქროთ, ვისი დახმარება დაგვჭირდება და რა ფორმით. საგანმანათლებლო პერსონალი არის ჯგუფის „დიზაინერი" და ისინი ქმნიან „მესამე მასწავლებელს".

ესთეტიკაზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ ვგულისხმობთ ბაღის მთლიან შენობას, ეზოს და არა მხოლოდ ჯგუფებისთვის განკუთვნილ ოთახებს. მაგალითად, ესთეტიური გარემო აუცილებლად საპირფარეშოშიც უნდა იგრძნობოდეს, ამის შესაქმნელად საპირფარეშოში შესაძლოა იყოს ქოთნის ყვავილები, სარკეები, ანუ კურიკულუმის შესაბამისი ესთეტიკით უნდა მოვაწყოთ ყველა ის სივრცე, სადაც ბავშვები ან თანამშრომლები ხვდებიან. ესთეტიური გარემოს მოწყობისას დიზაინერის მსგავსად უნდა ვიზრუნოთ ყველა ასპექტზე: ფერსა და განათებაზე, ფაქტურებზე, ტემპერატურაზე, საგნების ფორმებზე და ა.შ. იგივე ეხება ეზოსაც, რომლის მოწყობისას იდეებისთვის შეგვიძლია ლანდშაფტის დიზაინის სპეციალური ჟურნალებით სარგებლობა. გამოვიყენოთ მეტი ხის მასალა ეზოს მოსაწყობად ჭრელი პლასტმასის ატრაქციონების ნაცვლად. ფერები აქაც მცენარეების, ქსოვილების, სხვადახვა ნივთის (ფერადი ქოთნები, საქვიშეს ინვენტარი, ბურთები) შეტანით უნდა მოხდეს.

ფერი

სივრცისთვის შერჩეული ფერი მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენს განწყობას. ის ქმნის მეგობრულ, თბილ განწყობას ან ოფიციალურს, საქმიანს, მშვიდსა და მოსაწყენს.

კედლები და იატაკი - კედლების ფერი (იგულისხმება ჯგუფებისა და სხვა დამატებითი სივრცეების ფერები) უნდა იყოს თბილი,

ნეიტრალური ფერის, ფერთა სიჭრელემ არ უნდა დაღალოს ოთახში მყოფი ბავშვებისა და უფროსების თვალი.

გარემოს ფერები თბილი და ნეიტრალურია, როგორც ქვევით მოცემულ ფოტოებში ჩანს. ფერები გარემოში შეგვაქვს რესურსის სახით და არა კედლების ან ავეჯის შეფერილობით, როგორც მოცემულ ფოტოებშია ნაჩვენები. იატაკის ფერი უნდა იყოს ბუნებრივი ხის ფერი.

პირველადი თუ ნეიტრალური ფერები

არსებობს პირველადი ფერები - წითელი, ყვითელი, ლურჯი და მათგან ნაწარმოები მეორადი ფერები - ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი.

არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვებს მკვეთრი, კაშკაშა ფერები მოსწონთ - მათთვის განკუთვნილ ნივთებს, ნახატებს, ხშირად სწორედ პირველადი ფერების შეფერილობა აქვთ, რაც თვალშისაცემი და შესამჩნევია ბავშვებისთვის და უფრო ადვილად სწავლობენ ფერებს, თუმცა მუდმივ სიჭრელეში ყოფნა როგორც ბავშვისთვის, ისე უფროსისთვის შეიძლება დამღლელი და გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს.

ოთახის კედლებისთვის უმჯობესი იქნება რბილი, ნეიტრალური ფერების შერჩევა, რათა ნაკლებად გამაღიზიანებელი და დამღლელი იყოს თვალისთვის.

ავეჯი - ამ კურიკულუმის მიხედვით, ავეჯის (კარადა, თაროები, მაგიდები, სკამები და ა.შ.) ფერიც ნეიტრალური, უმჯობესია, ბუნებრივი ხის ფერისა და ფაქტურის იყოს. ამ შემთხვევაშიც ბავშვების ყურადღება იქნება გადატანილი იმ მასალებზე, რომლებიც კარადაში ან თაროებზეა მოთავსებული და არა თავად კარადასა და თაროზე.

ჯგუფის აქსესუარები - დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის აქსესუარების შეფერილობას - ფარდები, ჟალუზები, ბალიშები, ხალიჩა უნდა შეესაბამებოდეს საერთო ფერთა გამას. ეს აქსესუარები შეიძლება იყოს კედლის ნეიტრალური ფერის ოდნავ მუქი ტონი, როგორც ეს ზედა ფოტოებზეა მოცემული.

ფერები ეზოში - ფერებზე უნდა ვიზრუნოთ არამხოლოდ ბაღის შიდა სივრცეში, არამედ შენობის გარეთ, ანუ ეზოშიც. პრინციპი აქაც იგივეა, რაც შენობაში: ხის ბუნებრივი ფერები, ხის ფაქტურა, ნაკლები პირველადი ფერები. ეზოს ფერებზე ფიქრისას მთლიანობაში წარმოიდგინეთ ეზო: ერთი მხრივ ეზოს, გამწვანება და ბუნებრივი საფარი თავისთავად შექმნის ფერთა გამას. მეორე მხრივ, დასაფიქრებელია, როგორ შეიძლება „აქცენტების“ დასმა ეზოს ატრაქციონებით, შენობის ფასადით და ა.შ. ამ კომპონენტების ფერებიც სწორედ ამის მიხედვით განსაზღვრეთ. კარგი იქნება, ატრაქციონებიც ხის მასალისგან იყოს აწყობილი, პლასტმასის შემთხვევაში კი არჩევანი გააკეთეთ ისეთ საქანელებსა ან საძრომიალოებზე, რომლების ყველა დეტალი სხვადასხვა ფერის კი არა, არამედ ერთ რომელიმე ფერში იქნება გადაწყვეტილი.

ეზოში რომელიმე კონკრეტული ფერის მცენარეების ან დაბალი ხისა და ბუჩქების ერთად დარგვაც გააფერადებს გარემოს. ფერების შეტანა ხეებზე დაკიდული ფერადი მინებით ან ფერადი ქილებითაცაა შესაძლებელი.

ბუნებრივია, შენობის ფასადის ფერიც უნდა პასუხობდეს ეზოს მთლიან კონცეფციას და არ უნდა იყოს კონტექსტიდან „ამოვარდნილი“. გახსოვდეთ, რომ ეზოში მყოფ ბავშვებს და თქვენ მუდმივად მოგიწევთ შენობის კედლების ყურება - შეარჩიეთ ნაკლებად მკვეთრი ფერი, რომელიც არ დაღლის თვალს.

განათება

შენობაში - გარემოს ესთეტიკაში განათებაც მიშვნელოვან როლს ასრულებს. ჯგუფის ოთახები უნდა იყოს ნათელი, ბუნებრივი განათებით, თუმცა, საჭიროებისამებრ, ოთახის ფარდით ან ჟალუზით ჩაბნელებაც უნდა ხერხდებოდეს. ოთახში უნდა იყოს ხელოვნური განათებაც - სასურველია, ოთახის სხვადასხვა სივრცეებს თავისი განათების წყარო და ჩამრთველი ჰქონდეს. ოთახის რომელიმე სივრცეში აქცენტირების ან მეტი სიმყუდროვისთვის, შესაძლებელია, ცალკე განათების (ვთქვათ, მანათობელი გირლიანდები ან ფერადი ნათურები) გაკეთებაც (გაითვალისწინეთ უსაფრთხოების საკითხები ელექტროობასთან დაკავშირებით). უფრო რბილი განათებისთვის ბრა დაგვჭირდება. ამ კურიკულუმის ფარგლებში, ძალზე მნიშვნელოვანია არსებობდეს სივრცეებიც, სადაც ბავშვები ჩრდილებით ექსპერიმენტებს ჩაატარებდნენ.

ეზოში - ეზოს განათებაზე ფიქრისას უნდა განსაზღვროთ ადგილები, სადაც იქნება სინათლე ბუნებრივი განათების სახით და სადაც შეძლებთ „ჩრდილის“ შექმნას. ამისათვის დაგჭირდებათ ადგილების „გადახურვა“ ქოლგით ან გამძლე ქსოვილით. ჩრდილის შექმნა ასევე შესაძლებელია მხვიარა მცენარეების საშუალებით, თუ მათ საყრდენ კარკასს შეუქმნით.

გარემოს ესთეტიკის საკითხში მნიშვნელოვანი როლი აქვს ფაქტურასა და აქსესუარებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ბავშვის განვითარებას უწყობს ხელს სხვადასხვა შეგრძნებების სტიმულირებით და მეორე მხრივ, გარკვეულ განწყობას, „ამინდს“ ქმნის სივრცეში. ფაქტურების შეტანა შეგიძლიათ სავარძლის გადასაფარებლის, ფარდების ან სულაც კედლის დეკორატიული დრაპირების სახით. ოთახში შესაძლებელია სხვადასხვა ფაქტურის ისეთი ნივთების შეტანა, როგორიცაა: ხის ჯამები სხვადასხვა რესურსის შესანახად (პლასტმასის კონტეინერების ნაცვლად); დაწნული კალათები ქსოვილისა და ტანსაცმლის შესანახად წარმოსახვითი თამაშების სივრცისთვის; თიხის ქოთნები საფანქრეებად; ოთახის მცენარეები; წყლით სავსე აკვარიუმი წყალმცენარეებითა და თევზებით; ბუნებრივი მასალისგან - გირჩები, გამშრალი ფოთლები, ყვავილები - დამზადებული დეკორატიურლი „ფარდები“; ხელოვნების ნიმუშების ხარისხიანი რეპროდუქციები; თავად ბავშვების ნამუშევრები. ასეთ გარემოში ბავშვები უფრო მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან ბუნებრივი ფაქტურები გარემოში დამამშვიდებლად მოქმედებს როგორც ბავშვებზე, ისე უფროსებზე.

ფაქტურების შეტანა შესაძლებელია სხვადასხვა ფაქტურის იატაკის სახითაც. ეს შეიძლება იყოს ლამინირებული იატაკი, რომლის ნაწილიც დაფარულია ქსოვილის ხალიჩით, რეზინის დასაფენით, საფენით, რომელსაც ხელოვნური ბალახის ფაქტურა აქვს და ა.შ.

რა არის ფაქტურა

ფაქტურა საგნის ან ნივთიერების ზედაპირის თავისებურებაა. საგნების, ნივთების თუ ნივთიერებების მრავალფეროვნების შესაბამისად არსებობს მრავალნაირი ფაქტურა: გლუვი, პრიალა, ხაოიანი და ა.შ. ქვემოთ სწორედ სხვადასხვა სახის ფაქტურის ნიმუშებია მოცემული.

სხვადასხვანაირი ქსოვილის ფაქტურა:



ხის ფაქტურა:



ლითონის ფაქტურა:



მინის ფაქტურა:




ბუნებრივი ფაქტურები:



ეზოში - ეზოს უპირატესობა ბუნებრივი ფაქტურების თავისთავად არსებობაშია. ამ კურიკულუმის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ამ ბუნებრიობის შენარჩუნება და მრავალფეროვნების შექმნაა. როგორ იქმნება მრავალფეროვნება? პირველ რიგში, სხვადასხვა ტიპის საფარის შეტანით. ეზოში უნდა იყოს ადგილები, სადაც დაიგება ბალახის და კენჭების საფარი, იქნება საქვიშე, სივრცე, სადაც დაყრილი იქნება გირჩის ნაფხვენი, მიწა, ქვაფენილიანი ზედაპირი და ა.შ. ჰორიზონტალური ზედაპირის ანუ საფეხმავლო ადგილების გარდა, ფაქტურების შეტანა შესაძლებელია ბაღის ეზოს ღობეზე იმავე პრინციპით: ღობის რაღაც მონაკვეთის დაფარვა ხელოვნური ბალახით, ნაწილისა კი რიყის ქვით მოპირკეთებაა შესაძლებელი.

ქვემოთ მოცემული ფოტოებზე ასახულია განსხვავებული ფაქტურები ჯგუფსა და ეზოში.

ხმა და ხმაური

გარემოს ესთეტიკის ნაწილი არის ხმა, რომელიც ამ გარემოში გვესმის. წინამდებარე კურიკულუმის მიხედვით, გასათვალისწინებელია გარემოება, რომ მუშაობაში ჩართულ ბავშვებს გარეშე ხმაური არ აწუხებდეთ და არ უწევდეთ ყვირილი ერთმანეთისთვის ხმის მისაწვდენად, თუმცა ჯგუფში ხმაური ისედაც იქნება სამუშაო „ფუსფუსის“ გამო. ამ ხმაურის „დასაწევად“ გამოიყენება ხმის ისეთი დამარბილებლები, როგორიცაა დრაპირება კედელზე ან ხალიჩები. თუ ჯგუფის ოთახი მაღალჭერიანია, ხმის ჩასახშობად შეგვიძლია გამოვიყენოთ ჭერზე გაბმული ქსოვილები ან კედელზე დაკიდული ოთახის მცენარეები (უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით).

თუ ეზო სამანქანო ქუჩის მხარეს გადის, საკმაოდ ხმაურიანი ადგილი იქნება, როცა იგი შესანიშნავი ადგილია ბუნებრივი ხმების გასაცნობად. მანქანებისა და სხვა გარე ხმაურის პირობებში შეუძლებელია ჩიტების ჭიკჭიკის, ფოთლების შრიალისა და ქარის ქროლვის ხმის გაგონება. ამიტომ, სასურველია, ეზოს ჰქონდეს ხმის ჩამხშობი ღობე. შესაძლოა, ეზოში მოეწყოს კუთხეც, რომელსაც ჩიტები „ესტუმრებიან“. ბავშვებს შეუძლიათ დაუყარონ ჩიტებს საკენკი და დააკვირდნენ მათ.

სუნი და არომატი

გარემოს სუნი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ესთეტიკის აღქმისას. ამიტომ მნიშვნელოვანია შენობაშიც და ეზოშიც შექმნათ ისეთი ადგილები, სადაც ბავშვებს სუნების შეგრძნების შესაძლებლობა ექნებათ. არ იქნება ურიგო, თუკი ოთახში სურნელოვან ნივთებს (დარიჩინის ჩხირები, მიხაკი, ჯავზი, ციტრუსის ქერქი და სხვა), ყვავილებს, მცენარეებს და სხვა მასალებს შეიტანთ. ოთახში სურნელოვანი რესურსის შეტანისას გაითვალისწინეთ, რომ სუნი არ იდგეს მთელს ოთახში და ამავდროულად, მუდმივად გაანიავეთ ოთახი. არ უნდა დაგვავიწყდეს ბაღის შენობისა და ოთახების პერმანენტული ვენტილაცია.

ფიზიკურ გარემოს მოწყობის შემდეგ, მნიშვნელოვანია მისი ესთეტიური მხარის შენარჩუნება. ეს არ ნიშნავს ცვლილებების უგულებელყოფას ფიზიკურ გარემოში, პირიქით: გარემოს ცვლა საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. როგორც საგანმანათლებლო პერსონალს ახალი მიდგომის ან სტრატეგიის გამოყენება, ისე ჩვენი „მესამე მასწავლებლის“ ტრანსფორმაციაა შესაძლებელი. ცხადია, გააზრებული გვაქვს - როგორიც არ უნდა იყოს გარემო, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

სისუფთავე - ფიზიკურ გარემოში უნდა შევინარჩუნოთ სისუფთავე. რა თქმა უნდა, ამ კუთხით ტექნიკური პერსონალი ძალიან დიდ როლს თამაშობს. ჯგუფის ოთახები და შენობის სხვა ნაწილები რეგულარულად უნდა ლაგდებოდეს. სათამაშოები და სხვა საგანმანათლებლო რესურსი უნდა სუფთავდებოდეს შესაბამისი სტანდარტების და რეგლამენტების მოთხოვნების მიხედვით. თუმცა საგანმანათლებლო პერსონალიც მნიშვნელოვნად არის ჩართული სისუფთავის შენარჩუნებაში. პირველ რიგში, შევეცადოთ, ნაკლები ჭუჭყი შემოვიტანოთ შენობაში - პერსონალსა და ბავშვებს უნდა ჰქონდეთ „ბაღის ფეხსაცმელი“. მშობლებს კი შეგვიძლია ბახილები დავურიგოთ ან შემოსასვლელში „ქეჩები“ დავალაგოთ. ჯგუფის ოთახში სისუფთავის შენარჩუნების მიზნით, ბავშვებთან ერთად დავალაგოთ სათამაშოები და სხვა მასალა კონკრეტული საქმიანობის დასრულების შემდეგ.

გაფუჭებული ნივთები - გატეხილი სათამაშო, გამხმარი პლასტილინი, მაკრატელი, რომელიც აღარ ჭრის, არის მაგალითები იმ გაფუჭებული ნივთებისა, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს ბაღში. ასეთი ნივთების ბაღში გაჩერებას აზრი არ აქვს, თუ მათი ღია ან მეორად რესურსად გადაქცევა შეუძლებელია. მაგალითად, გატეხილი თოჯინა, შეიძლება, უსარგებლო იყოს და გადავაგდოთ, თუმცა თუ მის ტანსაცმელს შევინახავთ, ის შეიძლება სხვა თოჯინას გამოადგეს ან თუ თოჯინას ღილები აქვს, შეგვიძლია მოვხსნათ და მეორად მასალად ვაქციოთ. გაფუჭებული მანქანის რეზინის ბორბლებიც შეიძლება ერთად მოვაგროვოთ და ბავშვები აუცილებლად მოუძებნიან მათ საინტერესო გამოყენებას.

ფიზიკური გარემოს ცვლა - ფიზიკური გარემო შეიძლება შეიცვალოს ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი სივრცის დამატება ან მოგვიწიოს ამა თუ იმ ადგილის გათავისუფლება, თუ ბავშვების ჯგუფთან ერთად დიდ პროექტს ვახორციელებთ. ასევე, ფიზიკური სივრცის შეცვლა შეიძლება დაგვჭირდეს, თუ ჯგუფში ეტლით მოსარგებლე გადაადგილების სირთულის მქონე ბავშვი გვყავს. დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფიზიკური გარემოს შეცვლის მიზეზი ბავშვების ნებისმიერი საჭიროება ან ახლად გაჩენილი ინტერესი შეიძლება გახდეს.

ბავშვების ჩართვა გარემოს მოწყობის პროცესში

რატომ არის მნიშვნელოვანი ბავშვების ჩართვა

ზემოთ არაერთხელ იყო ხაზგასმული თქვენი როლი გარემოს ორგანიზების პროცესში, თუმცა გარემოს ორგანიზებაში ბავშვების მონაწილეობაც ფრიად მნიშვნელოვანია. როცა ბავშვი გარემოს მოწყობაშია ჩართული, ეს მისი გარემო ხდება, სადაც უფრო ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს. ბავშვების მოსაზრებების მოსმენა - როგორ ფიზიკურ გარემოში სურს ყოფნა და სად იგრძნობს უსაფრთხოდ თავს - აუცილებელია. როდესაც ბავშვები ფიზიკურ გარემოს მოწყობაში მონაწილეობენ, გადაწყვეტილებებსაც, რომელებიც უშუალოდ მათ ხებათ, ისინი იღებენ. ამგვარი ქმედებით ბავშვებს ვეხმარებით მოქალაქეებად ჩამოყალიბებასა და პასუხისმგებლობის, გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებაში.

როგორ ვაწყობთ სივრცეს ბავშვებთან ერთად

თუ გვსურს ბავშვების ჩართვა ფიზიკური გარემოს მოწყობაში, მათ უნდა ვაცნობოთ ამის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ახალ და მოუწყობელ ოთახში

შევდივართ, ბავშვებთან ერთად ვიწყებთ ფიქრს, სად რა დაიდგმება და როგორ მოვაწყობთ ჯგუფის ოთახს. ამასთანავე, ბავშვებს უნდა განვუმარტოთ გარემოს ცვლილების მიზეზი, შემდეგ კი მოვისმინოთ მათი შეხედულებები და ერთად დავგეგმოთ ცვლილებები.

გარემო ბავშვის პერსპექტივიდან

ფიზიკური გარემოს ბავშვის პერსპექტივიდან დასანახად, დაგეხმარებათ სავარჯიშო, რომელიც ამერიკელმა პედაგოგებმა - დებ კურტისმა და მარჯი კარტერმა შემოგვთავაზეს ერთ-ერთ სახელმძღვანელოში.

დახატეთ ფურცელზე იმ სივრცის[3] გეგმა, რომელშიც ბავშვები ატარებენ დროს. ჩამოწერეთ ცალკე ფურცელზე ქვევით მოცემული წინადადებები, რომლებიც „ბავშვის ხმას“ ასახავენ. დააკვირდით თქვენ მიერ დახატულ გეგმას და შეაფასეთ სწორედ ამ წინადადებებთან მიმართებით. აღნიშნეთ ის სივრცეები, სადაც ბავშვების ხმა გათვალისწინებულია ბავშვის ხმის


ხელოვნების კუთხე
ხელოვნების ფანქარი
ბალიშები
ბალიშები
ბალიშები

ამსახველი წინადადების შესაბამისი ციფრის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სივრცე ციფრის გარეშე დარჩა, იფიქრეთ ცვლილებებზე ბავშვის მოსაზრებების გასათვალისწინებლად.

1. *მე შემიძლია დავინახო, ვინ ვარ, რა მიყვარს, რისი კეთება მიყვარს ბაღსა და სახლში;*
2. *მე ვხედავ ადგილს, რომელიც განკუთვნილია ჩემი დაღლილი დედიკოს ან მამიკოსთვის, ბებოსთვის ან ბიცოლასთვის, - სადაც ისინი ჩამოსხდებიან, მე ან უფროსს გამოელაპარაკებიან;*
3. *აქ არის წარმოდგენილი ბუნების სამყარო (ნივთები ბუნებიდან, ცხოველები ან მცენარეები);*
4. *აქ არის სინათლე, ჩრდილები, ბზინვარება - ეს საუცხოო და ჯადოსნური ადგილია;*
5. *ჩემი აღმზრდელი ოთახში ყოველდღე ისე ტოვებს ნივთებს, რომ შემიძლია მათი ბევრჯერ გამოყენება და ამ საგნების, მათი თვისებების შესწავლა და მეტი ინფორმაციის მიღება მათ შესახებ;*
6. *აქ ისეთი მასალებია, რომელთა გამოყენებითაც შემიძლია, გამოვამჟღავნო, რა გავიგე ან რა წარმოვიდგინე და მოვიგონე;*
7. *მე შემიძლია თავი ვიგრძნო ძლიერად და ვიყო ფიზიკურად აქტიური.*
8. *აქ მე შემიძლია ვისწავლო საგნების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, ზედმიწევნით ან ვარაუდით შევასრულო როლები დრამატულ თამაშებში.*

გარემოს მოვლა და პატივისცემა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიზიკურ გარემოს სჭირდება მოვლა, რაშიც ყველა - ბაღის პერსონალი და ბავშვები - მონაწილეობს. ამით ბავშვები სწავლობენ არა მხოლოდ ბაღის ფიზიკური გარემოს, არამედ, ზოგადად,

გარემოსა და მათ გარშემო სამყაროს მოვლასა და პატივისცემას, რაც იწყება სწორედ უშუალო გარემოს გაფრთხილებითა და მოვლით.

ბავშვები მაგალითს იღებენ ჩვენგან - როგორ ვუვლით და ვზრუნავთ ნივთებსა და შენობის ნაწილებზე. ეს პირველი ნაბიჯია, როცა ვერთიანდებით ერთ გუნდად ეზოსა და ბაღის შენობის სხვა ნაწილების მოვლაში.

ბავშვებს ჯერ უნდა ავუხსნათ, რატომ არ უნდა შემოვიტანოთ ტალახი ბაღში და შემდეგ ვაჩვენოთ, სად და როგორ გაიწმინდონ ან გამოიცვალონ ფეხსაცმელები. მათ უნდა განვუმარტოთ, რატომ ვალაგებთ ოთახსა და ეზოს თამაშის თუ სხვა საქმიანობის დასრულებისას. როდესაც ბავშვებს მკაფიოდ ავუხსნით ამა თუ იმ ქმედების მიზეზს, ისინი, ვთქვათ, ნივთებს მისთვის განკუთვნილ ადგილს მიუჩენენ არა იმიტომ, რომ უფროსის თხოვნა შეასრულონ, არამედ გააზრებული აქვთ ამ ქცევის მიზეზი.

ბავშვები ჯგუფის ოთახში არსებული ქოთნის ან ეზოს მცენარეების მოვლაშიც უნდა ჩავრთოთ. ორივეგან შეიძლება გვქონდეს სარწყავი, რომლითაც ბავშვები მცენარეებს მორწყავენ. მათ შეიძლება ვთხოვოთ ქოთნის მცენარეების ფოთლების გასუფთავება და გამხმარი ფოთლების მოშორებაც.

რეფლექსია 1

წარმოიდგინეთ, რომ არჩევანის წინაშე ხართ: ერთი მხრივ, გაქვთ ნათელი, სუფთა ოთახი კომფორტული ავეჯით. ოთახი ისეა მოწყობილი, თავისუფლად შეგიძლიათ სავარძელში მყუდროდ მოკალათება და კურიკულუმის წაკითხვა, გნებავთ, ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუჯდებით, სურნელოვან ჩაის დაისხამთ და გემრიელ ორცხობილასთან ერთად მიირთმვთ. კითხვით დაღლილი, იქვე დივანზე წამოწვებით და მუსიკას მოუსმენთ ან მანდალას გააფერადებთ, ინტერნეტში რამე ფილმს უყურებთ. ამ სივრცეში ყოველთვის შეგიძლიათ, საყვარელი საქმით დაკავდეთ ან რამე ახალი გააკეთოთ, საკუთარ თავში ახალი უნარები აღმოაჩინოთ, დატკბეთ გარესამყაროს მრავალფეროვნებით.

ახლა კი ისეთი ოთახი წარმოიდგინეთ, სადაც, ცუდი განათების გამო,

გიწევთ ყურადღების დაძაბვა კითხვისას, მხოლოდ ხის სკამზე თუ მოთავსდებით, დაღლის შემთხვევაში, ერთადერთი, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ, ამავე ოთახში გავლა-გამოვლაა. ერთი და იგივე ავეჯი და ჭურჭელი. არანაირი სიახლე. რთული გამოსაცნობი არ არის, რომელ სივრცეში ისურვებდით ყოფნას.

რეფლექსია 2

ცოტა ხნით თვალები დახუჭეთ და გაიხსენეთ ბაღთან ან სკოლის დაწყებით საფეხურთან დაკავშირებული მოგონებები. რა გახსენდებათ მასწავლებლისა და თქვენი ჯგუფელების გარდა? ალბათ ოთახი, რომელშიც დროის უმეტეს ნაწილს ატარებდით. იქნებ, სკამი, რომელზეც გიყვარდათ ჯდომა და გინდოდათ, სულ თქვენ შეგხვედროდათ. თუ მაგიდა, რომელსაც კიდეები ჰქონდა გაცვეთილი და ახლაც ზუსტად გახსოვთ, როგორი იყო. ოთახში მოთავსებული ნივთები, სხვადასხვანაირ სამოსში გამოწყობილი თოჯინები, ილუსტრაციები წიგნებიდან, ზეთის საღებავით შეღებილი კედლები, სადილის სუნი და ა.შ. წლების შემდეგაც ფიზიკური გარემო ისეთივე სიმძაფრით გვახსენდება, როგორც მასწავლებელი და იმდროინდელი მეგობრები, რადგან ფიზიკურ გარემოს ადრეული ასაკის ბავშვისთვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც იმ გარემოში დასაქმებულ ადამიანებს.

დოლიძე, ხ., ცინცაძე, ნ., კუხალეიშვილი, თ., ჯიჯავაძე, ნ., ბალანჩივაძე, ი., გრიგოლია, ი., & აბაკელია, ნ. (2015). ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო. თბილისი.

საიფერი, ს., ბალანჩივაძე, ი., ბაქრაძე, თ., გაბისონია, თ., ლაბარტყავა, ნ., ფრუიძე, ნ., & ლორია, თ. (2015). სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისათვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. თბილისი.

უზნაძე, დ. (2005/1947). ბავშვის ფსიქოლოგია: სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

Ashiabi, G. S. (2007). Play in the preschool classroom: Its socioemotional significance and the teacher's role in play. Early Childhood Education Journal, 35 (2), 199-207.

Ata, S., Deniz, A., & BerrinAkman. (2012). The Physical Environment Factors in Preschools in Terms of Environmental Psychology: A Review. Procedia - Social and Behavioral Sciences, 46, 2034-2039. Retrieved August 19, 2017, from

http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042812015534

Berthelsen, D. & J. Brownlee. (2005). Respecting children's agency for learning and rights to participation in child care programs. International Journal of Early Childhood, 37 (3). 49-59.

Bodrova, E. (2008). Make-believe play versus academic skills: A Vygotskian approach to today's dilemma of early childhood education. European Early Childhood Education Research Journal, 16 (3), 357-369.

Bovey, T., & Strain, P. (2003). Using Clasrom Activities & Routinesas Oportunities To Suport Peer Interaction. What Works Briefs.

Bowman, B. T., M.S. Donovan & M. S. Burns (Eds). (2001). Eager to Learn:

Educating our Preschoolers. National Research Council Committee on Early Childhood Pedagogy. Washington, D.C.: National Academy Press.

Broström, S. (2003). Unity of Care, Teaching and Upbringing – A theoretical contribution towards a new paradigm in early childhood education. In Care, Play and Learning Curricula for Early Childhood Education, ed. M. Karlsson Lohmander, pp. 21-37. Göteborg: Early Childhood Research and Development Center.

Bruce, T. (2003). Early Childhood Education. London: Hodder & Stoighton.

Carter, M. (2007, August). Making Your Environment "The Third Teacher". Exchange: The Early Childhood Leaders' Magazine Since 1978 (125), pp. 22-26.Retrieved from

http://www.earlylearning.prn.bc.ca/wp-content/uploads/Environment-as-the-3rd-teacher.pdf

Carter, M., & Curtis, D. (2015). Designs for Living and Learning. St. Paul: Redleaf Press.

Commonwealth of Australia as represented by the Department of Health and Ageing. (2010). Safe and Supportive Environments. Retrieved September 20, 2017, from Response Ability Web site:

http://www.responseability.org/__data/assets/pdf_file/0003/4872/Safe-and-Supportive-Environments.pdf

Corsaro, W. A. (2003). We are friends, right? Inside Kids' Culture. Joseph Henry Press: Washington, D.C.

Curtis, D., & Carter, M. (2007). Learning Together with Young Children: A Curriculum Framework for Reflective Teachers. St. Paul: RedLeaf Press.

Dahlberg, G. (2010). Policies in early childhood education and care: potentialities for agency, play and learning. In The Palgrave Handbook of Childhood Studies, ed. J, Qvortrup, W. A Corsaro & M.-S. Honig. Pp – 228-237. London: Palgrave Macmillan.

Dodge, D. T., Colker, L. J., & Heroman, C. (2002). The Creative Curriculum for Preschool. Teaching Stategies Inc.

Donaldson, M. (1978). Children's minds. Glasgow: Fontana.

Ebrahim, H. (2011). Children as agents in early childhood education. Education as Change 15 (1), 121-131.

Galdini, L. (2003). Values and Principles of Reggio Emilia Approach. In L. Gandini, S. Etheredge, & L. Hill, Insights and Inspirations from Reggio Emilia: Stories of Teachers and Children from North America. Worcester, MA: Davis Publications.

Retrieved from http://learningmaterialswork.com/wp-content/uploads/2016/06/ValuesAndPrinciples.pdf

Gopnik, A. (2009). The Philosophical Baby. What children's minds tell us about truth, love and meaning of life. New York: Picador.

Grieshaber, S. (2008). Interrupting stereotypes: Teaching and the education of young children. Early Education and Development, 19 (3), 505-518.

James, A. (2010). Agency. In The Palgrave Handbook of Childhood Studies, ed. J, Qvortrup, W. A Corsaro & M.-S. Honig. Pp – 34-45. London: Palgrave Macmillan.

Johansson, I. & A. Sandberg. (2010). Learning and participation: two interrelated key-concepts in the preschool. Early Childhood Education Research Journal, 18 (2), 229-242.

Kelly, Y. (2015). Siolta Aistear Guide Making the Links for Childminding. Retrieved from

http://www.donegalchildcare.com/wp-content/uploads/2016/03/ChildmindingIreland-Siolta-and-Aistear-ChildmindingGuide.pdf

Kennedy-Moore, E. (2012, September 04). How Children Make Friends. Retrieved from Psychology Today:

https://www.psychologytoday.com/blog/growing-friendships/201209/how-children-make-friends-part-1

Kostelnik, M. J., Soderman, A. K., & Whiren, A. P. (1999). Developmentally Appropriate Curriculum: Best Practices in Early Childhood Education.

Upper Saddle River: Prentice Hall.

Loris Malaguzzi Biography. (n.d.). Retrieved August 18, 2017, from Reggio Children:
http://www.reggiochildren.it/identita/loris-malaguzzi/?lang=en

National Council for Curriculum and Assessment. (n.d.). Using open-ended materials. Retrieved August 19, 2017, from Aister Siolta Practice guide:
http://www.ncca.ie/en/Practice-Guide/Creating-And-Using-The-Learning-Environment/Resources-for-Sharing/Open-ended-materials.pdf

National Council for Curriculum Assessment. (n.d.). Supporting transitions. Retrieved August 2017, from Aistear Siolta Practice Guide:
http://www.ncca.ie/en/Practice-Guide/Transitions/

Ostrosky, M. M., Jung, E. Y., Hemmeter, M. L., & Thomas, D. (2003). Helping Children Understand Routines and Classroom Schedules. In T. C. Learning, What works best briefs.

Pramling Samuelsson, I. & E. Johansson. (2006). Play and learning – inseparable dimensions in preschool practice. Early Childhood Development and Care, 176 (1), 47-65.

Pramling Samuelsson, I. & M. Asplund Carlsson. (2008). The playing learning child: Towards a pedagogy of early childhood. Scandinavian Journal of Educational Research, 52 (6), 623-641.

Siraj-Blatchford, I. (2008). Understanding the relationship between curriculum, pedagogy and progression in learning in early childhood. Hong Kong Journal of Early Childhood, 7 (2), 6-13.

The Maryland State Department of Education. (2015). Supporting Every Young Learner: Maryland's Guide to Early Childhood Pedagogy Birth to Age 8.

University Child Learning and Care Center. (n.d.). Retrieved August 14, 2017, from University of Visconsin Stevens Point:
https://www.uwsp.edu/childcare/Pages/Programs/schedule.aspx

Van Oers, B. & D. Duijkers. (2013). Teaching in a play-based curriculum: Theory, practice and evidence of developmental education for young children. Journal of Curriculum Studies, 45 (4), 511-534.

Wurm, J. P. (2005). Working in the Reggio Way: A Beginner's Guide for American Teachers . Saint Paul: Readleaf Press.

Yelland, N. (2011). Reconceptualizing play and learning in the lives of young children. Australasian Journal of Early Childhood, 36 (2), 4-12.

You, H. (2017, August 18). Reflecting on Reggio: An evaluation of design intent in an early childhood learning environment. Retrieved from Queensland University of Technology:

http://eprints.qut.edu.au/91107/1/youcrepaper.pdf